შპს თაობა სამოქმედო გეგმის

შესრულების შუალედური ანგარიში

(2025-2026)

ბათუმი 2026

სკოლა თაობა 2025-2026 სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში

შესავალი

სამოქმედო გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სკოლა თაობის სტრატეგიული მიზნებისკენ მიმავალ ყოველწლიურ გეგმას, რომელიც მოიცავს მიზნების და ამოცანების შესრულების კონკრეტულ აქტივობებს, ინდიკატორებს, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არის სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს აქტივობების განხორციელების პარალელურად მონაცემების მოგროვებას - თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი, არის თუ არა განხორციელების პროცესი დაგეგმილის შესაბამისი (აქტივობების მონიტორინგი) და ანალიზს - თუ რა ეფექტები აქვს განხორციელების პროცესს, იძლევა იმ შედეგებს რისი მოლოდინიც სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა (აქტივობების შეფასება). კერძოდ:

აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები (მასწავლებლები, სტ.ერთეულები) და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, პროცესების მიმდინარეობისას ინიშნავნენ და აღწერენ განხორციელების წარმატებულ პრაქტიკას და გამოწვევებს. მოგროვებული მონაცემები ერთმანეთთან გაზიარდება სამუშაო შეხვედრებზე, რომელიც ორ ეტაპიანია.

შეხვედრის პირველი ეტაპი აღწერითი ხასიათისაა - საკვაძო შეკითხვაა „რა ქმედებები განვახორციელეთ/რამდენად განხორციელდა დაგეგმილი აქტივობები?“ გაზიარდება მონაცემები - რომელი აქტივობები შესრულდა, რომელი არ შესრულდა, რა ვადებში შესრულდა და რა რესურსით (ანგარიშგება).

შეხვედრის მეორე ეტაპი ანალიტიკური ხასიათისაა - საკვანძო შეკითხვებია რაც გავაკეთეთ რამდენად კარგად გავაკეთეთ და აკმაყოფილებს თუ არა დადგენილ კრიტერიუმებს? რამდენად ზუსტად პასუხობს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს შედეგები? რამდენად ეფექტიანი იყო განხორციელების პროცესი? რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამოცანების მიღწევა ან მიუღწევლობა? აქ ხარისხის ჯგუფიც აზიარებს თავის მიგნებებს განხორციელების პროცესზე დაკვირვების შედეგად მონიშნული წარმატებისა და გამოწვევების შესახებ. თანამშრომლობითი პრინციპით (whole school approach), დისკუსიის ფორმატში გაანალიზდება რა ეფექტები ჰქონდა განხორციელების პროცესს.

აღნიშნულს მოსდევს შეფასების პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი გარდა სამუშაო შეხვედრებზე მოგროვებული და ერთობლივად გაანალიზებული ინფორმაციისა, ასევე ეყრდნობა დაკვირვებებს, გამოკითხვების თუ სხვა მეთოდებით მოგროვებულ ინფორმაციას, აკეთებს შედარებით ანალიზს, სწავლობს ტენდენციებს. ამ პროცესების გავლის შედეგად იქმნება სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში.

ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს როგორც აღწერით/ანგარიშგებით ნაწილს ასევე შეფასებით/ანალიტიკურ ნაწილს. ანგარიში შედგება სამი თავისაგან (სამი სტრატეგიული მიზნის შესაბამისად). თითოეულ თავში სტრატეგიული ამოცანების ქუდში დაჯგუფებული აქტივობის ქვეშ არის აღწერა- შესრულდა თუ არა აქტივობა, როდის შესრულდა, რა რესურსების გამოყენებით, ანალიზი - რა ეფექტები/შედეგები მივიღეთ, რა ფაქტორები ახდენდა გავლენას შედეგებზე და რეკომენდაცია (საჭიროებისამებრ) - როგორ უზრუნველვყოთ აქტივობების უკეთ განხორციელება, რა შეიძლება გაკეთდეს საერთო ამოცანების მისაღწევად.

თითოეულ აქტივობას ახლავს ინდიკატორი, საკვანძო შეკითხვა და საკვანძო იდეა, რაც ზუსტად განსაზღვრვას რაკურსს რომელზე ორიენტირებითაც განხორციელდა ან უნდა განხოციელებულიყო აქტივობა.

თავი I პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარება.

ამოცანა : უზრუნველყოფილია სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლეებისთვის ნაცნობ/საინტერესო შინაარსობრივ კონტექსტში ცნებების გააზრებით/მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებით და ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობით, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების „გზა”.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შექმნა.	საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება კათედრების სხდომაზე გაზიარებულ მიგნებებს; საგნობრივ კურიკულუმებში ცნებებზე ორიენტირებით თემების ფარგლებში განსაზღვრულია შუალედური მიზნები (შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები); საგნობრივი კურიკულუმებში გამოკვეთილია ინტეგრირების შესაძლებლობები (თემის კონტექსტში ან/და საკითხთან მიმართებით ან/და დავალების პირობაზე დაყრდნობით.	კურიკულუმის დაგეგმვისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? რა ფორმით აღიწერება კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო? დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია თუ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობილი წინარე გამოცდილების ანალიზი?	კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი. ცნებები; ქვეცნებები; მაკროცნებები; ფუნქციური უნარები; შუალედური მიზნები. რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

2025-2026 სასწავლო წლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შექმნაზე, მუშაობა დაიწყო საგნობრივი გუნდების სამუშაო შეხვედრებზე 2025 წლის ივნისში სასწავლო წლის დასრულებისთანავე.

შეხვედრების ფორმატი იყო სამ ეტაპიანი:

- პირველ ეტაპზე ანალიზს წინ უძღვოდა აღწერა - მასწავლებლებმა გააზიარეს და წარადგინეს მათ მიერ განვლილ წელს განხორციელებული კურიკულუმი - სტატისტიკა (რამდენი დავალება რეალიზდა, რა ტიპის პროდუქტებზე ხდებოდა მუშაობა, რა რესურსი იყო გამოყენებული, რა დრო სჭირდებოდა ამა თუ იმ შუალედურ მიზანზე მუშაობას (აღწერითი ხასიათის ანგარიშგება, საკვანძო შეკითხვა რა გავაკეთეთ?). ეს იყო მეტწილად თავისუფალი თხრობა, სადაც მკაფიოდ წარმოჩინდა კლასის/საგნის სპეციფიური გამოწვევები, ისევე როგორც მიღწევები.
- მეორე ეტაპზე დაიწყო აღწერილი პროცესის ანალიზი, ამ ეტაპზე მასწავლებლების მიერ წარდგენილ მონაცემებთან ერთად ხარისხის ჯგუფმაც გააზიარა თავის მიგნებები განხორციელების პროცესზე დაკვირვების შედეგად მონიშნული წარმატებისა და გამოწვევების შესახებ. დისკუსიის ფორმატში ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელების პროცესზე დაკვირვების შედეგად მონიშნული წარმატების და გამოწვევების და მასწავლებლების მიერ წარდგენილი პრეზენტაციის შედარებით და აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაფუძნებით გაანალიზდა: რამდენად იყო ურთიერთდაკავშირებული დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმი; დავალების პირობა და გამოყენებული სასწავლო რესურსი/მასალა; შეფასების კრიტერიუმი და გამოყენებული სასწავლო რესურსი/მასალა. დავალების პირობა და გამოყენებული სწავლების მეთოდები/სტრატეგიები; შეფასების კრიტერიუმი და გამოყენებული სწავლების

მეთოდები/სტრატეგიები. ანალიზი - იმაზე თუ რა ეფექტები ჰქონდა განხორციელებულ კურიკულუმს - რამდენად იყო პროცესი ცნებებზე ორიენტირებული, საგნობრივი კონტექსტები ემსახურებოდა თუ არა მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას (იყო საკითხები ისე შერჩეული რომ არც იოლი და არც რთული ყოფილიყო), შეფასება ორიენტირდებოდა ცნებეზე და ითვალისწინებდა მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალურ ყველა გარემოებას (მაგალითად, ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობა). ესე იგი გაანალიზდა (შეფასდება) განხორციელებული სასწავლო პროცესი/კურიკულუმი შეჯამდა თუ რომელმა შუალედურმა მიზნებმა (შემოქმედებითი დავალებები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო შინაარსი, რესურსები, მეთოდები) და როგორ უზრუნველყო განხორციელების პროცესის ეფექტურობა (ცნებების სიღრმისეულად გააზრება მოსწავლეების მიერ).

- მესამე ეტაპზე ანალიზის შესაბამისად თანამშრომლობის და მხარდაჭერის ფორმატში მასწავლებლემა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის მონახაზი აღწერეს ჩარჩო ფორმაში. ესე იგი ფორმაში გადმოვიდა წინა წელს განხორციელებული წარმატებული დავალებები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები, რეუსრსები. რომელსაც დაემატა ახალი დავალებები, კრიტერიუმები, საკვანძო საკითხები, რესურსები... (ეს იყო სამუშაო პროცესის დასაწყისი, რომელიც შემდეგ გაგრძელდება და შეივსო ივლისი - სექტემბრის დასაწყისი პერიოდში).
- 2025 ზაფხულის განმავლობაში მასწავლებლების და ხარისხის ჯგუფის თანამშრომლობით ხდებოდა მონაცემების, მიგნებების გაზიარება, კურიკულუმის დახვეწაზე მუშაობა (გასათვალისწინებელია, რომ ამ პროცესში ჩაერთო ახალი მასწავლებლები, რომლებსაც გაუზიარდათ არსებული კურიკულუმის პროექტები);
- 2025 სექტემბრის დასაწყისში კვლავ შედგა გაერთიანებული სამუშაო შეხვედრები, სადაც კურიკულუმებმა მიიღო საბოლოო სახე.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური და ადმინისტრაციული თავის განახლება.	კონცეპტუალური და ადმინისტრაციული თავი განახლებულია წინა წლის მიგნებების, რეფლექსიის საფუძველზე.	განახლებული კონცეპტუალური და ადმინისტრაციული თავი ემყარება თუ არა წინა წლების წარმატების და გამოწვევების ანალიზს?	რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

სასკოლო კურიკულუმი შედგება კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ნაწილისგან და დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებისაგან. სასკოლო კურიკულუმის პირველი თავი (კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ნაწილი) შეეხება ზოგადი განათლების სამივე საფეხურს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

2025 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში, საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერისების შექმნის პარალელურად, სკოლამ (ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა) განაახლა სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური და ადმინისტრაციული თავები. განახლების საჭიროება განაპირობა წინა წლის რეფლექსიამ, რომელითაც გამოიკვეთა, რომ კონცეპტუალური და ადმინისტრაციული თავი საჭიროებდა შემცირებას მასში არსებული საგანმანათლებლო პრინციპების, სწავლების პარადიგმის მეტად მარტივ და მოქნილ აღწერას და სხვა პედაგოგიკური და ადმინისტრაციული ტიპის საკითხების გარეთ გზამკვლევებში გადატანას, რომელიც თან დაერთვებოდა კურიკულუმს. ასევე ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი პროცესების კურიკულუმის კონცეპტუალურ და ადმინისტრაციულ ნაწილში უფრო მჭიდროდ და თანმიმდევრულად აღიწერა, ხოლო დეტალიზება გადავიდა სხვა დოკუმენტებში (რათა სასკოლო კურიკულუმი „მარტივად წაკითხვადი და აღქმადი'' იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის).

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სასკოლო კურიკულუმის დამტკიცება.	სკოლას აქვს დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმი; კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სასკოლო კურიკულუმი დაფუძნებულია პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონცეფციაზე; სასკოლო კურიკულმში აღწერილია პროცესში ჩართული და პროცესზე პასუხისმგებელი მხარეები.	როგორ და როდის მოხდა კურიკულუმის დამტკიცება? რა ფორმით აღიწერა კურიკულუმში მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული კონცეფცია?	პროცედურების დაცვა. სამგანზომილებიანი კურიკულუმი.

2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი გაუზაირდა (ჩათებში) სასკოლო საზოგადოებას (მშობელები, მოსწავლეები, მასწავლებლები) იყო მონიშნული დრო 4-5 დღე რათა სასკოლო საზოგადოებას სიღრმისეულად შეესწავლა გამთლიანებული სასკოლო კურიკულუმის პროექტი, მოენიშნათ რეკომენდაციები, შენიშვნები, რომელიც საჭიროებისამებრ აისახებოდა კურიკულუმის პროექტში.

2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებელთა კორპუსთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ჩართული იყო მაღალი საფეხურის მოსწავლეები. კერძოდ: 2025 წლის 30 ივნისს დირექტორის ბრძანებით შეიქმნა შპს თაობის სამოქმედო გეგმის პროექტის, <u>სასკოლო პროექტების, საგნობრივი კურიკულუმების განვითარების</u> მხარდამჭერი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდა სკოლის საშუალო საფეხურის ოთხი მოსწავლე. მოსწავლეები ზაფხულის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებთან ერთად, საერთო სამუშაო სივრცეში (სკოლაში) ქმნიდნენ და ხვეწავდნენ - 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო პროექტებს. ასევე ინგლისური ენის და გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმებისათვის (შემოქმედებითი დავალებების და შეფასების კრიტერიუმებზე ორიენტირებით) აორგანიზებდნენ მრავალფეროვან რესურსს. აღნიშნულმა პრაქტიკამ უზრუნველყო მოსწავლეების ინტერესების და საჭიროებების ზუსტი გათვალისწინებით შემოქმედებითი დავალების პირობების შექმნა, რესურსთა მობილიზება. ასევე უზრუნველყო მოსწავლეების მაღალი მოტივაცია და პროცესებისადმი მიკუთვნების გაჩენა. რაც აისახა კიდევ შემდგომში განხორციელების პროცესში მათი მაღალი ჩართულობით.

სექტმებრის დასაწყისში (5 სექტემბერს) გაიმართა მასწავლებელთა კორპუსის სამუშაო შეხვედრა სადაც კურიკულუმის პროექტმა მიიღო საბოლოო სახე და დამტკიცდა დირექტორის მიერ 05.09.2025 წ. №01-04/20 ბრძანებით.

დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმი და მისი თანდართული მასალები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. კერძოდ ამობეჭდილი და განთავსებულია სკოლაში სტენდებზე. ასევე ატვირთულია სკოლის საიტზე.

2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმი - წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, მასწავლებელთა და მაღალი საფეხურის მოსწავლეების მეტად ჩართულობის დამსახურებით - დაფუძნებულია პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონცეფციაზე. მასში მკაფიოდ აისახა სასკოლო საზოგადოების

ინტერესები. ამას ადასტურებს სამივე საფეხურზე სხვადასხვა საგანში შექმნილი შემოქმედებითი დავალებები (პირობა, შეფასება, საკითხები), შექმნილი სასკოლო პროექტები (მონიშნული აქტივობები მიემართება მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს საერთო მიზნების ქუდის ქვეშ).

2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში შეიქმნა ისეთი კურიკულუმისა და სწავლების დიზაინი, რომელიც უფრო რთულად განსახორციელებელია ვიდრე ტრადიციული მოდელები (შინაარსზე, მოკლევადიან შედეგებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებული პროგრამა), თუმცა შეუძლია უზრუნველყოს მოსწავლეებში სიღრმისეული ცოდნის/ღრმა გაგების განვითარება, ცოდნის ტრანსფერის ხელშეწყობა, კრიტიკული, შემოქმედებითი უნარების განვითარება და სწავლაში უფრო ღრმა ინტელექტუალური და ემოციური ჩართულობა. დამტკიცებულ კურიკულუმში მკაფიოდ ხაზგასმულია: ცნებებზე ორიენტირება (concept-based curriculum) - ნებისმიერი საგნის სისტემური და გააზრებული ცოდნის საფუძველი ამ საგნის ცნებათა სისტემაა. ცნება წარმოადგენს ორგანიზებულ იდეას, რომელიც აერთიანებს კონკრეტულ ფაქტებს, მოვლენებსა და მაგალითებს საერთო მნიშვნელობის გარშემო. ცნება ასევე წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს, რომლის დაუფლებაც განაპირობებს აზროვნების სტრუქტურირებას, ორგანიზებას.

დღეს, როდესაც მოსწავლეს ინფორმაციის უწყვეტ ნაკადებთან გამკლავება უწევს, განათლების სისტემებისთვის განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, არამედ ხელმისაწვდომი ინფორმაციის სისტემურად ორგანიზების, პრიორიტეტიზაციის, გამთლიანების ხელშეწყობა. ეს საჭიროება განპირობებულია არა მხოლოდ ინფორმაციის ნაკადების სიმრავლით, არამედ ინფორმაციის ცვლილების სისწრაფით. შესაბამისად, თანამედროვე კურიკულუმში არაეკონომიურ მიდგომას წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის გადაცემაზე, შენახვასა და შეფასებაზე მიმართული მიდგომები და ცნებებზე დაფუძნებული პედაგოგიკა ამ მხრივ ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ცნებების სისტემები ცოდნის კომპონენტის „ორგანიზების ჩარჩოს“ ფუნქციას ასრულებს, და მას ერთგვარ ფორმას ანიჭებს.

ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმი და სწავლება წარმოადგენს სამგანზომილებიან დიზაინის მოდელს, რომელიც ფაქტობრივ შინაარსსა და უნარებს აერთიანებს დისციპლინურ ცნებებთან (concepts), განზოგადებებთან და პრინციპებთან და განსხვავდება ტრადიციული ორ განზომილებიანი, თემაზე დაფუძნებული კურიკულუმისგან, რომელიც კონცენტრირდება ფაქტებსა და უნარებზე, მიზნად ისახავს შინაარსის დაფარვას და ცნებითი გაგებისა და ცოდნის ტრანსფერის განვითარებას მხოლოდ ნაგულისხმევად, და არა მიზანმიმართულად, მოიაზრებს.

ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმი ყურადღებას ამახვილებს ცნებებზე (concepts), პრინციპებსა და განზოგადებებზე და იყენებს შესაბამის ფაქტებსა და უნარებს, როგორც ინსტრუმენტებს, რათა მიღწეულ იქნას: დისციპლინური შინაარსის უფრო ღრმა გაგება/ღრმა ცნებითი გაგება და ცნებითი ტრანსფერი/ცოდნის ტრანსფერი (conceptual transfer) დროის განმავლობაში და სხვადასხვა სიტუაციაში, კონტექსტში და არა მხოლოდ კონკრეტულ სასწავლო სიტუაციაში.

ტრადიციული კურიკულუმი



ცნებებზე დაფუძნებული კურიკულუმი

წყარო: Erickson, H. L., Lanning, L. A., & French, R. (2017). Concept-based curriculum and instruction for the thinking classroom. Corwin press

ესე იგი ცნებებით ღრმა აზროვნება, იდეების კომუნიკაცია და პრობლემების გადაჭრა, ცოდნის ტრანსფერი განსხვავებულ კონტექსტებსა და სიტუაციებში, აგრეთვე ცნებებს, იდეებსა და სიტუაციებს შორის კანონზომიერებებისა და კავშირების დანახვა წარმოადგენს ცნებებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლების არსს.

სწორედ ცნებებზე ორიენტირებით 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმი დაიგეგმა ისე, რომ უზრუნველეყო ცოდნის მყარი საფუძველი ყველა დისციპლინაში. თუმცა დაგეგმვა მოიცავდა კურიკულუმისა და სწავლების დონის უფრო მაღლა აწევას, რადგან ფოკუსი გადავიდა ცნებით გაგებაზე (conceptual level of understanding). ეს ფოკუსი ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ ფაქტობრივი ცოდნა ასრულებს დამხმარე როლს. დაგეგმვისას მსჯელობის არსებითი საგანი იყო, რომ საკლასო დროის გამოყენება გვსურს გადავიდეს ინფორმაციის დაფარვისა და დამახსოვრებისგან ცოდნის გამოყენებაზე ცნებით (conceptual) დონეზე.

სკოლა თაობის 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმის ცნებებზე ორიენტირებულ დიზაინის (concept-based design) დამტკიცებას წინ უძღვოდა კოგნიტური და სწავლების თეორიებზე დაფუძნებული კვლევების შესწავლა, რომლებიც ადასტურებს ცნებების პედაგოგიკის დადებით როლს ღრმა და ხანგრძლივი ცოდნის შეძენაში. კერძოდ:

მათემატიკის მასწავლებელთა ეროვნული საბჭო (National Council of Teachers of Mathematics – **NCTM**) 2009 წელს აცხადებს: *„რთული საგნების, როგორიცაა მათემატიკა, სწავლის კვლევებმა მყარად დაადასტურა ცნებითი გაგების მნიშვნელოვანი როლი იმ პირების ცოდნასა და საქმიანობაში, რომლებიც კომპეტენტურები არიან.“ (გვ. 2)*

ცნებითი გაგების მნიშვნელობა წარმოდგენილია ნაშრომში *How People Learn: Brain, Mind, Experience and School* (Bransford et al., 2000), რომელიც გამოქვეყნებულია აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ეროვნული კვლევითი საბჭოს მიერ. ნაშრომში *ვკითხულობთ: „ექსპერტების ცოდნა დაკავშირებულია და ორგანიზებულია მნიშვნელოვანი ცნებების გარშემო“ (გვ. 9)*

ასევე: *„კომპეტენტურობის განვითარებისთვის გარკვეულ სფეროში მოსწავლეებს სჭირდებათ: a) ფაქტობრივი ცოდნის ღრმა საფუძველი, b) ფაქტებისა და იდეების გაგება ცნებითი ჩარჩოს კონტექსტში, c) ცოდნის ორგანიზება ისე, რომ ხელი შეუწყოს მის ამოღებასა და გამოყენებას.“ (გვ. 16)*

და კიდევ: *„ინფორმაციის ორგანიზება ცნებით ჩარჩოში ზრდის ტრანსფერის შესაძლებლობას; ანუ მოსწავლეს შეუძლია ის, რაც ისწავლა, გამოიყენოს ახალ სიტუაციებში და უფრო სწრაფად შეისწავლოს დაკავშირებული ინფორმაცია.“ (გვ. 17)*

Anderson-ისა და Krathwohl-ის (2001) ნაშრომმა განაახლა ბენჯამინ ბლუმის საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომია (Bloom's Taxonomy of Educational Objectives, 1956) და კიდევ უფრო გაამყარა ცნებითი გაგების სწავლების აუცილებლობა. ავტორები აღნიშნავენ: *„მოსწავლეები მაშინ იგებენ, როდესაც ისინი ახალ ცოდნას აკავშირებენ წინარე ცოდნასთან. უფრო კონკრეტულად, შემომავალი ცოდნა ინტეგრირდება არსებულ სქემებსა და კოგნიტურ ჩარჩოებში. ვინაიდან ცნებები წარმოადგენს ამ სქემებისა და ჩარჩოების სამშენებლო ბლოკებს, ცნებითი ცოდნა ქმნის გაგების საფუძველს.“ (გვ. 70).*

Sophon Hieng, Sondom Thlang, and Seanghai Nget 2023 წლის კვლევა, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რომელი სწავლების მეთოდია უფრო ეფექტური გრამატიკის სწავლებისას (საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე გრამატიკის სწავლება ხშირად განიხილება, როგორც ყველაზე რთული კომპონენტი სწავლებისთვის (Baron, 1982; Brindley, 1984) და ამავე დროს ყველაზე მოსაწყენი ელემენტი სწავლისთვის (Abdu & Nagaratnam, 2011; Leki, 1995; Schulz, 2001). ერთ ჯგუფს სწავლება ჩაუტარდა ცნებებზე დაფუძნებული სწავლების გამოყენებით, ხოლო საკონტროლო ჯგუფს — ტრადიციული/დედუქციური მიდგომით. ორივე მიდგომის სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეთა გრამატიკული ცოდნის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა საბოლოო ტესტი. დედუქციური მიდგომა წარმოადგენს ტრადიციულ მეთოდს, რომლის დროსაც მასწავლებელი ჯერ წარადგენდა გრამატიკულ წესებს/წესების ახსნა, შემდეგ აჩვენებდა მოსწავლეებს მაგალითებს, ბოლოს მოსწავლეები აკეთებდნენ სავარჯიშოებს. ცნებებზე დაფუძნებული სწავლება ხორციელდებოდა თანმიმდევრული ეტაპების მიხედვით: ცნებების გააქტიურება - მასწავლებელი წარადგენდა საკვანძო ცნებებს. მაგალითების ანალიზი - მოსწავლეები იკვლევდნენ კონკრეტულ მაგალითებს და მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია ცნებებთან. ცნებითი განზოგადების ფორმირება - მოსწავლეები თავად აყალიბებენ წესებსა და განზოგადებებს

მაგალითებზე დაყრდნობით. ეს პროცესი ეყრდნობოდა ინდუქციურ მიდგომას. *კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საბოლოო ტესტის ქულებში (მოკლევადიან შედეგში) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა ორ ჯგუფს შორის. თუმცა ტრადიციულმა/დედუქცურმა მიდგომამ ვერ უზრუნველყო ღრმა გაგება და მოსწავლეთა ჩართულობა, მეტად იყო სასწავლო პროცესში ქცევითი დარღვევები. ხოლო ცნებებზე დაფუძნებულმა სწავლებამ უზრუნველყო: მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა, პოზიტიური ქცევა, და გრძელვადიანი აკადემიური მიღწევა.*

შეჯამების სახით აღვნიშნავთ - მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ კურიკულუმის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე რთული და კომპლექსური გამოწვევაა განათლების სფეროში. შესაბამისად, მისი განხორციელება სკოლაში არა მხოლოდ ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების, არამედ ხედვის კონსოლიდაციას და დიზაინის შესახებ საზოგადოებრივი თანხმობის ფორმირებას მოითხოვს. სკოლაში 2025-2026 სასწავლო წელს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით და გუნდური მუშაობით აღნიშნული პარადიგმა დანერგილია, ესე იგი მოხდა კურიკულუმის დიზაინზე სასკოლო საზოგადოების ხედვის კონსოლიდაცია.

ამოცანა : უზრუნველყოფილია შუალედური მიზნების მიღწევა შემოქმედებით დავალებაზე მუშაობით.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სასწავლო პროცესის ცნებების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებით, კონსტრუქტივიზმის საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით განხორციელება.	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება; სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნის ეტაპობრივი აგება, წინა ცოდნაზე დაფუძნებით; სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას; სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას; სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას.	სასწავლო პროცესი წარიმართება ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებით? საგნობრივი საკითხები ისეა შერჩეული, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის? სასწავლო პროცესი ხელს უწყობს - მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას; ცოდნის ეტაპობრივ აგებას, ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას; მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას?	ტრადიციული პედაგოგიკა VS მოსწავლე სუბიექტი; გრძელვადიანი სასწავლო მიზანი/განვითარებადი შედეგი; უახლოესი განვითარების ზონა; ხარაჩო (სკაფოლდინგი); აქტიური სწავლა; ცოდნის კონსტრუირება; მეტაკოგნაცია; სიღრმისეული სწავლა; ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმის ცნებების სიღრმისეულ გააზრებაზე ორიენტირებით დაგეგმვა (დავალებების, შეფასების კრიტერიუმების შექმნა, საკითხების, რესურსების ისე განსაზღვრა რომლებიც მიემართება ცნებებს) იყო აუცილებელი თუმცა არასაკმარისი პირობა. საკვანძოა მიმართება „დაწერილ'' და „განხორციელებულ'' კურიკულუმებს შორის. მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასწავლო პროცესის <u>განხორციელება კონსტრუქტივიზმის საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით, შემოქმედებით დავალებეზე მუშაობის მეთოდით (ესე იგი შემოქმედებითი დავალების არა საბოლოო პროდუქტად არამედ სწავლების პროცესად/მეთოდად აღქმა)</u> რათა ცნება უბრალოდ „მონიშნულ'' მიზნად არ დარჩეს.

ვინაიდან კურიკულუმი შემუშავების პროცესი 2025 წლის ზაფხულში საერთო შრომის შედეგია, ის ნაკლებად ატარებს ბიუროკრატიულ ხასიათს, რამაც მეტად უზრუნველყო პირველ სემესტრში სასწავლო პროცესის დაგეგმილის შესაბამისად განხორციელება. პროცესი აღიწერება სქულბუქში. საიდანც ნათლად დადგინდა

საგაკვეთილო პროცესების მსვლელობა - მიმდინარეობდა თუ არა დაგეგმილის შესაბამისი პროცესი და მეტიც კონკრეტულად როგორ ხდებოდა ეს - რა მასალით/რესურსებით, რა ტიპის საშინაო და საკლასო სამუშაოებით, რა ინტენსივობის და ხარისხის განამავითარებელი უკუკავშირით.
პირველი სემესტრში განხორციელებული პროცესში მოგროვებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი წინა წლებთან შედარებით მეტად მიემართება ცნებებს (ესე იგი ცნება უბრალოდ არ არის მონიშნული და მასწავლებლები მეტად ახერხებენ გაკვეთილებზე ცნებების გააქტიურებას).
წინა წლებთან შედარებით <u>მეტი მასწავლებლის (თუმცა არა მთლიანი კორპუსის)</u> მიერ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა აღქმულია სწავლების მეთოდად (და არა უბრალოდ მონიშნულ პროდუქტად). იმ საგნებსა და კლასებში სადაც შემოქმედებით დავალებაზე მუშაობა არის სწავლების მეთოდი უზრუნველყოფილია - მოსწავლეების მეტი მოტივაცია (ვინაიდან ნაცნობი დავალების პირობით, თანამშრომლობით სწავლებით მოსწავლეებს აქვთ მეტად კომპეტენტურობის, ავტონომიურობის და მიკუთვნების განცდა), ცოდნის ეტაპობრივი აგება (და არა ცოდნის გადაცემა), ფუნქციური ცოდნის შეძენა, სწავლის სტრატეგიების დაუფლება (ვინაიდან პროცესში დიალოგი და კეთებაა და არა ლექცია). ასევე ამ მეთოდის რეალიზება მასწავლებელს აძლევდა შესაძლებლობას შუალედური მიზნის მიღწევის პროცესში მოეხდინა რესურსთა და საშინაო დავალებების დიფერენცირება მოსწავლეების მზაობის და სწავლის სტილის მიხედვით - შემოქმედებითი დავალების ქუდის ქვეშ, საერთო შეფასების კრიტერიუმის რეალიზებისთვის სხვადასხვა რესურსის, საშინაო დავალების მიცემა.
თუმცა ზოგი კლასის, საგნის შემთხვევაში ცნებების სასწავლო მიზნებად მხოლოდ მონიშნულია და პროცესში კი გრძელვადიანი მიზნები იკარგება. განხორციელების პროცესი კვლავ სალექციო ხასიათისაა და შემოქმედებითი დავალება აღიქმება მხოლოდ პროდუქტად. ამის გამო გაკვეთილებზე დანაწევრებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი საკითხების ამოწურვა თვითმიზნადაა ქცეული. ასევე სწავლა-სწავლების ორიენტირებულია დამახსოვრებაზე და არა გააზრებასა და შეძენილი ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებაზე. (აღნიშნულს ამყარებს სქულბუქში კლასის, საგნის ველზე ატვირთული მსვლელობა, რესურსი, საშიანო დავალებები, შეფასება და ზოგადად კომენტარი-დიალოგის რაკურსი). მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, სწავლა-სწავლება მაინც იგივდება რაიმეს დამახსოვრებასთან და არა მასალის სიღრმისეულ გააზრებასთან.
არის შემთხვევები როდესაც ცნებები არ იკარგება და მასზე ორიენტირება ერთმნიშვნელოვანია, თუმცა სწავლების მეთოდი სალექციო ხასიათისაა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ცნებების პედაგოგიკის გამოწვევა არის მისი სირთულე, რომელიც მდგომარეობს იმაში რომ მოსწავლეებს უწევთ უფრო რთული და მეტი კონტენტის დაფარვა. სწავლების პროცესმა სადაც შემოქმედებითი დავალება უბრალოდ მონიშნული იყო გამოიწვია მოსწავლეების (განსაკუთრებით დაწყებითი და საბაზოს პირველი სამი წელი) „კოგნიტური გადატვირთვა'' ვინაიდან რთულ შინაარსებთან უხდებოდათ შეხება და ცოდნის გადაცემა არის უშედეგო, ვინაიდან მეცნიერულად დადასტურებულია რომ ცოდნა არ გადაიცემა არამედ აიგება. ესე იგი კეთებით, თანამშრომლობით ხდება მისი შეძენა. ეს მუდმივად რთული შინაარსის ლექციებით გადაცემის მცდელობა იწვევდა მოტივაციის დაკარგვას - რადგან მოსწავლეებს არ ჰქონდათ კომპეტენტურობის განცდა (რთული გამოწვევა იყო მათთვის შეთავაზებული).
მნიშვნელოვანია სამომავლოდ მთლიანად ყველა კლასის და საგნის დონეზე ცნებების გააზრება მოხდეს თანამშრომლოით სწავლებით. ასევე საკვანძოა მეტი დიფერენცირება მასალის და საშინაო დავალებების სახით. აღსანიშნავია, რომ ეს ადვილად მიღწევადია ჩვენი კურიკულუმის დონეზე, ვინაიდან კურიკულუმის დიაზინი გულისხმობს მიზნად ცნების გააზრებას და არა კონკრეტული საკითხის დასწავლას. ესე იგი თემის ფარგლებში ცნებების გააზრებისკენ (შეფასების კრიტერიუმით გამოკვეთილი და აღწერილი) და ფუქნციური უნარების გააქტიურებისკენ მიმართული შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას მასწავლებელს მოსწავლეების სწავლის სტილის, საჭიროების და ინტერესების გათვალისწინებით <u>საერთო კრიტერიუმის რეალიზებისთვის, შეუძლია სხვადასხვა რესურსი/მასალა გამოიყენოს.</u>
შეჯამების სახით აღვნიშნავთ, 2025 წელს სასკოლო თემის წევრების რიტორიკაში გაჩნდა ისეთი საკვანძო მნიშვნელობის ცნებები, როგორებიცაა ცნებების პედაგოგიკა, განმავითარებელი შეფასება, აქტიური სწავლა-სწავლება. შეიცვალა საგაკვეთილო პროცესის იერსახე. თუმცა მნიშვნელოვანია ჩვენი სკოლის ყველა საკლასო ოთახში არსობრივად (და არა ფორმალურად) დაინერგოს სწავლა-სწავლების ის პრინციპები რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ცნებების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებით, კონსტრუქტივიზმის საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით განხორციელება და რომლის შედეგად მოსწავლეები

შეძლებენ <u>სიღრმისეული ცოდნის/ღრმა გაგების განვითარებას, ცოდნის ტრანსფერს. განუვითარდებათ კრიტიკული, შემოქმედებითი უნარები .</u> აქტივობა მთელ წელზეა მონიშნული, შესაბამისად მნიშვნელოვანია სწავლების დარჩენილი პერიოდი მეტად მიემართოს ყველა საგნის კონტექსტში შემოქმედებით დავალებებზე მუშაობას.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სასწავლო პროცესის პოზიტიურ გარემოში განხორციელება.	უზრუნველყოფილია მოსწავლეებში ფუნქციური უნარების გააქტიურება; უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად, მათი შესაძელბელობების და ინტერესების მიხედვით წარმართვა. უზრუნველყოფილია შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებზე ზეპირი და წერილობითი განმავითარებელი უკუკავშირი.	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურება? წარიმართება თუ არა სასწავლო პროცესი მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე (თუ ათვლის წერტილია საგანი, სახელმძღვანელო და სხვა მსგავსი ორიენტირები)? წარმოადგენს თუ არა სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ, ერთ მთლიან პროცესს?	უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო; ფუნქციური უნარები; ინკლუზიური განათლება; დიფერენცირებული მიდგომა; შეფასება როგორც სწავლება (Assessment as learning)/თანამშრომლობითი სწავლება;

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში პროცესი ხორციელდებოდა პოზიტიურ გარემოში. გამოვყოფთ ორ ფაქტორს. რომელთაგან ერთი სრულად არის სკოლის, თითოეული კლასის დონეზე რეალიზებული - კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო სადაც მოსაწვლე არის აღიარებული როგორც სუბიექტი, და თავს გრძნობს უსაფრთხოდ, მშვიდად. მეორე ფაქტორი რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებში ფუქნციური უნარების გააქტიურებას, მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით პროცესის წარმართვას, მეტწილად (მასწვლებელთა 70%) რეალიზდა. კერძოდ რეალიზდა იმ საგნებში (მასწავლბლებთან) სადაც სასწავლო პროცესი იყო თანამშრომლობითი ბუნების, დიალოგზე დაფუძნებული (სალექციო მეთოდის მინიმუმადე დაყვანით) - ესე იგი განმავითარებელი შეფასება ხორციელდებოდა მთელი სწავლის პროცესის განმავლობაში (სასწავლო პროცესში/შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეების ჩართულობის დაკვირვებაზე დაყრდნობით მასწავლებელი ადგენდა მოსწავლეების მიერ ცნებების შინაარსის გააზრების დონეს/შემოქმედებით დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ასევე ფუნქციური უნარების გააქტიურების დინამიკას. სწორედ ამ განზოგადებების საფუძველზე მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში აკეთებდა მიმართულების მიმცემ განმავითარებელ კომენტარს, საჭიროების შემთხვევაში წერილობით კომენტარს, ხოლო მოსწავლეები ამ დიალოგის დროს აფასებდნენ საკუთარ პროცესს წარმატებებს და გამოწვევებს) **შეფასება როგორც სწავლა** (Assessment **as** learning). შემოქმედებითი დავალების წარდგენის შემდეგ კი, შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებს აწვდიდა წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს.

მნიშვნელოვანია, განმავითარებელი შეფასების როგორც დიალოგის, **შეფასება როგორც სწავლა** (Assessment **as** learning) პრინციპის სრულად რეალიზება ყველა საგნის და კლასის დონეზე. მნიშვნელოვანია ყველა კლასის და საგნის დონეზე მოსწავლეებს ადეკვატური პერიოდულობით და თანმიმდევრულად მივცეთ

წერილობითი განმავითარებელი უკუკავშირი (როგორც პროცესში ჩართულობის დინამიკაზე ასევე ცნებების გააზრების პროცესზე). ეს ხელს შეუწყობდა სასკოლო საზოგადოების (მშობლების, მოსწავლეების) მიერ პროცესის მეტად თანიმიმდევრულ აღქმას. ასევე უზრუნველყოფდა მოსწავლეებში სწავლის სტრატეგიების დაუფლებას და მეტაკოგნაციის უნარების განვითარებას.			
ამოცანა : უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეთა შედეგების მონაცემების შეგროვების/ანალიზის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღების გზით.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
მოსწავლეების მიღწევებზე მონაცემების მოგროვება და ანალიზი.	მონაცემები მოგროვებული და გაანალიზებულია ორი მიმართულებით მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში და მოსწავლის პროგრესი სამიზნე ცნებების მიმართულებით. გაანალიზებული მონაცემები აღწერილია ჩარჩო ფორმასა და schoolbook-ის პლატფორმაზე. მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე გაზიარებულია კათედრის/პედსაბჭოს სამუშაო შეხვედრებზე.	სკოლაში მონაცემების შეგროვება და დამუშავება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად ატარებს, სპონტანურ თუ თანმიმდევრულ ხასიათს? მიიღება თუ არა სკოლაში გადაწყვეტილებები მოსწავლის პროგრესთან/შედეგებთან დაკავშირებით მტკიცებულებების ანალიზზე დაყრდნობით?	სასწავლო პროცესი, როგორც მონაცემების მოგროვების წყარო. მტკიცებულებეზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მასწავლებლები აგროვებდნენ და აანალიზებდნენ მონაცმებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის და ცნებების შინაარსის გააზრების მიმართულებით. კერძოდ:

თემის ფარგლებში შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და დავალების წარდგენა/პრეზენტაცია, არის ცნებების შინაარსის გააზრებაში მოსწავლის პროგრესზე მონაცემების მოგროვების და ანალიზის წყარო. გაანალიზდება რამდენად რეალიზებულია შეფასების კრიტერიუმი მოსწავლის მიერ. თითოეული მოსწავლის შედეგი/პროგრესი ფასდება თითოეულ გრძელვადიან **მიზანთან/სამიზნე ცნებასთან** მიმართებით. ეს შეფასება ოთხ დონედ იყოფა:

- **მოცემულობის გააზრების პრობლემა** - მოსწავლე ვერ იგებს სამიზნე ცნების გააქტიურებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს; არ/ვერ ერთვება სამიზნე ცნების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებში; საკითხის შინაარსს ვერ უკავშირებს სამიზნე ცნებას;

- **ცნების ფრაგმენტული გააზრება** - მოსწავლე პასუხობს სამიზნე ცნების გააქტიურებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს; ერთვება სამიზნე ცნების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებში, მეტწილად იხსენებს/ასახელებს/ჩამოთვლის შინაარსთან დაკავშირებულ მოცემულობებს თუმცა:
  - ვერ ახერხებს ცნებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენის/ფაქტის/შინაარსის შედარებას, განსხვავებას. (აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა საკითხთან/ცნებასთან დაკავშირებით)
  - ვერ ახერხებს ცნების შინაარსის გაანალიზებას.
  - ვერ ავითარებს მსჯელობას.

- **ცნების იდეის დონეზე გააზრება** - მოსწავლე საკითხის/მაგალითების შინაარსს აღწერს და უკავშირებს სამიზნე ცნებას, თუმცა:
  - მის ანალიზი და მსჯელობა შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს; ან/და
  - მის მიერ გაკეთებული დასკვნები/განზოგადებები ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია;

- **ცნების სიღრმისეული გააზრება** - მოსწავლე;
  - ❖ კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად, იაზრებს, აანალიზებს, ხსნის სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ საკითხს და ავითარებს მსჯელობას სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით (მოჰყავს მაგალითები, ადარებს სხვა საკითხებს...);
  - ❖ ურთიერთადაკავშირებულად აანალიზებს სამიზნე ცნების არსებით ნიშან-თვისებებს (მკვიდრ წარმოდგენებს);
  - ❖ *კონკრეტულ სამიზნე ცნებას უკავშირებს საგნის სხვა სამიზნე ცნებებს.*
  - ❖ ***განაზოგადებს ცნებას, ქმნის და აყალიბებს ჰიპოთეზას/თეორიას/კრიტიკას. აკავშირებს ცნებას ზესაგნობრივ ცნებებსა თუ თეორიებთან.***

თემის ფარგლებში შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და დავალების წარდგენა/პრეზენტაცია ასევე არის მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ მონაცემების მოგროვების და ანალიზის წყარო. მოსწავლის ჩართულობაზე დაკვირვება, მასწავლებელს ეხმარება რეფლექსიისთვის, რათა ზუსტად გააანალიზოს რით არის განპირობებული მოსწავლის წარმატება/ხარვეზი - რამდენად შეუწყო ხელი შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურებას? რამდენად ეფექტური და საინტერესო იყო დავალების პირობა? შერჩეული კონტექსტები/შინაარსი? გამოყენებული რესურსები? *სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის ხარისხი, აღიწერება სამი დონის მიხედვით:*

- ***პასიურობა*** *- მოსწავლე პასიურია; პრაქტიკულად არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში;*
- ***დავალების ჩაბარების სურვილით განპირობებული ჩართულობა*** *- მოსწავლის არ/ვერ ეკიდება სერიოზულად სასაწვლო პროცესს; სასწავლო პროცესში მის ჩართულობას აქვს არასისტემური ხასიათი;*
- ***ცნობისმოყვარეობისა და შემეცნების სურვილით განპირობებული ჩართულობა*** *- მოსწავლე მუშაობს და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. მუშაობის პროცესში ავლენს/ურთიერთდაკავშირებულად იყენებს შემდეგ ფუნქციურ უნარებს: კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კოლაბორაცია; კომუნიკაცია; მოქალაქეობა (პასუხისმგებლეობა/ემპათია); ხასიათი / ნებელობა.*

აღნიშნული მონაცემები აღწერილია სქულბუქში ყველა მასწავლებლის მიერ. აღწერის ხარისხი მეტწილად მისაღებია. სამუშაო გვაქვს (ნაწილი კლასების, საგნების შემთხვევაში) მონაცემების ვალიდურობასთან. ასე მაგალითად არის შემთხვევა როდესაც აღწერა ცნების გააზრების ხარისხზე და მოსწავლის ნამუშევრებში გამოვლენილი შედეგი არ არის ზუსტ თანხვედრაში. თუმცა წინა წლებთან შედარებით ხელშესახები პროგრესია შედეგების სწორად დადგენაში. თითქმის ყველა საგანში და კლასში დადგინდა თუ რომელ ცნებებს და რა დონით იაზრებენ მოსწავლეები.

თუმცა, შეფასების მეორე და შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი ელემენტი რაც გულისხმობს შედეგების გამომწვევი მიზეზების ზუსტ ანალიზს (ანუ რით არის გამოწვეული კლასის/მოსწავლის წარმატებები და ხარვეზები) მეტად დასახვეწია. (ამაზე ქვემოთ აქტივობის აღწერისას მეტად დეტალურად ვისაუბრებთ). აქ ერთ-ერთი გამოსავალი არის, შეფასების კომპონენტის მოსწავლის თვითშეფასების მეტად გააქტიურება. ეს მასწავლებელს სკოლას დაეხმარება ზუსტად დადგინდეს მოსწავლის ჩართულობის, წარმატების და გამოწვევების მიზეზი რა იყო. ესე იგი საჭიროა მასწავლებლის და მოსწავლის მეტი დიალოგი - თუ როგორ მიდის პროცესი, რა გაუმარტივდა მოსწავლეს, სად აქვს გამოწვევა, დავალების პირობა და რესურსი ეხმარება თუ არა გააზრებაში და ა.შ. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფდა შეფასებისას წყაროთა მრავალეფეროვნებას და მოსწავლის პროცესის ჰოლისტურ დანახვას.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
მასწავლებლების რეფლექსია-წარმატებული გამოცდილების და გამოწვევების ანალიზი.	მასწავლებელს რეფლექსია ეფუძნება შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების ეფექტურობის და ვალიდურობის; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობის და ვალიდურობის მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს. რეფლექსია აღწერილია მასწვლებლის რეფლექსიის ჩარჩო ფორმაში. რეფლექსია წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევაზე გაზიარებულია კათედრებზე/პედსაბჭოზე.	გროვდება და ანალიზდება თუ არა მონაცემები სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე?	რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). საჭიროებების კვლევა. თვითშეფასება.

სკოლაში საერთო მიზნების რეალიზების (მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა), მასწავლებლის პროფესიული განვითარების და სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მასწავლებლის თვითრეფლექსია. ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მასწავლებლის საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე; რა უნდა იქნას გათვალისწინებული შემდგომ პერიოდში სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. აღნიშნულის საგნობრივი გუნდების სამუშაო შეხვედრებზე თუ სხვა ღია ფორმატში განხილვა, ქმნის საფუძველს - მოსწავლეთა მიღწევების და ხარვეზების გამომწვევი გარემოების სწორად განსაზღვრის, გამოვლენელი პრობლემების ურთიერთდახმარებით გადაჭრის და სასკოლო კულტურის განვითარების.

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მასწავლბლებმა განახორციელეს საკუთარი საქმიანობის რეფლექსია რომელიც ეფუძნება შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების ეფექტურობის და ვალიდურობის; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობის და ვალიდურობის მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს. რეფლექსია მოხდა შემდეგ საკვანძო შეკითხვაზე ორიენტირებით: რა ეფექტი ჰქონდა ჩემი კურიკულუმის განხორციელებას? - რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები, სწავლების სტრატეგიები, შინაარსი მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურებას?

აღნიშნული რეფლექსიის შედეგად გამოკვეთილი წარმატებული პრაქტიკა თუ გამოწვევები გაზიარდა სამუშაო შეხვედრებზე სადაც მასწავლებლები სქულბუქის გამოყენებით წარადგენდნენ და აღწერდენენ განხორციელების პროცსს - რა მასალით/რესურსებით, რა ტიპის საშინაო და საკლასო სამუშაოებით რეალიზდებოდა შუალედური მიზნები. წარდგენისას ხდებოდა აღწერილი პროცესის ანალიზი, მასწავლებლები ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მონაწილეობით მსჯელობდნენ განხორციელების პროცესზე დაკვირვების შედეგად მონიშნული წარმატებისა და გამოწვევების შესახებ. იმაზე თუ რა ეფექტები ჰქონდა განხორციელების პროცსს. კერძოდ კონკრეტული მაგალითებით განხილვა (სქულბუქში ჩვენება) თუ რომელმა დავალებამ ან რა ტიპის რესურსებმა და აქტივობებმა უზრუნველყო მოსწავლეების ჩართულობა და კრიტერიუმების რეალიზება ან რომელი დავალების პირობა თუ გამოყენებული რესურსი იყო ნაკლებად წარმატებული.

ამოცანა : მოსწავლეთა შედეგების ანალიზის მათი საჭიროებების, მზაობის და ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული და დანერგილია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული ახალი სასწავლო პროგრამა/პროგრამები.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
”ზღაპართერაპია“ და ”სიბრძნე მინიატურებში“ სასწავლო პროგრამის შემუშავება.	შემუშავებულია პროგრამა დაწყებით საფეხურზე - ცნებებზე ორიენტირებით თემების ფარგლებში განსაზღვრული შუალედური მიზნებით (შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები).	პროგრამის შემუშავებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? რა ფორმით აღიწერა პროგრამის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო? დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია თუ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობილი წინარე გამოცდილების ანალიზი?	კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი. ცნებები; ქვეცნებები; მაკროცნებები; ფუნქციური უნარები; შუალედური მიზნები. რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

2025 წლის ზაფხულში სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა „ზღაპართერაპიის” სასწავლო პროგრამა I-IV კლასებში და სიბრძნე მინიატურებში პროგრამა V- VI კლასებში. რომელიც წარმოადგენს სკოლის ხედვას დაწყებით საფეხურზე სადამრიგებლო კონცეფციის განხორციელებისა. გვსურს სადამრიგებლო პროგრამა მოსწავლეებს უვითარებდეს ღირებულებებს, დამოკიდებულებებს თუმცა ეს გაიწეროს ცნებების ენაზე, შეიქმნას შემოქმედებითი დავალებები, მობილიზდეს შესაბამისი მასალა... ეს უზრუნველყოფს ღირებულებების, ცოდნის და უნარების ერთობლივ განვითარებას კეთებით სწავლის პროცესში (და არა ცალკე აღებული დიდაქტიკური სადამრიგებლო საათი, როდესაც ეს პროცესი სრულად მოწვეტილია სკოლის სასწავლო პროცესს, ეფუძნებოდა სალექციო ტიპის აღმზრდელობით გაკვეთილებს და შესაბამისად იყო უშედეგო - განათლების ფსიქოლოგიაში ჩატარებული მრავალი კვლევა და სკოლაში სადამრიგებლო კონცეფციის ანალიზი ცხადყოფდა აღნიშნულს).

შემუშავებულ პროგრამაში ჩამოყალიბდა ძირითად ცნებათა სტრუქტურა ძირითადი (საზოგადოება, პიროვნება, ზრუნვა) და დაკავშირებული (პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, ეთიკა, ემპათია) ცნებების სახით. ძირითადი და დაკავშირებული ცნებების გააზრებისთვის საინტერესო კონტექსტის უზრუნველსაყოფად შეიქმნა შესაბამისი თემები, ხოლო თემებში შეიქმნა შემოქმედებითი დავალებები (პირობა, კრიტერიუმები, საკითხები, რესურსები), რომლებზე მუშაობაც არის სწავლების მეთოდი და რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ერთი მხრივ საკვანძო კონცეპტებზე სიღრმისეული და ფუქნციური ცოდნის შეძენას, ასევე მოსწავლეებში სწავლა სწავლების ემოციური და ქცევითი განზომილების განვითარებას (რადგან არა ლექციით არამედ კეთებით სწავლობენ).

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
‘’მე და საზოგადოება’’ სასწავლო პროგრამის შემუშავება.	შემუშავებულია პროგრამა დაწყებით საფეხურზე - ცნებებზე ორიენტირებით თემების ფარგლებში განსაზღვრული შუალედური მიზნებით (შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები).	პროგრამის შემუშავებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? რა ფორმით აღიწერა პროგრამის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო? დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია თუ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობილი წინარე გამოცდილების ანალიზი?	კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი. ცნებები; ქვეცნებები; მაკროცნებები; ფუნქციური უნარები; შუალედური მიზნები. რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

2025 წლის ზაფხულში სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა „მე და საზოგადოების’’ სასწავლო პროგრამა III-IV კლასებში. აღნიშნული საგანი ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული და შედის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში, შესაბამისად აქვს ცნებათა სტრუქტურა. თუმცა 2024-2025 სასწავლო წელს ამ საგნის სწავლა-სწავლების პროცესის, საგანში მოსწავლეთა შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ რესურსები და შინაარსები რაც განსაზღვრული იყო ცნებების სიღრმისეულად გასააზრებლად იყო როგორც არაეფექტური ასევე არავალიდური. მიზეზი იყო მკაფიოდ წიგნზე ორიენტირება (და წიგნის როგორც პროგრამის აღქმა), შესაბამისად შუალედური მიზნები ხშირად საერთოდ ბუნდოვანი იყო. ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც შუალედური მიზანი გამოკვეთილი იყო, მისი რეალიზებისთვის შერჩეული რესურსი, შინაარსი ნაკლებად ეფექტური (წიგნი გრიფირებულია 2018 წელს და აცდენილია ცნებების პედაგოგიკის არსს). შემუშავებული პროგრამით მოხდა ძირითადი და დაკავშირებული ცნებების უკეთ კონსტრუირება. რომლის გასააზრებლად შეიქმნა შუალედური მიზნები (შემოქმედებითი დავალებები, შეფასების კრიტერიუმები, მობილიზდა რესურსები, მოინიშნა განსახორციელებელი აქტივობების რაკურსი). ჯამში შეიქმნა მესამე კლასში 3 თემის ფარგლებში 9 შუალედური მიზანი. მეოთხე კლასში 3 თემის ფარგლებში 10 შუალედური მიზანი. ესე იგი მოსწავლეებს დაწყებით საფეუხრზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კონცეპტების გასააზრებლად სამუშაო ექნებათ ჯამში 19 შემოქმედებით დავალებაზე. დავალებების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და რესურსები ისეა შექმნილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეებში ცნებების - საზოგადოება, პიროვნება, ზრუნვა და მაკრო(გლობალური) ცნებების - მოქალაქეობა, ცვლილება, განვითარება - გააზრების შესაძლებლობას საინტერესო კონტექსტებში კეთებით, შექმნით (და არა ლექციებით).

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
’მსოფლიო ლიტერატურა’’ სასწავლო პროგრამის შემუშავება.	შემუშავებულია პროგრამა საბაზო და საშუალო საფეხურზე - ცნებებზე ორიენტირებით თემების ფარგლებში განსაზღვრული შუალედური მიზნებით	პროგრამის შემუშავებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული	კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი.

	(შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები).	განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? რა ფორმით აღიწერა პროგრამის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო? დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია თუ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობილი წინარე გამოცდილების ანალიზი?	ცნებები; ქვეცნებები; მაკროცნებები; ფუნქციური უნარები; შუალედური მიზნები. რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

2025 წლის ზაფხულში სამუშაო ჯგუფის მიერ შეიქმნა სკოლის დამატებითი საგნის „მსოფლიო ლიტერატურის'' სასწავლო პროგრამა საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლას წინა წლებშიც ჰქონდა მცდელობები, რომ ხელი შეეწყო მოსწავლეებში წიგნიერების განვითარებისთვის, ეს ხდებოდა როგორც დამატებითი საგნის ასევე სხვადასხვა „კლასგარეშე'' საკითხავის შეთავაზებით. შედეგები ცხადყოფდა, რომ არ გვქონდა ხელშესახები პროგრესი აღნიშული მიმართულებით. შედეგი ნათელია, თუმცა მეტად საინტერესო არის რა იყო გამომწვევი მიზეზი. ანალიზით დადგინდა, ორი მიზეზი: პირველი მიზეზი - წიგნიერების განვითარების მექანიზმი არ იყო კარგად გააზრებული და თანმიმდევრული. ასე მაგალითად დამატებითი საგნის დონეზე არ იყო მკაფიოდ ცნებებზე ორიენტირება ასევე არ იყო გამოვკეთილი თემა როგორც სტრუქტურული ერთეული, არ იყო შემოქმედებითი დავალებები და მასალაც(საკითხავი ლიტერატურა) ისე და იმ რაოდენობით იყო შერჩეული, რომ აქცენტი კეთდებოდა რაოდენობის დაფარვაზე, შინაარსის მოყოლაზე და არა სიღრმეზე. (მაგალითად ერთი მოთხრობის დამუშავებას ეთმობოდა 2-3 გაკვეთილი რაც საკმარისი არაა). შერჩეული მასალაც ნაწილობრივ მიემართობოდა მოსწავლის ინტერესებს და რაც მნიშვნელოვანია არ იყო გააზრებული რომელიც ძირითადი თუ დაკავშირებული ცნების გასააზრებლად იყო შერჩეული. მეორე მიზეზი - მიემართება ე.წ. ფორმალური და არაფორმალური, კლასგარეშე და ძირითადი რესურსის იდეას. ესე იგი სკოლაში დომინირებდა აზრი ე.წ. კლასში გაკვეთილებზე დასამუშავებელ ძირითად ლიტერატურას და სხვა კლასგარეშე (კლუბის თუ ისე საზაფხულო) ლიტერარატურის გამიჯვნაზე. ნაცვლად იმისა რომ ნებისმიერი ლიტერატურა აღქმულ ყოფილიყო როგორც ცნებების გასააზრებელი რესურსი, რომელსაც დავალების პირობა და თემა გაამთლიანებდა. შედეგად მოსწავლე (სამივე საფეხურზე) კლასში ამუშავებდა მაგალითად თემა „ცხოვრების საზრისი'' ქუდის ქვეშ საკითხავ ლიტერატურას, ხოლო „კლასგარეშე'' საკითხავად ჰქონდა სრულიად განსხვავებული კონტექსტის, სირთულის და მოცულობის მქონე ლიტერატურა.

სწორედ აღნიშნული შედეგის და გამომწვევი მიზეზების ანალიზით დაიგეგმა და შეიქმნა ''მსოფლიო ლიტერატურის'' პროგრამა. სადაც ცნებები განისაზღვრა მიზნებად. შეიქმნა თემატური ერთეულები როგორც სტრუქტურა რომელშიც შეიქმნა შემოქმედებითი დავალებები და შეირჩა შესაბამისი საკითხავი ლიტერატურა მსოფლიო შედევრებიდან. (პატარა პრინცი, 451 ფარენჰაიტით, მედეა, ოდისეა, დიდი გეტსბი დ ა.შ). პროგრამის შექმნისას ორიენტირი იყო ქართული ენა და ლიტერატურის საგანი, რათა მუშაობის პროცესში საგნებს შეეწყოთ ხელი საერთო მიზნის მიღწევაში.

თემის კონტექსტი, შემოქმედებითი დავალების პირობები, შერჩეული ლიტერატურა და დრო რომელიც განსზღვრულია სამუშაოდ ხელს შეუწყობს მოსწავლეებში როგორც ცნება ტექსტის, კომპოზიციის, კონტექსტის სიღრმისეულ გააზრებას. ასევე ზესაგნობრივი ცნებების - წიგნიერება, კონსტრუქტი, ნარატივი გააზრებას.

ჯამში მე7 კლასში განისაზღვრა სამი შემოქმედებითი დავალება. მე8 კლასში სამი შემოქმედებითი დავალება. მე9 კლასში ორი შემოქმედებითი დავალება, მე10 კლასში სამი შემოქმედებითი დავალება, მე11 კლასში ორი შემოქმედებითი დავალება, მე12 კლასში ორი შემოქმედებითი დავალება. ესე იგი ჯამში მოსწავლეები საბაზო და საშუალო საფეხურზე იმუშავებენ თხუთმეტ შემოქმედებით დავალებაზე.(წაიკითხავენ თხუთმეტ მსოფლიო შედევრს).

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
„იდეები და ღირებულებები'' სასწავლო პროგრამის შემუშავება.	შემუშავებულია პროგრამა საბაზო და საშუალო საფეხურზე - ცნებებზე ორიენტირებით თემების ფარგლებში განსაზღვრული შუალედური მიზნებით (შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები).	პროგრამის შემუშავებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? რა ფორმით აღიწერა პროგრამის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო? დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია თუ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობილი წინარე გამოცდილების ანალიზი?	კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი. ცნებები; ქვეცნებები; მაკროცნებები; ფუნქციური უნარები; შუალედური მიზნები. რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

2025 წლის ზაფხულში სამუშაო ჯგუფის მიერ შეიქმნა სკოლის დამატებითი საგნის „იდეები და ღირებულებები''(საზოგადოებრივი მეცნიერებების ქვეშ) სასწავლო პროგრამა საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლა წინა წლებში ახორციელებდა იდეები და ღირებულებების პროგრამას მხოლოდ მე10 და მე11 კლასებში. ხოლო მე7, მე8, მე9 და მე12 კლასებში სკოლას ჰქონდა სხვადასხვა დამატებითი პროგრამა (მითოლოგია, მსოფლიო კულტურა) რომლებიც ნაწილობრივ წარმატებული იყო, თუმცა აქაც მკაფიო არ იყო გრძელვადიანი მიზნები შესაბამისად შერჩეული შინაარსები ერთი მხრივ საინტერესო იყო მოსწავლეებისთვის მაგრამ მისი მთლიანობითი აღქმა ცნებებად დაჯგუფება და ფუნქციურ ცოდნაში გადატანა ვერ ხერხდებოდა. (ესე იგი შინაარსზე ორიენტირებული პროგრამა იყო). მე10 და მე11 კლასის პროგრამებში მკაფიო იყო ცნებათა სტრუქტურა, თუმცა აქ სასწავლო თემები და მასალა მოითხოვდა გადაჯგუფებას, გაერთიანებას და განტვირთვას.

სწორედ ამ ორი გამოწვევის გადასაჭრელად, მოსწავლეებში ცნებების შინაარსის სიღრმისეული გააზრების და ცოდნის ტრასფერის ხელშესაწყობად შეიქმნა ერთიანი თანმიმდევრული და ლოგიკური პროგრამა მთელი საბაზო და საშუალო საფეხურისთვის (მე7 - მე12). ცნებების გასააზრებლად შეიქმნა შემოქმედებითი დავალებები, შეფასების კრიტერიუმები, შეირჩა მასალა, რესურსები.

ჯამში მე7 კლასში განისაზღვრა ოთხი შემოქმედებითი დავალება. მე8 კლასში ოთხი შემოქმედებითი დავალება. მე9 კლასში სამი შემოქმედებითი დავალება, მე10 კლასში ექვსი შემოქმედებითი დავალება, მე11 კლასში ხუთი შემოქმედებითი დავალება, მე12 კლასში ორი შემოქმედებითი დავალება. ესე იგი ჯამში მოსწავლეები საბაზო და საშუალო საფეხურზე იმუშავებენ ოცდაოთხ შემოქმედებით დავალებაზე.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
„კომპიუტერული ტექნოლოგიები'' სასწავლო პროგრამის შემუშავება.	შემუშავებულია პროგრამა დაწყებით საფეხურზე - ცნებებზე ორიენტირებით თემების ფარგლებში განსაზღვრული შუალედური მიზნებით (შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები).	პროგრამის შემუშავებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? რა ფორმით აღიწერა პროგრამის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო? დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია თუ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობილი წინარე გამოცდილების ანალიზი?	კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი. ცნებები; ქვეცნებები; მაკროცნებები; ფუნქციური უნარები; შუალედური მიზნები. რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.
2025 წლის ზაფხულში სამუშაო ჯგუფის ეგიდით ერთ-ერთი წევრის მიერ დაიწყო მუშაობა კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო პროგრამის შემუშავებაზე, იმ სტანდარტის და კონცეფციის შესაბამისად რაც ინერგება სკოლა თაობაში. ესე იგი ათვლის წერტილი იყო შემუშავებულიყო ისეთი პროგრამა რომელიც იქნებოდა ცნებებზე ორიენტირებული და რომლის შინაარსები, რესურსები და მსვლელობა (აქტივობები) იქნებოდა მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით. ამისათვის საწყის ეტაპზე დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთი კლასის მაგალითზე შეიქმნა რამდენიმე შემოქმედებითი დავალება. თუმცა ეს პროცესი არ დასრულებულა. ესე იგი სრულად არ არის შემუშავებული პროგრამა.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
„ინგლისური ენა'' სასწავლო პროგრამის განახლება.	განახლებულია სასწავლო პროგრამა საბაზო და საშუალო საფეხურზე თემატურ კონტექსტებში შემოქმედებითი დავალების პირობის და კრიტერიუმების მიხედვით - მრავალფეროვანი რესურსის მობილიზებით. მობილიზებული რესურსები ითვალისწინებს დიფერენცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ენის ფლობის დონის და სწავლის შედეგების	პროგრამის განახლებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? რა ფორმით აღიწერა პროგრამის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლეზე	კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი. ცნებები; ქვეცნებები; მაკროცნებები გლობალური კომპეტენცია (მულტილინგვური წიგნიერება); ფუნქციური უნარები; შუალედური მიზნები. რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე).

	(მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, ინტერაქცია, წერა) მიხედვით.	ორიენტირებული სასწავლო გარემო? დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია თუ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობილი წინარე გამოცდილების ანალიზი?	მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

მოსწავლეებში მაკროცნებების და გლობალურ-ფუნქციური კომპეტენციების განვითარების მიზნით, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობის მიხედვით დიფერენცირების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით და სკოლის ინსტიტუციური მდგრადობისთვის (განვითარებაზე ორიენტირებულობა, სკოლის ცნობადობის ზრდა, მაღალი სტანდარტების დაწესება), 2025 წლის ზაფხულში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოახდინა კემბრიჯის მასალის მობილიზება და დაჯგუფება საბაზო და საშუალო საფეხურზე თემატურ კონტექსტებში შემოქმედებითი დავალების პირობის და კრიტერიუმების ქუდის ქვეშ. მობილიზებული რესურსები ითვალისწინებს დიფერენცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ენის ფლობის დონის და სწავლის შედეგების (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, ინტერაქცია, წერა) მიხედვით.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
„გეოგრაფია'' სასწავლო პროგრამის განახლება.	განახლებულია სასწავლო პროგრამა საბაზო და საშუალო საფეხურზე თემატურ კონტექსტებში შემოქმედებითი დავალების პირობის და კრიტერიუმების მიხედვით - მრავალფეროვანი რესურსის მობილიზებით. მობილიზებული რესურსები ითვალისწინებს დიფერენცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების მიხედვით.	პროგრამის განახლებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? რა ფორმით აღიწერა პროგრამის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო? დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია თუ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობილი წინარე გამოცდილების ანალიზი?	კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი. ცნებები; ქვეცნებები; მაკროცნებები გლობალური კომპეტენცია (მულტილინგვური წიგნიერება); ფუნქციური უნარები; შუალედური მიზნები. რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე). მტკიცებულებები გადაწყვეტილების მისაღებად.

2025 წლის ზაფხულიში სამუშაო ჯგუფის მიერ განახლდა გეოგრაფიის სასწავლო პროგრამა. ამ საგანს აქვს ცნებათა სტრუქტურა, თუმცა წინა წლების ანალიზი ცხადყოფდა რომ გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე წინა წელს განხორციელებული პროცესი ვერ უზრუნველყოფდა ცნებების საინტერესო კონტექსტებით და კეთებით, შექმნით გააზრებას. ესე იგი არ იყო მკაფიო შუალედური მიზნები, სასწავლო პროცესში წიგნი იყო როგორც პროგრამა აღქმული და მიდიოდა სარჩევის მიხედვით პროცესი. ჩვენს მიერ შექმნილი პროგრამა მოიცავს მე7 მე11 კლასების ჩათვლით განსზღვრულ შუალედურ მიზნებს. საინტერესო

შემოქმედებითი დავალების პირობებს. გარდა წიგნისა მობილიზდა სხვადასხვა რესურსი. ესე იგი სკოლაში სრულად განახლდა საბაზო საშუალო საფეხურებზე გეოგრაფიის პროგრამა.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
განახლებული სასწავლო პროგრამების დანერგვა.	დანერგილია განახლებული სასწავლო პროგრამები; ახალი სასწავლო პროგრამები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას ცნებების შინაარსის სიღრმისეულ გააზრებას.	მიმდინირეობს თუ არა დანერგვის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად? რა ეფექტები აქვს დანერგვის პროცესს?	მიმართება დაწერილ/დაგეგმილ და განხორციელებულ პროცესს შორის.

მნიშვნელოვანია მიმართება „დაგეგმილ'' და „განხორციელებულ'' პროცესებს შორის. საკვანძოა დადგენა მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და ასევე რა ეფექტები აქვს განხორციელების პროცესს (აქვს ის შედეგები რისი მოლოდინიც იყო პროგრამების შემუშავება, განახლებისას?).
იდეების და ღირებულებების და მსოფლიო ლიტერატურის პროგრამები დაგეგმილის შესაბამისად ხორციელდება. პროცესში მოხდა კოსმეტიკური ცვლილელები რომელიც მიემართებოდა ზოგი დავალების პირობის შეცვლას ან მასალების გადაჯგუფებას. თუმცა შუალედური მიზნები შეფასების კრიტერიუმები იგივეა და განხორციელებაც მკვეთრად ორიენტირებულია შეფასების კრიტერიუმების რეალიზებაზე. სქულბუქის მონაცემები ადასტურებს სასწავლო პროცესის თანამშრომლობითი პრინციპებით განხორციელებას. მოსწავლეთა შედეგები აღწერილია განმავითარებელ შეფასებებში. (შედეგები უკეთესია ვიდრე წინა წლებში)
ზღაპართერაპიის და სიბრძნე მინიატურებში პროგრამა მეტწილად ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. ესე იგი აქვს თანმიმდევრული ხასიათი, გამოკვეთილი მიზნები არის მხედველობის არეალში. მოსწავლეებს აქვთ დავალებები შესასრულებელი. მასალა მეტწილად მუშავდება კლასში. გამოწვევაა პროცესის მონიტორინგი ანუ მასწავლებლები სასურველია მეტად დააკვირდნენ ეფექტებს, ასევე მეტად უნდა აღიწეროს სქულბუქზე პროცესი. საფრთხე არის რომ პროგრამის განხორციელება მიიღებს მექანისტურ ხასიათს. მნიშვნელოვანია გააზრება, რომ შემოქმედებითი დავალების ქუდის ქვეშ შესაძლებელია და აუცილებელიც მოქნილობა, დიფერენცირება, ცოცხალი პროცესი და არა ინდიკატორებზე ორიენტირებით „ნაგილისხმევი'' პროცესი.
მე და საზოგადოების და გეოგრაფიის პროგრამები წინა წლებთან შედარებით მეტად ეფექტურია. თუმცა აქაც მნიშვნელოვანია განხორციელების თანმიმდევრულობა და წიგნთან ერთად სხვა რესურსების რეალური გამოყენება.
კვლავ გამოწვევად რჩება ინგლისურში თემების და დავალებების ქუდის ქვეშ მობილიზებული კემბრიჯის სასწავლო რესურსის გამოყენება. აღნიშნული არ მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად და თავისთავად არ აქვს ის ეფექტები რისი მოლოდინიც იყო.
აღსანიშნავია რომ აქტივობა გამჭოლია მთელი სასწავლო წელი გრძელდება, შესაბამისად დარჩენილი პერიოდი მეტად ნაყოფიერად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

თავი II მოსწავლეთა სოციალიზაცია და ინდივიდუალიზმის, დამოუკიდებლობის ხელშეწყობა (სუბიექტივიზაცია).

ამოცანა: ექსტრაკურიკულარული აქტივობები (პროექტები, ღონისძიებები....) უზრუნველყოფს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების გააქტიურებას, მათ სოციალიზაციას და განვითარებას.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სასკოლო პროექტების განხორციელება.	განხოციელებულია სულ მცირე ორი პროექტი; პროექტი დაგეგმილია მოსწავლეთა ჩართულობით. პროექტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები; პროექტით გათვალისწინებულია მრავალფეროვანი აქტივობები (ინტერაქტიური, დისკუსია, პროდუქტების შექმნა) და განხორციელება იძლევა მოსწავლეთა თანაბრად ჩართვის შესაძლებლობას; პროექტი ორიენტირებულია სამიზნე ცნების/ცნებების სიღრმისეულ გააზრებაზე; პროექტი გამოკვეთს კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს; პროექტი ითვალისწინებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების და სასკოლო საზოგადოების/თემის თანამშრომლობას;	სასკოლო პროექტების დაგეგმვა/განხირციელებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს მოსწავლეების/სკოლის ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები?	მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები; მონაწილეობა; ჩართულობა:
2025 წლის ზაფხულში დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამოქმედო გეგმის პროექტის, სასკოლო პროექტების, საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მხარდამჭერი სამუშაო ჯგუფი. რომლის შემადგნელობაში სკოლის ხარსხის ჯგუფის წევრებთან ერთად შედიოდა საშუალო საფეხურის ოთხი მოსწავლე, რაც უზრუნველყოფდა პროექტების დაგეგმვას მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, მათი ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებას. აღნიშნული ჯგუფის მიერ დაიგეგმა 2025-2026 სასწავლო წელს განსახორციელებელი პროექტები. პროექტების დაგეგმვის ათვლის წერტილი იყო მიდგომა, რომ სკოლაში დაიგეგმება <u>საერთო პროექტები.</u> საერთო მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტების ქუდის ქვეშ კი მოინიშნება მრავალი სხვადასხვა			

საგნობრივი ჯგუფის ცნებების გააზრებისაკენ მიმართული აქტივობა რომლებსაც ამთლიანებს პროექტის ამოცანები. აღნიშნული უზრუნველყოფს პროექტების მთლიანობით აღქმას და მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ერთიან/გუნდურ მოქმედებას (ესე იგი იქმნება პარადიგმა, რომ სკოლაში ყველა აქტივობა - საკლასო თუ არასაკლასო, მიემართება მოსწავლეების პიროვნულ განვითარებას, აქვს მკაფიო საერთო მიზანი, არ არის უბრალოდ აქტივობა აქტივობისთვის).

პროექტების დაგეგმვისას გავაანალიზეთ მოსწავლეთა აკადემიური და სოციო-კულტურული გამოწვევები, მუშაობისას ვეყრდნობოდით შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროექტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები;
- პროექტები იგეგმება მოსწავლეთა ჩართულობით;
- პროექტის განხორციელება იძლევა მოსწავლეთა თანაბრად ჩართვის შესაძლებლობას;
- პროექტი ორიენტირებულია საგნობრივი და ზესაგნობრივი ცნებების (კონცეპტების) სიღრმისეულ გააზრებაზე;
- პროექტი ხელს შეუწყობს თანამედროვე სამყაროს საკვანძო იდეებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას;
- პროექტი გამოკვეთს ინტერდისციპლინურ კავშირებს, ასევე კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს;
- პროექტი ითვალისწინებს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები,მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის კლუბები) თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების/თემის ჩართულობას;
- პროექტი ავითარებს თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

აღნიშნულ პარადიგმაში და შესაბამისი კრიტერიუმების დაცვით ხორციელდება (პროექტი გათვლილია მთლიან სასწავლო წელზე) პროექტი „თაობა თაობისთვის'', რომლის ამოცანებია -მოსწავლეებში ემპათიის, სოლიდარობის, ტოლერანტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება საგანმანათლებლო, ინტერაქტიული საშუალებებით. მოსწავლეებში ემპათიის, სოლიდარობის, ტოლერანტობის შესახებ ემოციურ/ქცევითი დამოკიდებულების განვითარება საგანმანათლებლო, ინტერაქტიული საშუალებებით.

ამოცანების ქუდის ქვეშ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ვიდეორგოლი მენტალურ ჯანმრთელობაზე;
- სტუმრის (ფსიქოლოგის) მოწვევა და დისკუსია მენტალური ჯანმრთელობის საკითხზე - სტერეოტიპებსა და სტიგმაზე;
- ვიდეორგოლი „გაიღიმე'';
- დისკუსია მხატვრული ტექსტი „ფრანკენშტეინის'' ირგვლივ თემაზე „ინდივიდი და საზოგადოება'';
- Halloween - გარემოს მორთვა, კოსტუმირებული წვეულობა და სხვა აქტივობები სამივე საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით;
- დისკუსია „ვკარგავთ თუ არა ეროვნულ იდენტობას'';
- ვიდეორგოლი და სხვა აქტივობები „ჩახუტების დღის'' აღსანიშნავად;
- სკოლის სოციალური და საქველმოქმედო აქტივობების სერია „სიკეთის კალათა'' აქტივობები შედგებოდა განგრძობითი ქვეაქტივობების სერიისაგან და მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: მოსწავლეების მიერ ხელოვნების წრის ეგიდით ხელნაკეთი ნივთების, სხვადასხვა ფერწერული ნიმუშების და სხვა სახვით ხელოვნებასთან (ხატვა, ძერწვა და ა.შ) დაკავშირებული ნამუშევრების შექმნა. პარალელურად ხდებოდა სოციალურად დაუცველი/შეჭირვებული ოჯახების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა და ანალიზი (ვის რა ტიპის დახმარება სჭირდებოდა...). პროექტის მსვლელობის მეორე ეტაპზე მოხდა მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების რეალიზება (ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში). პროექტის მსველობის მესამე ეტაპზე შევიძინეთ საჭიროების შესაბამისი ნივთები, პროდუქტები, ასევე სკოლაში მშობლებს, მოსწავლეებს მოჰქონდათ სხვადასხვა ნივთი (სათამაშო, ტანსაცმელი და ა.შ). პროექტის რეალიზების ბოლო ეტაპზე კი მოხდა შერჩეულ მისამართებზე მოქალაქეებთან გასვლა და ნივთების, სურსათის და ა.შ გადაცემა.

რამდენიმე მონიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა (ადამიანის უფლებების დღისადმი მიძღვნილი - დისკუსია, ვიდეორგოლი).

ხაზგასასმელია, რომ აქტივობები ხორციელდება მოსწავლეების მიერ და მათი აქტიური ჩართულობით.

მნიშვნელოვანია სამომავლოდ საერთო პროექტების ქვეშ მეტი საგნობრივი ჯგუფის ცნებების გასააქტიურებელი აქტივობები. ასევე საკვანძოდ მნიშვნელოვანია, საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების აქტივობების ურთიერთდაკავშირება. ასე მაგალითად შესაძლებელია შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიემართება ჟანრის და პერსონაჟის კონცეპტის გააზრებას და რომლის დავალების პირობაა - მოთხრობის შექმნა გოგოსა და ბიჭის მეგობრობაზე. გააზრებული და გამოყენებული იქნეს როგორც პროექტის ერთ-ერთი აქტივობა. ვინაიდან ნათელია, რომ ამ ტიპის დავალება და სკოლის პროექტებს აქვთ საერთო მიზანი (ღირებულებების განვითარება ცნებების გააზრება). ამ ტიპის პრაქტიკა უზრუნველყოფს მიზნების მთლიანობით აღქმას - ფორმალური და არაფორმალური განათლების საერთო კონცეპტში მოქცევას და ერთობლივ ქმედებას.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სკოლის გასვლითი ღონისძიებების, მცირე და დიდი ექსკურსების/ექსპედიციების დაგეგმვა განხორციელება.	სკოლის ღონისძიებები, ექსკურსიები დაგეგმილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებთ. განხორციელებულია სულ მცირე ოთხი გასვლითი ექსკურსია/ექსპედიცია; ღონისძიება/ექსკურსია/ექსპედიცია კავშირშია სკოლის პროექტების ამოცანებთან და პროექტებში მონიშნულია როგორც აქტივობა.	რამდენად მიზნობრივად და რა ინტენსივობით ხორციელდება სკოლაში ღონისძიებები, ექსკურსიები?	მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული აქტივობები.

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში შედგა რამდენიმე გასვლითი ღონისძიება (ექსკურსია, ლაშქრობა). ექსკურსიები სამივე საფეხურზე განხორციელდა „სადამრიგებლო კონტექსტში''. ხოლო ლაშქრობაში ერთობლივად მონაწილეობდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები (რაც მისასალმებელი პრაქტიკაა). ლაშქრობის შედეგად მოსწავლეები იაქტიურებენ თანამშრომლობის, გუნდურობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის უნარებს. ხელი შეუწყო ბუნებისდაცვითი და ეკომეგობრული ცნობიერების ამაღლებას; წაახალისა მოსწავლეებში ფიზიკური აქტივობები და განავითარა ფიზიკური გამძლეობა. მნიშვნელოვანია, რომ ლაშქრობები ზემოაღნიშნული უნარების გააქტიურების პარალელურად მიემართებოდა საბუნებისმეტყველო საგნების ცნებების(კონცეპტების) - სასიცოცხლო თვისება; ბიომრავალფეროვნება; ჯანმრთელობა და დაავადება - გააზრებას საინტერესო კონტექსტში. მნიშვნელოვანია მეორე სემესტრშიც გაგრძელდეს ლაშქრობის პრაქტიკა.

ექსკურსიები თავისთავად დადებითი მოვლენაა, ემსახურება მოსწავლეების სოციალიზაციას თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ექსკურსიებმაც შეიძინოს მეტად კონტექსტუალური ხასიათი გამოკვეთოს ცნებების გააზრების ასპექტი.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
პირველკლასელთა და სხვა ახალი მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა.	ადაპტაციის ხელშეწყობა მიმდინარეობს „მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის'' შესაბამისად.	როგორი (ფრაგმენტული, თუ ინტენსიური) ხასიათი აქვს ახალი მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობის პროცესს? რა ფაქტორები უწყობს/უშლის ხელს მოსწავლის ადაპტაცია/ტრანზიციის პროცესს?	ზრუნვა. მხარდაჭერა. სოციალიზაცია.

დადებითი დინამიკა სკოლა თაობაში ჩარიცხვა/მობილობის მსურველთა რაოდენობის ზრდაზე. ამაზე მეტყველებს ფაქტი, რომ სასწავლო წლის დაწყებმადე რამდენიმე თვით ადრე შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს კლასში/სკოლაში მისაღები ადგილების ოდენობას. (სკოლა თაობაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 18 მოსწავლით).

მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის დადებითი ტენდენცია, ერთგავრი გამოწვევაა. კერძოდ ახალი მოსწავლეების მიმართულებით სკოლას აქვს მორალური და პრაგმატული ვალდებულება უზრუნველყოს ახალი მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობა.

2025-2026 სასწავლო წელს მოსწავლეების (განსაკუთრებით პირველკლასელთა) ადაპტაციის ხელშეწყობის პროცესს წინა წლებთან შედარებით მეტად ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. ათვლის წერტილი არის ზრუნვა, მხარდაჭერა, სოციალიზაცია. სასწავლო წლის დაწყებმადე მოსწავლეებს ვიწვევთ სკოლაში, ვაცნობთ გარემოს, სკოლის ტრადიციებსა თუ დამკვიდრებულ კულტურას (აღნიშნული პროცესი ხორციელდება მაღალი კლასის მოსწავლეების აქტიური ჩართულობით). პირველკლასელებისთვის ეწყობა ღონისძიება, გადაეცემათ საჩუქრები.

მთელი სემესტრის განმავლობაში დამრიგებლები, სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები აკვირდებიან ადაპტაციის პროცესს. ხდება ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა. ხელშემწყობი ფაქტორებია - მაღალი საფეხურის მოსწავლეების ჩართულობა, ადმინისტრაციის და მასწავლებლების ერთიანი თანამშრომლობითი ქმედებები, მშობლებთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმები და ინტენსიური ხასიათი. ფაქტორი რომელიც ხელს უშლის ადაპტაციის პროცესს არის ის, რომ მობილობის შემთხვევაში მოსწავლეების ნაწილისთვის ახალია სკოლაში აღიარებული წესები, ნორმები, სწავლის ინტენსივობა და სტილი. შესაბამისად ურთულდებათ მოსწავლეებს პროცესებში სრულფასოვანი ჩართვა. ფაქტია, რომ სკოლა ცდილობს ასეთი მოსწავლეების ხელშეწყობას, მასწავლებლები დამრიგებლები ურთიერთობას აფუძნებენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, არის მშობლებთან კომუნიკაციაც. თუმცა ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები და თანიმიმდევრულობა მეტად დასახვეწია. სასურველია, მეტი მუშაობა (საგნის, კლასის, სკოლის დონეზე) მოსწავლეების მხარდასაჭერად. ასე მაგალითად საგნობრივი კონტექსტების მხრივ დიფერენცირება (მზაობის მიხედვით, შემოქმედებითის ქუდის ქვეშ საშინაო დავალების, მასალის). კლასის და სკოლის დონეზე აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობა (მეტი აქცენტის გაკეთება მოსწავლეზე).

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
გარე აქტივობებში/ღონისძიებებში (მაგ: გაეროს მოდელირება მსგავსი ტიპის)მოსწავლეთა მონაწილეობის/ჩართვის ხელშეწყობა.	უზრუნველყოფილია სულ მცირე ორ სკოლის გარე აქტიოვბაში/ღონისძიებაში მოსწავლეთა მონაწილეობა; მონაწილეობა მიიღო არანაკლებ ათმა მოსწავლემ.	როგორ შეიძლება უზრუნველყოს სკოლამ მოსწავლეთა სკოლის გარე აქტივობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა?	წახალისება და მხარდაჭერა; სკოლის ღიაობა;

2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში, სკოლის საერთო ჩათებში ზიარდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციის თუ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაგეგმილი აქტივობების, ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა პირისპირ კლასებში მოსწავლეებს სკოლის ადმინისტრაციის წევრები აცნოდბენ ინფორმაციას შემოთავაზებულ გარე პროექტებზე. დაკვირვება ცხადყოფს მოსწავლეების ნაკლებ დაინტერესებას. მოსწავლეები ხშირად არგუმენტად იყენებენ დროის სიმწირეს, რაც გამოწვეულია სკოლის შემდეგ სხვადასხვა წრეებით (საგნობრივი, სპორტული, სახელოვნებო). გარე აქტივობებსა თუ ღონისძიებებში ნაკლებად ჩართულობის მიზეზი შეიძლება იყოს ერთი მხრივ სკოლის მხრიდან ინფორმციის მიწოდების ფორმა მეორე მხრივ მოსწავლეების მოტივაციის სიმწირე (ორივე ფაქტორი ურთიერთდაკავშირებულია). შესაძლო გამოსავლად გვესახება ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფასთან ერთად, მოსწავლეებთან მეტი კომუნიკაცია მნიშვნელობის დასანახებლად, ასევე მეტი თანმიმდევრულობა ნაბიჯ-ნაბიჯ მიყოლა, ხშირად შეხსენება. საკვანძოა მხარდაჭერის და წახალისების პრინციპის დაცვა (მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად - კომპეტებტურობის განცდის ჩამოსაყალიბებლად). აქტივობა გათვლილია მთელ სასწავლო წელზე. მეორე სემესტრში სასურველია აქტივობის მეტად თანმიმდევრული განხორციელების ხელშეწყობა.

ამოცანა: სკოლის თვითმმართველობის ფუნქციონირება ახალისებს მოსწავლეთა ავტონომიურობას.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
თვითმმართველობის საქმიანობის ახალი კონცეფციის შემუშავება.	შემუშავებულია თვითმმართველობის საქმიანობის განმსაზღვრელი ახალი კონცეპტუალური დოკუმენტი; დოკუმენტი შექმნილია, წინა წლის თვითმმართველობის საქმიანობის ანალიზის, შეფასების საფუძველზე და მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს.	რა კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი კონცეფცია?	მიზნების მისაღწევად, საერთო ამოცანების გადასაჭრელად შექმნილი ეფექტური სტრუქტურა; მოსწავლის ავტონომიურობა.

2025 წლის აგვისტოში შემუშვდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა თვითმმართველობის საქმიანობის ახალი კონცეფცია. ახალი კონცეფციის შექმნის მიზანია სკოლაში მთლიანობითი აღქმის დანერგვა. შესაბამისად თვითმმართველობის ახალი სახელიც „მოსწავლეთა განვითარების პლატფორმა" მოწმობს ამ კონცეპტის ფრთაშესხმის სურვილს. ახალი კონცეფციით თვითმმართველობის (მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის) საქმიანობა მეტად მკაფიოდ მიემართა სკოლის მისიას და მიზნებს. ასევე დებულებაში გაწერილი კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ჩარჩო მეტად შეუწყობს ხელს თანმიმდევრულ საქმიაონაბას, რომელსაც გაამთლიანებს საერთო ამოცანები და რომელიც ეფუძნება გუნდურობას და მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებს.

მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის მიზანია ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის დამოუკიდებელ, აქტიურ და პასუხისმგებლიან ინდივიდად ჩამოყალიბებას, რომელიც იზრუნებს როგორც საკუთარი პიროვნების ასევე თემის/საზოგადოების განვითარებაზე. მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის სტრუქტურის მოდელი, დაფუძნებულია გუნდურ პასუხისმგებლობასა და თანამშრომლობით მართვაზე. ასეთი სტრუქტურა მეტად ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ავტონომიურობას. მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის სტრუქტურა მოიცავს - <u>მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს, მოსწავლეთა ფორუმს და სასკოლო კლუბებს.</u>

მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭო - რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის მე8- მე12 კლასში მყოფი 6 მოსწავლე. მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთობლივად (არ ჰყავს ხელმძღვანელი პირი). ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება. გადაწყვეტილება მიიღება კონსესუსით (და არა ხმათა უმრავლესობით. ესე იგი ექვსივე წევრი უნდა იყოს თანახმა). საბჭოს საერთო ამოცანები აქვს, შესაბამისად პასუხისმგებლობაც მის წევრებზე თანაბრად ნაწილდება. საჭიროების შემთხვევაში, მეტი მოქნილობის და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად სამუშაო გეგმით განსაზღვრულ კონკრეტულ აქტივობაზე საბჭო ერთმანეთთან შეთანხმებით განსაზღვრას თავისი რიგებიდან კონკრეტულ პასუხისმგებელ პირს. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს თანამონაწილეობის

მექანიზმის შექმნას, რომელიც ეფუძნება თანასწორობას, ღიაობას, გუნდურობასა და საერთო გადაწყვეტილების პროცესს. მოსწავლეებს უვითარდებათ საკუთარი აზრის დაფიქსირების, მოლაპარაკების, ერთმანეთის მოსმენის და პასუხისმგებლობის უნარები. საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციებია:

- პროექტების, სკოლის შიდა და გარე ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა;
- სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებლები, მშობლები, სკოლის სტრუქტურული ერთეულები) აქტიური თანამშრომლობა, მოსწავლეთა განვითარების ხელშესაწყობად, ინტერესების, საჭიროებების განხორციელების და უფლებების დაცვის მიზნით;
- მოსწავლეთა სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულებების ანალიზი;
- მასწავლებელთა მხარდაჭერა ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელებასა და კურიკულუმის განვითარებაში;
- დამრიგებლებთან, ფსიქოლოგთან აქტიური თანამშრომლობით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მენტორობა (ზედამხედველობა);
- ღიაობის და ინკლუზიურობის დაცვით მოსწვლეთა ინტერესების რეალიზების ხელშეწყობა;
- რეკომენდაციების და წინადადებების წარდგენა სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების განსავითარებლად;
- სასკოლო კლუბების საქმიანობის ხელშეწყობა და მეთვალყურეობა სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით.

მოსწავლეთა ფორუმის შემადგენლობაში შედის სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლე. მოსწავლეთა ფორუმი იკრიბება წელიწადში სამჯერ (სექტემბერი, დეკემბერი, ივნისი) გაერთიანებული შეხვედრის ფორმატში. მოსწავლეთა ფორუმს წარუდგენს მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭო გეგმას სექტემბერში და მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესრულების ანგარიშს/პრეზენტაციას დეკემბერსა და ივნისში. მოსწავლეთა ფორუმის შეკრება არის საშუალება მოსწავლეებმა წარადგინონ იდეები (უკვე ჩამოყალიბებული გეგმა პროექტები) - სასკოლო კლუბების შექმნის, სხვადასხვა აქტივობის, ღონისძიების, პროექტის შესახებ. აღნიშნულ იდეებს(გეგმა პროექტებს) ინიშნავს საკოორდინაციო საბჭოს წევრი შემდგომი განვითარების/რეალიზების მიზნით. მოსწავლეთა ფორუმის ფუნქციაა აირჩიოს მე8 - მე12 კლასში გადასულ მოსწავლეთაგან, მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს 3 წევრი.

სასკოლო კლუბები - სასკოლო კლუბების მიზანია უზრუნველყოს საგნობრივი ჯგუფების სწავლების გაფართოება/მოსწავლეებში ცნებების გააზრება საინტერესო შინაარსებით, ინტერაქტიური პრაქტიკული და კრეატიული აქტივობებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლე სუბიექტის პარადიგმის რეალიზებას, ბავშვების სოციალიზაციას, დამოუკიდებლობას, მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე სამოქალაქო, კოლაბორაციული და კვლევითი უნარების გამომუშავებას.

კლუბებს აქვთ დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულება, რომელშიც აღწერილია - კლუბის მიზანი, ამოცანები, პრინციპები, სტრუქტურა და სამუშაო ორგანიზების საკითხები. კლუბები მოინიშნებიან სკოლის სამოქმედო გეგმასა თუ პროექტებში ამოცანების შესაბამისი აქტივობის პასუხისმგებელ ერთეულად.

კლუბების აქტივობებში მოსწავლეები სურვილი და ინტერესის მიხედვით მონაწილეობენ. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:

- სასკოლო კლუბი ‘’Res Publica“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების სტრუქტურის, იდეების იდეოლოგიების, ღირებულებების, დემოკრატიის პრინციპების, ადამიანის უფლებების, სოციალური კეთილდღეობის და პასუხისმგებლობის, ისტორიული ეპოქის, მოვლენების და პროცესების, ძალაუფლების არსის ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი „პითაგორას კოდი’’, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა ოპერაციების თვისებების, ურთიერთმიმართების, კანონზომიერების და ლოგიკური კავშირების დადგენას, ალგორითმული აზროვნების განვითარებას, ციფრულ და რეალურ სამყაროს შორის კავშირებისა და განსხვავებების

წარმოჩენა გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.

- სასკოლო კლუბი ''ოდისეა", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მხატვრული ლიტერატურის ჟანრების, მიმდინარეობის, კომპოზიციის/შინაარსობრივი მხარის, ენობრივი საშუალებების/მხატვრული ხერხების, ბიოგრაფიული, სოციოკულტურული კონტექსტების გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი ''The Globe Society'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ინგლისურ ენაში - მოსმენის, სხვადასხვა ჟანრის და შინაარსის მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულებით შექმნილი ტექსტის კითხვის, მეტყველების და წერის განვითარებას. ლექსიკის და გრამატიკის ფუნქციურად და მართებულად გამოყენებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი კლუბი ''ორფეოსი'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სახვითი ხელოვნების ენის, საშუალებების (ხაზი, ფერი, ფორმა, შუქ-ჩრდილი), სახვითი ტექნიკის (ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა..), სახვითი ჟანრის (ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი..) გააზრებას. ასევე მუსიკის შინაარსის, მუსიკის გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების (ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია...) გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი კლუბი ''Gaia's Lab'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ბიომრავალფეროვნების, ცოცხალი სისტემების და ნივთიერებების სტრუქტურის და ფუნქციის, სასიცოცხლო თვისებების, ჯანმრთელობისა და დაავადების, ფიზიკური და ქიმიური პროცესების, ენერგიის, ძალის და მატერიის, მდგრადი წარმოების და მოხმარების არსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.

სკოლაში ახალი კლუბის შექმნა ეფუძნება ორგანიზებულ, გამჭვირვალე მოსწავლეებზე ორიენტირებულ პროცესს. კლუბის იდეას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ღირებულება (უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებას/ფუნქციური უნარების გააქტიურების ხელშეწყობას), უნდა იყოს შესაბამისობაში სკოლის მისია/მიზნებთან.

შეჯამება - შემუშავებული კონცეფცია სრულ თანხვედრაშია სკოლის მისია მიზნებთან, არის ორიგინალური სკოლა თაობის საგანმანათლებლო პრინციპებზე და კურიკულუმის დიზაინის შესაბამისი. აქვს მკაფიო კონცეფცია და სტრუქტურა. არის როგორც მოსწავლეების ღირებულებების დამოკიდებულებების განვითარების ხელშემწყობი. ასევე სწავლა-სწავლების შემეცნებითი, ემოციური და ქცევითი განზომილების რეალიზების მექანიზმი. ვინაიდან ამ ტიპის სტრუქტურა და კონცეფცია გულისხმობს მკაფიოდ მოსწავლეზე ორიენტირებას, თანასწორობას, ნაკლებ ბიუროკრატიას და ფორმალურ ადმინისტრირებას. და ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა იყოს მართლა ქმედითი ორგანო და არა ფორმალური სტრუქტურული ერთეული რომელიც ფრაგმენტულ ხასიათს და ბუნდოვან იდეებს ატარებს.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
თვითმმართველობის საქმიანობის შემუშავებული კონცეფციის დანერგვა.	თვითმმართველობის საქმიანობა ხორციელდება, შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად.	მიმდინირეობს თუ არა დანერგვის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად? რა ეფექტები აქვს დანერგვის პროცესს?	მიმართება დაწერილ/დაგეგმილ და განხორციელებულ პროცესს შორის.

2025-2026 სასწავლო წელს დაიწყო შექმნილი კონცეფციის დანერგვა. ამ ტიპის კონცეფცია უფრო რთულად განსახორციელებელია ვიდრე ტრადიციული მოდელები. ვინაიდან მოითხოვს ერთობლივ შეთანხმებულ ქმედებას. ვინაიდან შემცირდა ბიუროკრატია და ფორმალიზმი და გაიზარდა რეალური ჩართულობის და მონაწილეობის შესაძლებლობა ეს მოითხოვს დანერგვის პროცესში თანმიმდევრულობას და მუდმივ ანალიზს.

რამდენიმე თვის ანალიზი გვაძლევს დადებით ტენდენციებს რომელიც გამოიხატა მაღალი კლასის მოსწავლეების და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლობაში საერთო ამოცანების ქვეშ. ასე მაგალითად ამა თუ იმ აქტივობას აქვს მკაფიო ამოცანა, რომელიც არის საერთო და ამ პარადიგმით თანამშრომლობს სკოლის PR მენეჯერი და მაღალი საფეხურის მოსწავლეები. გამოწვევაა ინტენსივობის და მრავალფეროვნების საკითხი. თუმცა ეს გამოწვევა ნაკლებად არის კონცეპციის და სტრუქტურის პრობლემა. აქ მეტი სამუშაო არის აქტივობების განხორციელებაში მასწავლებელთა და ნაწილი მოსწავლეების ჩართვის ზრდაში. აღნიშულმა კონცეფციამ მეტად უზრუნველყო სიტუაციური ლიდერობის კონცეფციის რეალიზება. ვინაიდან აღარ არის თანამდებობრივი იერარქია, მეტი შესაძლებლობა გაჩნდა დანერგვის პროცესში სხვადახვა მოსწავლის მიერ ინიციატივის აღების და პროცესის წარმართვის.

დანერგვის პროცესში ყველაზე მეტი გამოწვევა არის კლუბების საქმიანობა, კვლავ ფრაგენტულია ფორმალური და არაფორმალური აქტივობების საკითხი. აქ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა კორპუსის გააქტიურება და ადმინისტრაციის. ზემოთ აღინიშნა, რომ საკლასო, არასაკლასო აქტივობები, შემოქმედებითი დავალებები და სასწავლო პროცესში მსვლელობა მარტივად შეიძლება საერთო პროექტის ამოცანების ქვეშ გაერთიანდეს. ასე მაგალითად კლუბის ფორმატში ფილმის ჩვენება უნდა მიემართებოდეს რომელიმე ცნების გააზრებას, ეს კი გულისხმობს რომ შესაძლებელია იყოს ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების საგაკვეთილო მსველობის აქტივობაც.

შეჯამება - სამუშოა საერთო პროექტების კონცეპტზე მეტად. დარჩენილი პერიოდი მნიშვნელოვანია მოგროვდეს მონაცემები განხორციელების პროცესში წარმატებულ პრაქტიკაზე. აღიწეროს ეს. შემდეგ კი საერთო სამუშაო ჯგუფის ფორმატში გამთლიანდეს ეს წარმატებები საერთო ამოცანებში აქტივობებად. ასე უზრუნველვყოფთ მთლიანობით პროცესს. როგორც საგნობრივი ცნებების ასე ზესაგნობრივი ცნებების ერთიან გააზრებას და ფორმალური და არაფორმალური განათლების გამთლიანებას.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება, განხორციელების ხელშეწყობა	უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ხელშეწყობა აქტივობების დაგეგმვა,განხორციელებაში; მოსწავლეთა კმაყოფილება მზარდია.	სკოლა ხელს იწყობს მოსწავლეებში სწავლა-სწავლების ქცევითი განზომილების განვითარებას?	შემოქმედებითობა. ლიდერობა. ავტონომიურობა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სკოლაში დაინერგა მიდგომა რომ სკოლაში ერთობლივად იგეგემება საერთო პროექტები. საერთო მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტების ქუდის ქვეშ კი მოინიშნება მრავალი აქტივობა რომელიც მიემართება პროექტის ამოცანებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროექტების საერთო დიდი მიზნისკენ მიმართვას და ასევე სასკოლო საზოგადოების ერთიან/გუნდურ მოქმედებას. (ვინაიდან ამოცანები და მიზნები საერთოა). შესაბამისად სკოლაში ზემოაღნიშნული პროექტები განხორციელდა საერთო ჩართულობით. მეტიც, პროექტის ძირითადი წარმმართველები იყვნენ სკოლის მოსწავლეები (ძირითადად მე11 კლასები). ასე მაგალითად პროექტების ქუდის ქვეშ აქტივობების (ვიდეორგოლების შექმნა; დისკუსიების ორგანიზება; გამოფენის ორგანიზება და ა.შ) ხდებოდა მოსწავლეების ინიციატივით და ლიდერობით სკოლის PR მენეჯერთან, ხარისხის ჯგუფთან და მასწავლებლებთან აქტიური თანამშრომლობით.

პირველ სემესტრში მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელებულმა აქტივობებმა გაზარდა მოსწავლეთა როგორც კმაყოფილება ასე ჩართულობის ხარისხი.

არის შემთხვევები როდესაც მოსწავლეებს აქვთ ინიციატივა, თუმცა ეს რიტორიკის დონეზე რჩება. ამის მიზეზი ერთი მხრივ არის მოსწავლეთა არათანიმიდევრულობა თუმცა ძირითადი მიზეზი მაინც სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მიერ აღმოჩენილი ნაკლები მხარდაჭერაა. მნიშვნელოვანია დარჩენილი პერიოდი ერთი მხრივ შეიქმნას მეტი სარბიელი მოსწავლეების მოტივაციიის ასამაღლებლად რათა მათ გაუჩნდეთ მეტი რეალური

ინიციატივა და სურვილი ჩართულობის. მეორე მხრივ კი მოხდეს განხორციელების პროცესის ხელშეწყობა, ასევე მოსწავლეთა ფართე სპექტრის ჩართულობის უზრუნველყოფა.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
თვითმმართველობის შეხვედრების ორგანიზება.	არსებობს ჩატარებული თვითმმართველობის სამუშაო შეხვედრების მტკიცებულება; თვითმმართველობის შეხვედრა ორგანიზებულია თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპით (whole school approach), დისკუსიის ფორმატში და მიემართება საერთო ამოცანების გუნდურად გადაჭრას. თვითმმართველობის როლი მოსწავლეთა სოციალზაციაში მზარდია. შექმნილია პოზიტიური გარემო.	როგორ წარიმართება სამუშაო შეხვედრები? აქვს ინტენსიური თანამშრომლობითი ხასიათი თუ არის მონოტონური და ფრაგმენტული?	სასკოლო კულტურა; მოსწავლეთა ინიციატივის გაზიარება; სკოლის სტ.ერთეულების თანამშრომლობა.

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს, სკოლის ადმინისტრაციის მონაწილეობით გაიმართა შეხვედრები. პირველი შეხვედრა იყო შემუშავებული კონცეფციის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებზე გაცნობის მიზნით. შეხვედრაზე მოსმენილ და მონიშნულ იქნა მოსწავლეების ინიციატივები, რომელიც მეტნაკლებად აისახა სასკოლო პროექტებში აქტივობებად. შემდეგ პროცეში პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები ლიდერ მოსწავლეებთან (ინიციატივის მქონე) და PR მენეჯერთან ასევე ხარისხის ჯგუფის მონაწილეობით. შეხვედრა ორგანიზებული იყო თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპით (whole school approach), დისკუსიის ფორმატში და მიემართებოდა საერთო ამოცანების გუნდურად გადაჭრას.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სკოლის კლუბების საქმიანობის კონცეფციის შემუშავება, არსებული კლუბების განახლება/სკოლის ახალი კლუბების შექმნა.	შექმნილი კლუბების საქმიანობა მიემართება ცნებების შინაარსის საინტერესო კონტექსტებში, თანამშრომლობით, კეთებით გააზრებას.	რა კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი კონცეფცია?	მიზნების მისაღწევად, საერთო ამოცანების გადასაჭრელად შექმნილი ეფექტური სტრუქტურა; მოსწავლის ავტონომიურობა; ფორმალური და არაფორმალური განათლების გამთლიანება ცნებების გააზრება/ფუნქციური უნარების განვითარების მიზნით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლაში 2025 წლის ზაფხულში შეიქმნა მოსწავლეთა განვითარების პლატორმის კონცეფცია. პლატრომის სტრუქტურა კი მოიცავს როგორც საკოორდინაციო საბჭოს და მოსწავლეთა ფორუმს, ასევე სასკოლო კლუბებს. სწორედ ამ კონცეფციის ქვეშ სკოლამ შეიმუშავა ახალი კლუბების პოლიტიკა და სტრუქტურა. კერძოდ ზუსტად გაანალიზდა და განისაზღვრვა კლუბების არსი. წინა წლების პრაქტიკით კლუბის არსი იყო ეკლექტიკური, იყო კლუბი რომელიც უნარებზე კონცენტირდებოდა, იყო კლუბები რომელიც მხოლოდ მოსწავლეთა უბრალოდ ჩართულობის მექანიზმი იყო და ა.შ. ახალი სტრუქტურა კი

გულისხმობს მთლიანობით აღქმას - ესე იგი კლუბები დაჯგუფებულია ისე რომ ხელს უწყობს ცნებების შინაარსის გააზრებას და ფუნქციური უნარების გააქტიურებას. ანუ ყველა კლუბი უზრუნველყოფს ამას. ასევე მაგალითად დებატები როგორც ფორმა, მეთოდი რათა მოსწავლემ გაიაზროს ცნება და გაიაქტიუროს უნარი არის ყველა კლუბის ქვეშ და არა ცალკე კლუბი. ესე იგი კლუბების ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს საგნობრივი ჯგუფების სწავლების გაფართოება/მოსწავლეებში ცნებების გააზრება საინტერესო შინაარსებით, ინტერაქტიური პრაქტიკული და კრეატიული აქტივობებით, რაც ხელს უწყობს ერთდროულად მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე სამოქალაქო, კოლაბორაციული და კვლევითი უნარების გამომუშავებას. კლუბები ასევე მოინიშნებიან სკოლის სამოქმედო გეგმასა თუ პროექტებში ამოცანების შესაბამისი აქტივობის პასუხისმგებელ ერთეულად.

კლუბების აქტივობებში მოსწავლეები სურვილი და ინტერესის მიხედვით მონაწილეობენ. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:

- სასკოლო კლუბი ''Res Publica", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების სტრუქტურის, იდეების იდეოლოგიების, ღირებულებების, დემოკრატიის პრინციპების, ადამიანის უფლებების, სოციალური კეთილდღეობის და პასუხისმგებლობის, ისტორიული ეპოქის, მოვლენების და პროცესების, ძალაუფლების არსის ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი „პითაგორას კოდი'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა ოპერაციების თვისებების, ურთიერთმიმართების, კანონზომიერების და ლოგიკური კავშირების დადგენას, ალგორითმული აზროვნების განვითარებას, ციფრულ და რეალურ სამყაროს შორის კავშირებისა და განსხვავებების წარმოჩენა გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი ''ოდისეა", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მხატვრული ლიტერატურის ჟანრების, მიმდინარეობის, კომპოზიციის/შინაარსობრივი მხარის, ენობრივი საშუალებების/მხატვრული ხერხების, ბიოგრაფიული, სოციოკულტურული კონტექსტების გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი ''The Globe Society'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ინგლისურ ენაში - მოსმენის, სხვადასხვა ჟანრის და შინაარსის მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულებით შექმნილი ტექსტის კითხვის, მეტყველების და წერის განვითარებას. ლექსიკის და გრამატიკის ფუნქციურად და მართებულად გამოყენებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი ''ორფეოსი'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სახვითი ხელოვნების ენის, საშუალებების (ხაზი, ფერი, ფორმა, შუქ-ჩრდილი), სახვითი ტექნიკის (ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა..), სახვითი ჟანრის (ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი..) გააზრებას. ასევე მუსიკის შინაარსის, მუსიკის გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების (ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია...) გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.
- სასკოლო კლუბი კლუბი ''Gaia's Lab'', რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ბიომრავალფეროვნების, ცოცხალი სისტემების და ნივთიერებების სტრუქტურის და ფუნქციის, სასიცოცხლო თვისებების, ჯანმრთელობისა და დაავადების, ფიზიკური და ქიმიური პროცესების, ენერგიის, ძალის და მატერიის, მდგრადი წარმოების და მოხმარების არსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.

ამოცანა : სკოლის ფსიქოლოგის საქმიანობა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების" კუთხით ცნობიერების ამაღლებას.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
მოსწავლეების/კლასის საჭიროებებზე/გამოწვევებზე მონაცემების მოგროვება და ანალიზი.	მოგროვებული და გაანალიზებულია ინფორმაცია მოსწავლეების/კლასის საჭიროებებზე/გამოწვევებზე	სპონტანურად, თუ თანმიმდევრულად მიმდინარეობს მონაცემების შეგროვება და დამუშავება მოსწავლეების ინტერესებზე და საჭიროებებზე?	დაკვირვება. იდენტიფიცირება.

2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მსვლელობისას მეტწილად უზრუნველყოფილია მოსწავლეების კლასის სოციო-ემოციურ, კოგნიტურ საჭიროებებზე, გამოწვევებზე მონაცმემების მოგროვება და ანალიზი. კერძოდ უზრუნველყოფლია მოსწავლეთა/კლასის სოციო-ემოციურ, კოგნიტურ საჭიროებების გამოწვევების და წარმატების იდენტიფიცირება სკოლის ყოველდღიურ პროცესებზე (საგაკვეთილო, ექსტრაკურიკულური და ა.შ) <u>უშუალო დაკვირვებით</u>. თუმცა ნიშვნელოვანია მასწავლებლის ან პროექტით განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებების მეტად სიღრმისეული შესწავლა კერძოდ:

მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის- სასწავლო გარემოს, მეთოდების, შეფასების, რესურსების, შინაარსის ანალიზი თუ რამდენად უზრუნველყოფს ეს მოსწავლეთა სოციო-ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას.

ასევე პროექტებით განხორციელებული აქტივობების ანალიზი კერძოდ რამდენად უზრუნველყოფს პროექტების აქტივობა მოსწავლეთა ჩართულობას მათ სოციო-ემოციურ განვითარებას.

აქტივობა განგრძობითია შესაბამისად მეორე სემესტრში მნიშვნელოვანია პროექტების და სასწავლო პროცესის მეტად ანალიზი თუ რამდენად უზრუნველყოფს ეს მოსწავლეთა სოციო-ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე შესაბამისი აქტივობების (პრევენციის და ინტერვენციის ღონისძიებების) განხორციელება	განხორციელებულია შესაბამისი აქტივობები.	იგეგმება/ხორციელდება თუ არა აქტივობები მოგროვებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით?	მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული აქტივობები.

2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მსველობისას დაკვირვების ან მომართვის შედეგად დაიგეგმა და განხორციელდა მოსწავლეების სოციო-ემოციური მდგრადობის უზრუნველსაყოფად რამდენიმე აქტივობა.

თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გამოკვეთილი საჭიროების (მასწავლებელთა მომართვა, მოსწავლეთა მომართვა) და პროცესზე დაკვირვების შედეგად პირადი ინიციატივით, სასკოლო საზოგადოებასთან (PR მენეჯერი, მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭო, მასწავლებლები) აქტიური თანამშრომლობით უზრუნველყოფილი <u>იყოს მასწავლებელთა მოსწავლეთა, თანამშრომელთა ხელშეწყობა სოციო-ემოციური და კოგნიტური განვითარებისკენ მიმართული აქტივობების დაგეგმვა, განხორციელებაში, რომელიც მოინიშნება სასკოლო პროექტებში აქტივობებად, ან საგნობრივ კურიკულუმში აისახება დავალების პირობად, საკლასო აქტივობად.</u>

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების) კონსულტირება.	საჭიროებისამებრ ჩატარებულია კონსულტაციები.	სკოლაში ხელშეწყობილია თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების, ურთიერთობის, პასუხისმგებლობის უნარების განვითარებაზე ზრუნვა?	მხარდაჭერა. ზრუნვა. მენტალური ჯანმრთელობა.
2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სკოლის პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭიროების ანალიზის ასევე მასწავლებელთა,მოსწავლეთა თუ მშობლების მომართვის შესაბამისად, განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წევრებთან(მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) ინდივიდუალური თუ ჯგუფური შეხვედრები/კონსულტაციები. შეხვედრაზე <u>აქტიური თანამშრომლობის და დისკუსიის ფორმატში მხარდაჭერის მიზნით ხორციელდებოდა რეკომენდაციების მიცემა, კონსულტირება.</u> საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება. რომლის შემდეგ მასწავლებელს, მოსწავლეს, მშობელს გაუზიარდებოდა მიგნებები და განისაზღვრებოდა საჭიროებები.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
მოსწავლეთა მხარდაჭერის თემაზე, დამრიგებლებისთვის ტრენინგის ორგანიზება.	ჩატარებულია ტრენინგი/სწავლება სკოლის ყველა დამრიგებელზე.	დამრიგებლებს აქვს ცოდნა მოსწავლეთა მხარდაჭერის საჭიროების და მექანიზმების შესახებ? დამრიგებლებს აქვთ გააქტიურებული ემოციური და ქცევითი დამოკიდებულება მოსწავლეთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად?	განვითარების (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო-ემოციური) ფსიქოლოგია. მხარდაჭერა. ზრუნვა. მენტალური ჯანმრთელობა.
როგორც ზემოთ აღინიშნა 2025 წლის ზაფხულში სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა „ზღაპართერაპიის'' სასწავლო პროგრამა I-IV კლასებში და სიბრძნე მინიატურებში პროგრამა V- VI კლასებში. რომელიც წარმოადგენს სკოლის ხედვას დაწყებით საფეხურზე სადამრიგებლო კონცეფციის განხორციელებისა. გვსურს სადამრიგებლო პროგრამა მოსწავლეებს უვითარებდეს ღირებულებებს, დამოკიდებულებებს თუმცა ეს გაიწეროს ცნებების ენაზე, შეიქმნას შემოქმედებითი დავალებები, მობილიზდეს შესაბამისი მასალა... ეს უზრუნველყოფს ღირებულებების, ცოდნის და უნარების ერთობლივ განვითარებას კეთებით სწავლის პროცესში (და არა ცალკე აღებული დიდაქტიკური სადამრიგებლო საათი, როდესაც ეს პროცესი სრულად მოწვეტილია სკოლის სასწავლო პროცესს, ეფუძნებოდა სალექციო ტიპის აღმზრდელობით გაკვეთილებს და შესაბამისად იყო უშედეგო - განათლების ფსიქოლოგიაში ჩატარებული მრავალი კვლევა და სკოლაში სადამრიგებლო კონცეფციის ანალიზი ცხადყოფდა აღნიშნულს). კონცეფციის განხორციელება გულისხმობს ფსიქოლოგის პერმამენტულ მხარდაჭერას, რათა დანერგვის პროცესი ეფექტური იყოს. შესაბამისად ზღაპართერაპიის პროგრამის დანეგვის ფარგლებში დამრიგებლებს და ფსიქოლოგს აქვთ დიალოგი მოსწავლეთა მხარდაჭერის საკითხზე (დავალების პირობები, აქტივობები ისეა შედგენილი რომ მიემართება მოსწავლეების მხარდაჭერას მათი მოტივაციის ზრდას). თუმცა ზღაპართერაპიის პროგრამა დაწყებითი საფეხურის კონტექსტია, საჭიროა მაღალი საფეხურის კლასის დამრიგებლების მეტი მხარდაჭერაც. ასევე ზღაპართერაპიის პროგრამის განხორციელება სრულად იმ ეფექტებს რისი მოლოდინიც იყო ამ ეტაპზე ვერ იძლევა (უკეთესია ვიდრე ადრე, თუმცა მოლოდინი მეტი იყო). საჭიროა მეორე სემესტრში საერთო სამუშაო შეხვედრები სადაც			

კონკრეტული შუალედური მიზნის მაგალითზე დისკუსიის ფორმატში მეტად თანმიმდევრულად მოხდება განხილვა გამოწვევების და წარმატებების. ესე იგი შესაძლებელია დანერგვის პროცესის წარმატება და გამოწვევა განხილულ იქნეს სამუშაო შეხვედრებზე კონკრეტული ქეისებით. რაც უკეთ დაგვანახებს საერთო პრობლემებს, საჭიროებებს. და შესაბამისად მარტივად ვიპოვით გადაჭრის გზებს.			
ამოცანა : დამრიგებლის საქმიანობა ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და დამოუკიდებლობას.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
დამრიგებლის საქმიანობის ახალი კონცეფციის შემუშავება.	შემუშავებულია დამრიგებლის საქმიანობის განმსაზღვრელი ახალი კონცეპტუალური დოკუმენტი; დოკუმენტში ინტეგრირებულია „ზღაპართერაპიის'' და „სიბრძნე მინიატურებში'' სასწავლო კურსი. დოკუმენტი შექმნილია, წინა წლის დამრიგებლის საქმიანობის ანალიზის, შეფასების საფუძველზე და მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს.	რა კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი კონცეფცია?	მიზნების მისაღწევად, საერთო ამოცანების გადასაჭრელად შექმნილი ეფექტური სტრუქტურა;
2025 წლის ზაფხულში შემუშავდა დამრიგებლის საქმიანობის განმსაზღვრელი ახალი კონცეპტუალური დოკუმენტი. დოკუმენტში ინტეგრირებულია „ზღაპართერაპიის'' და „სიბრძნე მინიატურებში'' სასწავლო კურსი. დოკუმენტი შექმნილია, წინა წლის დამრიგებლის საქმიანობის ანალიზის, შეფასების საფუძველზე და მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
დამრიგებლის საქმიანობის შემუშავებული კონცეფციის დანერგვა.	დამრიგებლის საქმიანობა ხორციელდება, შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად.	მიმდინირეობს თუ არა დანერგვის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად? რა ეფექტები აქვს დანერგვის პროცესს?	მიმართება დაწერილ/დაგეგმილ და განხორციელებულ პროცესს შორის.
დამრიგებლის ესე იგი ზღაპართერაპიის და სიბრძნე მინიატურებში პროგრამა მეტწილად ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თანმიმდევრული ხასიათი, გამოკვეთილი მიზნები არის მხედველობის არეალში. მოსწავლეებს აქვთ დავალებები შესასრულებელი. მასალა მეტწილად მუშავდება კლასში. გამოწვევაა პროცესის მონიტორინგი - მასწავლებლები და ფსიქოლოგი (პროგრამის მენტორი) სასურველია მეტად დააკვირდნენ ეფექტებს, ასევე მეტად უნდა აღიწეროს სქულბუქზე პროცესი. საფრთხე არის რომ პროგრამის განხორციელება მიიღებს მექანისტურ ხასიათს. მნიშვნელოვანია გააზრება, რომ შემოქმედებითი დავალების ქუდის ქვეშ შესაძლებელია და აუცილებელიც მოქნილობა, დიფერენცირება, ცოცხალი პროცესი და არა ინდიკატორებზე ორიენტირებით „ნაგილისხმევი'' პროცესი.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
მოსწავლეების ინტერესებზე, საჭიროებებზე მონაცემების მოგროვება და ანალიზი.	მოგროვებული და გაანალიზებულია ინფორმაცია ყველა მოსწავლის	სპონტანურად, თუ თანმიმდევრულად მიმდინარეობს მონაცემების შეგროვება და	დაკვირვება. იდენტიფიცირება.

	ინტერესებზე, საჭიროებებზე, გამოწვევებზე	დამუშავება მოსწავლეების ინტერესებზე და საჭიროებებზე?	

ახალი კონცეფციის - რომელიც მოიცავს შემოქმედებითი დავალებებით პროგრამის განხორციელებას, და რომელსაც აქვს მკაფიო სტრუქტურა - ცნებები, შეფასების კრიტერიუმები (რომელშიც ჩანს ის თუ რა იგულისხმება მოსწავლეების მიერ ცნების გააზრებაში ანუ ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარებაში) - ძლიერი მხარე არის ის, რომ შესაძლებელი გახდა ზუსტად დაგვედგინა მოსწავლეთა წარმატებები და ხარვეზები, თანიმიმდევრულად მოგვეგროვებინა ინფორმაცია მოსწავლეების საჭიროებეზე, ინტერესებზე. (ეს ჩანს შემოქმედებითი დავალების მსველობის დროს - რამდენად ჩართულია მოსწავლე, რამდენად მოსწონს აქტივობები, მასალა და დავალების პირობა, მუშაობს თუ არა ჯგუფში, წყვილში). ასევე არის რეფლექსიის წყარო დამრიგებლისთვის, რადგან გვაქვს მკაფიო პროგრამა ადვილია დადგინდეს - რამდენად უზრუნველყო ჩვენმა პროცესმა მოსწავლეების ფუნქციური უნარების გააქტიურება...

თუმცა პირველი სემესტრის ბოლოს ნაკლებად მოხდა აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენება. ესე იგი მეორე სემესტრში საჭიროა ანალიზი ჩვენი პროცესის, რაც გულისხმობს ზუსტი მონაცემების მოგროვვებას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამის ინსტრუმენტი და წყარო არის შემოქმედებით დავალებებზე დაფუძნებული პროცესი. რაც ძალიან ამარტივებს ვალიდური ინფორმაციის მოგროვვება ანალიზის პროცესს.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე შესაბამისი აქტივობების განხორციელება.	განხორციელებულია შესაბამისი აქტივობები.	იგეგმება/ხორციელდება თუ არა აქტივობები მოგროვებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით?	მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული აქტივობები.

2025-2026 სასწავლო წელს ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობა მოსწავლეებისთვის. თუმცა ის უფრო სპონტანურ ხასიათს ატარებდა. საჭიროა მიზნებზე, პროცესზე მეტად დაკვირვება, და შესაბამისად განხორციელება აქტივობების.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სასკოლო საზოგადოების ინფორმირება (პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით) კლასის და მოსწავლის საჭიროებებზე. სასკოლო საზოგადოების აქტივობებში ჩართვის, ერთობლივად დაგეგმვის შესაძლებლობის ხელშეწყობა.	მოსწავლეების მშობლების კმაყოფილება მზარდია სადამრიგებლო საქმიანობის მიმართებით. სასკოლო საზოგადოება ჩართულია მონაწილეობს მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობის პროცესში.	სასკოლო საზოგადოება არის ერთიანი, შეკრული, თანამშრომლობითი თუ სკოლაში ფორმალურ - ფუნქციური დანაწილებაა?	ინფორმირება. ჩართულობა; თანამონაწილეობა; გაზიარებული პასუხისმგებლობა. ფორმალურ-ფუნქციური დანაწილება VS ერთიანი გუნდი.

პირველ სემესტრში გვაქვს გვაქვს მონაწილეობის დაბალი კიბე - ინფორმირებულობა. განსავითარებელი გვაქვს ჩართულობა; თანამონაწილეობა; გაზიარებული პასუხისმგებლობა. ამას უზრუნველყოფდა სამუშაო შეხვედრების ფორმატი სადაც კონკრეტული ქეისებით (შემოქმედებითი დავალებების ანალიზი) განვხილავადით მთლიანი სკოლის ჩართვის შესაძლებლებს კომპეტენციების მიხედვით. ასე მაგალითად სამუშაო შეხვედრაზე თუ გამოვლინდა, რომ ესა თუ ის შემოქედებითი დავალების პირობა ნაკლებად ააქტიურებს მოსწავლეებს., შესაძლებელია სხვა საგნის მასწავლებელმა გააზიაროს თავისი წარმატებული პრაქტიკა, ან მაღალი საფეხურის მოსწავლეებმა განახორციელონ აქტივობების სერია, საერთო მიზნის და ამოცანის მისაღწევად, რაც მოინიშნებოდა აქტივობად ამა თუ იმ პროექტის ან კურიკულუმის ქვეშ.

თავი III სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის და ეფექტურობის უზრუნველყოფა.

ამოცანა : უზრუნველყოფილია სკოლის საჭიროებებზე მორგებული ორგანიზაციული მოწყობა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობა.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
ახალი მოსწავლეების მიღება.	სკოლას ჰყავს ახალი მოსწავლეები. ჩარიცხვის/მობილობის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის და შინაგანაწესის შესაბამისად.	როგორ ხორციელდება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა/მობილობის პროცესი?	მოსწავლეთა კორპუსის მართვა.

განათლების უფლების რეალიზების/ზოგადი განათლების ღიაობის და თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წინასწარ განთავსდა სკოლის სოციალურ გვერდებზე, სკოლის მესენჯერის ჩათებში ინფორმაცია მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცესის დაწყების შესახებ. დაინტერესებული პირებისთვის - სკოლის ინფრაქსტრუქტურის, მატერიალური რესურსების, სასაწვლო შინაარსების, სწავლის მეთოდების გასაცნობად- სკოლა უზრუნველყოფდა საინფორმაციო შეხვედრებს. საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული მოთხოვნა იყო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ჩარიცხვა/მობილობაზე. აშკარაა დადებითი დინამიკა სკოლა თაობაში ჩარიცხვა/მობილობის მსურველთა რაოდენობის ზრდაზე. ამაზე მეტყველებს ფაქტი, რომ სასწავლო წლის დაწყებმადე რამდენიმე თვით ადრე შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს კლასში/სკოლაში მისაღები ადგილების ოდენობას. (სკოლა თაობაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 18 მოსწავლით). 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 333 ბავშვს, ხოლო 2025-2026 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 345 ბავშვს. გამოკითხვა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ დინამიკის ზრდის ფაქტორი მეტწილად სკოლის შენობაა(ინფრასტრუქტურა, რესურსები, ადგილმდებარეობა), ნაწილობრივ კი სკოლის სასწავლო მეთოდების, საგანმანათლებლო პრინციპების გაზიარება/აღიარება.

ჩარიცხვის/მობილობის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის და სკოლა თაობის შინაგანაწესის შესაბამისად. ჩარიცხვისას ყურადღებას ვაქცევთ რეგისტრაციის ვადებს, მოსწავლეთა ასაკს. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვამდე, ბავშვთან გასაუბრების საფუძველზე სკოლის ფსიქოლოგი ადგენდა ბავშვის სასკოლო მზაობას, ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით. მობილობის შემთხვევაში გასაუბრების ასევე გამოცდის /ტესტირების საფუძველზე ვადგენდით მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობას, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით. საქმისმწარმოებელი აცნობდა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად/მობილობისთვის საჭირო საბუთთა ჩამონათვალს და მათი წარდგენის ვადას. მოსწავლის ჩარიცხვა/მობილობა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის საფუძველზე. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას იხსენება მოსწავლის პირადი საქმე.

<u>დაკვირვება და ანალიზი გვიჩვენებს, რომ მობილობის შემთხვევაში სწარაფი ადაპტაცია/ტრანზიციის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის და ფუნქციური უნარების განვითარების დონის უკეთ დასადგენად, სასურველია მეტად გავითვალისწინოთ და უკეთ გამოვიკვლიოთ გამშვები სკოლის სპეციფიკა, საზოგადოება, გარემო სადაც მოსწავლე ყალიბდებოდა/ყალიბდება.</u>

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
ახალი მასწავლებლების მიღება.	გამოცხადებულია მასწავლებლის მისაღები კონკურსი; სკოლას ჰყავს ახალი მასწავლებლები	როგორ უზრუნველვყოთ ისეთი მასწავლებლების/თანამშრომლის მოზიდვა/მიღება, რომლებიც იზიარებენ სკოლის მისიას ხედვას, მიზნებს, ღირებულებებს?	ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური პოლიტიკა.

2025 წლის ზაფხულში სკოლამ გამოაცხადა მასწავლებელთა მისაღები კონკურსი http://teacherjobs.ge/ საიტის მეშვეობით, სადაც აღწერილი იყო აპლიკანტისადმი წაყენებული პირობები და სამუშაო აღწერილობა. კონკურსი გამოცხადებული იყო: ისტორიის, ქართული ენა და ლიტერატურის(3), ინგლისურის. კონკურსი მოიცავს სამ ეტაპს: განცხადებების განხილვა, გასაუბრება, იმიტირებული გაკვეთილის ჩატარება.

მასწავლებლობის კანდიდატის საკონკურსო ეტაპების წარმართვას ახორციელებს საკონკურსო კომისია. განცხადებების განხილვის ეტაპზე ყურადღება მახვილდება თუ რამდენად აკმაყოფილებს აპლიკანტი კანონმდებლობის მოთხოვნებს კერძოდ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებას.

მასწავლებელთა განცხადებების განხილვის შემდეგ საკონკურსო კომისია გასაუბრებაზე იბარებდა შერჩეულ კანდიდატებს (ვაცნობებდით გასაუბრების თარიღს, მისამართს...). გასაუბრების ეტაპზე შეკითხვები შეეხებოდა მასწავლებლობის კანდიდატის ხედვას საგნის სწავლა-სწავლებაზე (საგნობრივ მიზნებს, შინაარსს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემას, დავალებების საკითხს), კოლეგებთან თანამშრომლობას თვითგანვითარებისა და ურთიერთგანვითარების შესახებ მასწავლებლის ხედვას. მოსწავლის და მასწავლებლის ურთიერთობის პარადიგმაზე.

მესამე ეტაპზე გადასულ მასწავლებელს ნაცვლად იმიტირებული გაკვეთილის ჩატარებისა, ეძლეოდა დავალება, სკოლაში მიღებული კურიკულუმის ჩარჩო დიზაინის და საგანმანათლებლო პრინციპებზე ორიენტირებით დაეგეგმა ერთი შუალედური მიზანი (შემოქმედებითი დავალება, შეფასების კრიტერიუმები საკითხთა სპექტრი და მსველობა როგორ წარმოედგინა). აღნიშნულზე მასწავლებლები აკეთებდნენ პრეზენტაციას და შეირჩა ის მასწავლებლები, ვინც ყველაზე უკეთ დაგეგმა და წარმოაჩინა შუალედური მიზანი.

<u>პირველი სემესტრში ახალი მასწავლებლების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სკოლას შეემატა კვალიფიციური, თანამშრომლობითი უნარის მქონე მასწავლებლები, რომლებიც იზიარებენ სკოლის მისიას/ხედვას და მოსწავლეებს აღიქვამენ განვითარების სუბიექტებად.</u>

2025 წლის დეკემბერში სკოლამ გამოაცხადა მასწავლებელთა მისაღები კონკურსი http://teacherjobs.ge/ საიტის მეშვეობით, სადაც აღწერილი იყო აპლიკანტისადმი წაყენებული პირობები და სამუშაო აღწერილობა. კონკურსი გამოცხადებული იყო ინგლისურის (2) საგანზე. აქაც ეტაპების გავლით შეირჩა მასწავლებლები, რომლებიც მეორე სემესტრიდან ასწავლიან სკოლაში.

აღსანიშნავია, სკოლის ახალი მიდგომა, რომელიც გულისხმობს პრაქტიკანტი მასწავლბლების საკითხს. კერძოდ ზაფხულში შეირჩა ქართულსა და ინგლისურში პრაქტიკანტები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ანაზღაურებადი შრომითი ხელშეკრულება, ისინი ესწრებოდნენ მასწავლებლების გაკვეთილებს ასევე პერიოდულად მასწავლებლის მენტორობით წარმართავდნენ პროცესს.

პირველ სემესტრში ახალ მასწავლებელთაგან ერთ-ერთთან პირადი მიზეზების გამო შეწყდა ხელშეკრულება, თუმცა პრაქტიკანტი მასწავლბელს მიეცა შესაბამისი საათები და გაფორმდა მასთან შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ასევე ინგლისურის პრაქტიკანტმა მასწავლებელმა ჩაანაცვლა უფროსი მასწავლებელი რომელიც არის მეორე სემესტრიდან დეკრეტულ შვებულებაში.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
პერსონალის ფუნქციური აღმწერების განახლება. 2025-2026 წლის პერსონალის სამუშაო გეგმის შექმნა.	პერსონალს აქვს 2025-2026 წლის სამუშაო გეგმა; სამუშაო გეგმა შექმნილია, წინა წლის საქმიანობის ანალიზის, შეფასების საფუძველზე და მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს.	რატომ აქვს სკოლას ამგვარი (და არა სხვაგვარი) სტრუქტურა?	ფუნქცია-მოვალეობების მისიის და მიზნების რეალიზებისკენ მიმართვა.
2025 წლის ზაფხულში განახლდა პერსონალის ფუქნციური აღმწერები და შეიქმნა სამუშაო გეგმის ახალი ჩარჩო ფორმა, რომლის სტრუქტურაც ნათელს ხდის სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პერსონალის ფუნქციის და სკოლის მიზნების და ამოცანების ურთიერთმიმართებას.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
კათედრების და პედსაბჭოს საქმიანობის ახალი კონცეფციის შემუშავება.	შემუშავებულია კათედრების საქმიანობის განმსაზღვრელი ახალი კონცეპტუალური დოკუმენტი; დოკუმენტი შექმნილია, წინა წლის კათედრების საქმიანობის ანალიზის, შეფასების საფუძველზე და მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს.	რა კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი კონცეფცია?	მიზნების მისაღწევად, საერთო ამოცანების გადასაჭრელად შექმნილი ეფექტური სტრუქტურა;

2025 წლის აგვისტოში შემუშვდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა მასწავლებელთა თვითმმართველი ორგანოს საქმიანობის ახალი კონცეფცია. ახალი კონცეფციის სახლეწოდებაა „მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმა'', შექმნის მიზანია სკოლაში მთლიანობითი აღქმის დანერგვა. მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის სტრუქტურის მოდელი, დაფუძნებულია გუნდურ პასუხისმგებლობასა და თანამშრომლობით მართვაზე. ასეთი სტრუქტურა ხელს შეუწყობს მასწავლებელთა ჩართულობის ზრდას, პროფესიულ განვითარებას და ტრანსფორმაციული ლიდერების გამოკვეთას. სტრუქტურის მოდელი უზრუნველყოფს საერთო ამოცანების გუნდურად, ურთიერთმხარდაჭერით შესრულებას, რომელთა ზუსტი რაკურსი გამოკვეთილია სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმში მონიშნული აქტივობებით. მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის სტრუქტურული ერთეულია:

1. <u>მასწავლებელთა ფორუმი (პედსაბჭო)</u> - რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი. მასწავლებელთა ფორუმს არ ჰყავს ხელმძღვანელი პირი (აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს თანამონაწილეობის მექანიზმის შექმნას, რომელიც ეფუძნება თანასწორობას, ღიაობას, გუნდურობასა და საერთო გადაწყვეტილების პროცესს). ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

მასწავლებელთა ფორუმი არის ერთი მხრივ მიზნების მისაღწევად სკოლის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული. მეორე მხრივ მასწავლებელთა ფორუმის სამუშაო შეხვედრები არის ფუნქციის შესასრულებლად პროცესის ორგანიზების ეფექტური ფორმა/საშუალება სადაც ორგანიზდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასწავლებლების ფართე ჩართულობის შესაძლებლობა.

მასწავლებელთა ფორუმი იკრიბება კალენდარული წლის განმავლობაში ხუთჯერ (სექტემბერი, ნოემბერი, დეკემბერი, მარტი, ივნისი).

მასწავლებელთა ფორუმის ფუნქციები:

- საერთო ამოცანების გადასაჭრელად შემუშავებული სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი წარედგინება მასწავლებელთა ფორუმს, რომელიც გაეცნობა პროექტს, ამატებს ინიციატივას (ასაბუთებს საჭიროებას) ან ახდენს არსებული აქტივობის მოდიფიკაციას (დასაბუთებული არგუმენტაციით).

რომლის შემდეგ სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო ვარიანტი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. დირექტორი უფლებამოსილია შემუშავებული სამოქმედო გეგმის პროექტი უკან დააბრუნოს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული პროექტის წარდგენის ვადა განისაზღვრება 5 სამუშაო დღით.

- მასწავლებელთა ფორუმს წარედგინება/გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრაზე დისკუსიის ფორმატში განიხილება და საბოლოო სახით ფორმირდება საერთო ამოცანების გადასაჭრელად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის პროექტი. რომელიც შემდეგ მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. დირექტორი უფლებამოსილია შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის პროექტი უკან დააბრუნოს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული პროექტის წარდგენის ვადა განისაზღვრება 5 სამუშაო დღით.
- მასწავლებელთა ფორუმის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრაზე ხორციელდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საერთო ამოცანების გადასაჭრელად განხორციელებული აქტივობების განხილვა/წარდგენა/ანალიზი. რომლის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახდენს სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო შეფასებას და ქმნის ანგარიშს.
- მასწავლებელთა ფორუმის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრაზე ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის განხორციელების განხილვა/ანალიზი, რომლის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახდენს სასკოლო კურიკულუმის განხორციელების საბოლოო შეფასებას და ქმნის ანგარიშს.
- მასწავლებელთა ფორუმის სამუშაო შეხვედრებზე ხორციელდება სკოლის პროცესებზე ინიციატივების, იდეების, გეგმა პროექტების წარდგენა, რომელიც სკოლის მისია/მიზნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ დაინერგება და განხორციელდება (პროექტის, აქტივობის, ღონისძიების, დოკუმენტის, მექანიზმის და ა.შ. სახით).

2. <u>საგნობრივი განვითარების გუნდები (კათედრა)</u> - სკოლაში ფუნქციონირებს: ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი განვითარების გუნდი, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი განვითარების გუნდი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი განვითარების გუნდი, უცხოური ენების საგნობრივი განვითარების გუნდი; მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი განვითარების გუნდი, სპორტისა და ესთეტიკის საგნობრივი განვითარების გუნდი. რომლის წევრები არიან შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები.საგნობრივი განვითარების გუნდი გადაწყვეტილებას იღებს ერთობლივად <u>(არ ჰყავს ხელმძღვანელი პირი).</u> ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება. სამუშაო შეხვედრებზე გადაწყვეტილება მიიღება <u>საერთო კონსესუსით</u>.

საგნობრივი განვითარების გუნდები არის სკოლის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული რომლის მიზანია საგნობრივი ჯგუფების სწავლების გაფართოება, ცოდნის გაღრმავების/ცნებების შინაარსის გააზრების ხელშწყობა. ხოლო საგნობრივი განვითარების გუნდების სამუშაო შეხვედრები არის ფუნქციის შესასრულებლად პროცესის ორგანიზების ეფექტური ფორმა/საშუალება.

საგნობრივი განვითარების გუნდები იკრიბება კალენდარული წლის განმავლობაში ხუთჯერ (სექტემბერი, ნოემბერი, დეკემბერი, მარტი, ივნისი).

საგნობრივი განვითარების გუნდების ფუნქციები:

- გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით საერთო ამოცანების გადასაჭრელად <u>ერთობლივად</u> <u>იგეგმება</u> სასწავლო პროცესი / იქმნება საგნობრივი კურიკულუმები კერძოდ - განისზღვრება შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო შინაარსები, სასწავლო რესურსები. განისაზღვრება სასწავლო მეთოდების და სტრატეგიების რაკურსი;
- სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური თანამშრომლობით, გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, საერთო ამოცანების გადასაჭრელად <u>ერთობლივად იგეგემება</u> კლუბის ფორმატში მოსწავლეებისთვის შესათავაზებელი კონტექსტები და აქტივობები;

- სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური თანამშრომლობით, გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, საერთო ამოცანების გადასაჭრელად ერთობლივად განისაზღვრება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოსანიშნი აქტივობები, რომლებიც შეეხება საგნობრივი ჯგუფის სწავლების გაფართოებას.
- საგნობრივი განვითარების გუნდების შეხვედრებზე გაანალიზდება საერთო ამოცანების გადასაჭრელად განხორციელებული სასწავლო პროცესი/კურიკულუმი კერძოდ - გაზიარდება მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე, ასევე გაზიარდება ხელშესახები მიგნებები განხორციელებული - შემოქმედებითი დავალებების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების - ეფექტიანობის შესახებ. რომლის საფუძველზეც დაიგეგმება გადამუშავებული კურიკულუმები.
- საგნობრივი განვითარების გუნდების შეხვედრებზე გაანალიზდება საერთო ამოცანების გადასაჭრელად კლუბების ფორმატში განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობა. რომლის შემდეგაც მოინიშნება ახალი აქტივობები.
- საგნობრივი განვითარების გუნდების შეხვედრებზე გაანალიზდება საერთო ამოცანების გადასაჭრელად სამოქმედო გეგმით განხორციელებული იმ აქტივობების ეფექტიანობა, რომელიც შეეხებოდა საგნობრივი ჯგუფის სწავლების გაფართოებას. აღნიშნულის შემდეგ მოინიშნება ახალი აქტივობები.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
კათედრის და პედსაბჭოს საქმიანობის შემუშავებული კონცეფციის დანერგვა.	კათედრების და პედსაბჭოს საქმიანობა ხორციელდება, შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად.	მიმდინირეობს თუ არა დანერგვის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად? რა ეფექტები აქვს დანერგვის პროცესს?	მიმართება დაწერილ/დაგეგმილ და განხორციელებულ პროცესს შორის.

კათედრების და პედსაბჭოს საქმიანობა ხორციელდება, შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად.
საგნობრივი განვითარების გუნდების შეხვედრაზე კი მოხდა დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელების სტრატეგიების მოდელირება (გზის განსაზღვრა, რომლითაც პროცესი განხორციელდება). სადისკუსიო შეკითხვებით- როგორ შევასრულებთ დაგეგმილ პროცესს? რას შევასრულებთ და რის შემდეგ? ასევე მსჯელობა იყო როგორ უზრუნველვყოთ კლუბების ფორმატში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით, მოსწავლეებში ფუნქციური უნარების გააქტიურება და ცნებების შინაარსის გააზრება? მოხდა სასწავლო პროცესის განხორციელების შუალედური შეფასება საკვანძო შეკითხვებით - მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად (მონიტორინგი)? აქვს თუ არა პროცესებს ჩვენი მოლოდინების შესაბამისი ეფექტი (შეფასება)?
მასწავლებელთა ფორუმის შეხვედრებზე კი განხილულ იქნა საკითხები - რამდენად ზუსტად უპასუხებს შემუშავებული კურიკულუმი მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს? ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკის და ხედვის განხილვა შეკითხვით უზრუნველყოფს თუ არა სკოლა მასწავლებელთა მოტივაციის ზრდას?
როგორც ხედავთ დანერგვის პროცესში აქცენტი კეთდება საერთო ამოცანების ერთობლივად გადაჭრის კონცეფციაზე ასევე გუნდურობასა და თანამშრომლობაზე. სკოლის ყოველდღიურ პროცესებშიც არის მხარდამჭერი და თანამშრომლობითი ატმოსფერო. ზრუნვაზე და მხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობები.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სტაჟირების პროგრამის განხორციელება.	სტაჟირების პროგრამაში თითოეულ ეტაპზე მონაწილეობს არანაკლებ სამი ადამიანი. სტაჟირების პროგრამის მონაწილეებმა განივითარეს თეორიული და	როგორ და როდის განხორციელდა სტაჟირების პროგრამა?	სტაჟირება. განვითარებაზე ორიენტირებულობა.

	პრაქტიკული ცოდნა ცნებების პედაგოგიკაზე.		

2025 წლის ოქტომბერში სკოლამ გამოაცხადა სტაჟირების შესახებ. თუმცა განსხვავებით 2025 წლის მარტისა, ოქტომბერში მსურველები არ ყოფილან.
სკოლა მეორე სემესტრშიც გამოაცხადებს სტაჟირებას როგორც აკადემიური მიმართულებით (მასწავლებლის მსურველი) ასევე ადმინისტრაციაში.
ანალიზი ცხადყოფს რომ მაღალი აქტივობის შესაძლებლობა იქნება თუ სამომავლოდ სტაჟირებას გამოვაცხადებთ აგვისტოს ბოლოს სექტემბერში. ამ დროს მეტად ეძებს საზოგადოება, სტუდენტები შესაძლებლობებს. (კულტურულად ხომ სექტემბერი ახლის დაწყებასთან ასოცირდება, ოქტომბერში კი როგორც წესი უკვე აქვთ გეგმა ადამიანებს ან იანვარს ელოდებიან.).

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
ევროპაში არსებული წარმატებული სკოლების გამოცდილების შესწავლა.	მოკვლეულია და გაანალიზებულია სულ მცირე ორი სკოლის წარმატებული გამოცდილება.	რა კრიტერიუმებით შეირჩა წარმატებული ორგანიზაციები?	განვითარებაზე ორიენტირებულობა

სკოლამ მოიკვლია და გაანალიზა წარმატებული სკოლების მოდელები. კრიტერიუმი შერჩევის იყო concept-based curriculum დაფუძნებული სკოლები. ესტონური და IB სკოლების მოდელის შესწავლით სკოლაში დამუშავდა მასალა და იგეგმება სამომავლოდ დანრეგვა (საათობრივი ბადის და ცნებების გასააზრებლად შინაარსების განსაზღვრის ლოგიკა).

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
მასწავლებელთა სახელფასო პოლიტიკის ახალი კონცეფციის შემუშავება.	შემუშავებულია ჩარჩო კონცეფცია; პოლიტიკა მიემართება სკოლის მიზნებს. დოკუმენტი გაზიარებულია მასწავლებლებთან.	რა კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი კონცეფცია?	HR პოლიტიკა.

სკოლამ შეიმუშავა მასწავლებელთა სახელფასო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, რომელიც აისახა სკოლის HR პოლიტიკაში. კონცეფციის პროექტი განხილულ იქნა სამუშაო შეხვედრებზე და ამის შემდეგ დამტკიცდა. კონცეფცია ამოდის სკოლის მართვის ფუნქციური მოდელის პარადიგმიდან. კერძოდ კონცეფცია ეფუძნება საერთო ამოცანების მიღწევის ლოგიკას - მართვა ეფუძნება **ფუნქციებს**, არა სტატუსებს და სტრუქტურულ „სართულებს''.
სკოლის მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მინიმუმ 75% სტატუსით შესრულების შემთხვევაში სკოლის **თითოეული თანამშრომელი** მიიღებს ანაზღაურების **30% ოდენობის პრემიას**, ხოლო ის სკოლის მასწავლებელი/ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებმაც გამოავლინეს ტრანსფორმაციული ლიდერობა და მაქსიმალურად ხელს შეუწყობს სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულებას მიიღებენ ანაზღაურების **100%-ის ოდენობის პრემიას.**
ნაცვლად ფორმალურ-ფუნქციური დანაწილებისა ამ კონცეფციით განვითარება, ხელს უწყობს სკოლაში ტრანფორმაციული ლიდერების წარმოქმნას. ესენი არიან მასწავლებლები, რომლებიც სკოლებში „სიტუაციურ ლიდერებად“ მოგვევლინებიან, გაუძღვებიან პროცესებს გამომდინარე იქედან, რომ სხვაზე მეტად აუღეს ალღო სასკოლო კურიკულუმის განვითარების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გამოკვეთილი საერთო ამოცანების რეალიზების პროცესს. ლიდერობა გამოიხატება - სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ეფექტურად განხორციელებაში, სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობაში, კოლეგების მხარდაჭერაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარმართვაში და ასე შემდეგ. ანუ ყველაფერი ის რაც ხელს შეუწყობს საერთო ამოცანების მიღწევას. *თუმცა ლიდერობა დაკავშირებულია არა სტატუსთან (ლიდერების პოზიცია სკოლაში ოფიციალურად არ არის მარკირებული), არამედ კოლეგების დახმარებასა და მხარდაჭერასთან. ესე იგი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლეგა-მასწავლებლებთან თანამშრომლობას (peer-coaching). სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს ლიდერობას.*

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სკოლის პროცესებში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების ინტეგრირება.	ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შედეგად გაზრდილია სკოლის პროცესების ეფექტურობა.	როგორ უზრუნველყვყოთ საგანმანათლებლო პროცესში AI ინტეგრირება ისე, რომ მოხდეს მისი მიზნობრივად, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება?	ხელოვნური ინტელექტი როგორც შესაძლებლობა.

2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში გაგრძელდა (თუმცა მეტად მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად) პროცესებში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების ინტეგრირება. მთავარი გამოწვევა იყო მისი როგორც ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენების მექანიზმების დანერგვა. კურიკულუმის დაგეგმვა განხორციელებისას რამდენიმე საგანში AI გამოყენებული იქნა როგორც ინსტრუმენტი უკუდიზაინის პრინციპით დაგეგმვის იმ ეტაპზე როდესაც მიზნების, შეფასების კრიტერიუმების და თემატური ბლოკების შერჩევის შემდეგ - ხელოვნური ინტელექტით მასწავლებლები ქმნიდნენ შემოქმედებითი დავალების პირობას და ასევე AI ეხმარებოდა მასწავლებლებს დავალების და კრიტერიუმის ქვეშ რესურსთა მობილიზებაში. იყო მცდელობა AI -ს განესაზღვრა გაკვეთილების მსვლელობა, მაგალითად აქტივობები დაეგეგმა, განხორციელების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს ნაკლებად წარმატებულია. თავისთავად იყო შემოთავაზებული იდეები თუმცა კლასის დინამიკა, მოსწავლეთა საჭიროება და მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრვას აქტივობების ხარისხს და ეფექტს. შესაბამისად მსვლელობის დაგეგმვა და განხორციელება უშუალოდ პროცესზე დაკვირვებით ხდება ამიტომ ეს კვლავ მასწავლებლის და მოსწავლეები ერთობლივი განსასაზღვრია. ეფექტურია AI გამოყენება სწრაფი ტესტების შესადგენად.

სკოლის დამატებით და მმართველობით პროცესებში AI როგორც ინსტრუმენტი გამოყენებულია - ასე მაგალითად ხელოვნურმა ინტელექტმა გაამარტივა ცნებების პედაგოგიკაზე და წარმატებულ პრაქტიკაზე ინფორმაციის თავმოყრა დაჯგუფება, თარგმნა. ასევე ბიბლიოთეკის საქმიანობის გასამარტივებლად საძიებო სისტემისთვის სკოლამ დაიწყო AI გამოყენება.

გამოწვევად რჩება მოსწავლეების მიერ AI „ბოროტად გამოყენება'' ესე იგი არა როგორც მასალის დასაჯგუფებელი ან დამხმარე ინსტრუმენტი არამედ დავალებების შემსრულებლად ქცევა. აღნიშნული საკითხი მოწესრიგდება მხოლოდ მაშინ როდესაც საგაკვეთილო პროცესი სრულად დეფუძნება თანამშრომლობით და კეთებით სწავლება, ასეთ დროს მოსწავლეებს ერთი მხრივ ვადგენთ მოსწავლეების რეალურ ცოდნას ქმედებით და არა საბოლოო პროდუქტით და მეორე მხრივ მოსწავლეებს უჩნდებათ კომპეტენტურობის განცდა შესაბამისად აღარ „მირბიან'' პასუხების საძებნელად. ესე იგი მოსწავლეების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ხდება იმიტომ რომ - დავალება რთულია ან/და დავალება მათი ინტერესის შესაბამისი არ არის. გამოსავალი არის კეთებით სწავლება, საინტერესო დავალებების შეთავაზება და მათი კომპეტენტურობის განცდის ამაღლებაზე მუშაობა.

ამოცანა : სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის განვითარებასა და ეფექტურ ფუნქციონირებას.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
ინფრასტრუქტურის კოსმეტიკური განახლება	საჭიროებისამებრ განახლებულია ინფრასტრუქტურა (სამღებრო სამუშაოები, შეკეთება და ა.შ)	სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის მიზნების მიღწევაში?	სკოლის საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება.

2025-2026 სასწავლო წელს ინფრასტრუქტურის მიმართულებით, სკოლაში განხორციელდა კოსმეტიკური განახლების სამუშაოები. თანამედროვე სკოლის საჭიროებებზე/მოთხოვნილებებზე მორგებული ინფრასტრუქტურით, ხელშეწყობილია სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება, სადაც ხარისხიანი განათლების მიღებასთან ერთად, მოსწავლეებს, მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა აქტივობების განხორციელების, ფილმების ნახვის, სტუმრების მოწვევის, დისკუსიების/პოდკასტების მოწყობის და ა.შ. რაც თავის მხრივ ეხმარება სკოლას მიაღწიოს ერთ-ერთ მიზანს მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
მატერიალური რესურსის შეძენა.	შეძენილია სულ მცირე ორი პერსონალური კომპიუტერი;	სკოლას აქვს მიზნების მისაღწევად საკმარისი მატერიალური რესური?	საკმარისი და ხარისხიანი მატერიალური რესურსი. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება.

„მოსწავლე სუბიექტის'' პარადიგმა, მოიაზრებს სასწავლო პროცესის თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებით წარმართვას. მათ შორის მოსწავლეებს და მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ რესურსების/მასალის ინტერესების, საჭიროებების მიხედვით არჩევის შესაძლებლობა (*მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი. ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია - მოსწავლეს აქვს აზრის გამოთქმის და არჩევანის შესაძლებლობა Voice And Choice, კერძოდ აფიქსირებს აზრს პროცესზე და აკეთებს არჩევანს რესურსების /სტრატეგიების მხრივ, რა ტიპის რესურსის და რა მასალის გამოყენებით გაიაზრებს ცნებას).* ამისთვის კი საჭიროა საკმარისი ტექნოლოგიურ/მატერიალური რესურსები, რომელიც მასწავლებლებს დაეხმარება ხარისხიანი/ეფექტური სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, მოსწავლეებს კი დაეხმარება ხარისხიანი განათლების მიღებაში.

2025 -2026 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ შეიძინა რამდენიმე კომპიუტერი, შესაბამისად გაიზარდა სასწავლო პროცესის ეფექტური ორგანიზების მაჩვენებელიც. სკოლამ ასევე შეიძინა პოდკასტების და სხვა ტიპის ვიდეო კონტენტების შესაქმნელი აპარატურა და დამხმარე საშუალებები (განათებები და ა.შ) რაც დადებითად აისახა მოსწავლეთა ჩართულობაზე და მეორე მხრივ სკოლის ცნობადობის ზრდაზე, ვინაიდან სკოლაში დაიწყო მაღალი ხარისხის ვიდეო კონტენტის შექმნა და სოციალური ქსელების გვერდზე განთავსება.

თუმცა სასწავლო და დამხმარე პროცესებზე დაკვირვება, მასწავლებელთა მიერ გამოყენებული რესურსების *ანალიზი გვაჩვენებს, რომ სკოლა საჭიროებს დაწყებით საფეხურის რამდენიმე კლასში ახალი პროექტორის შეძენას, ასევე მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის სამუშაო ლეპტოპები მასწავლებლებისთვის, რათა დაგეგმილის შესაბამისად განხორციელდეს სასწავლო პროცესი.*

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
ინფრასტრუქტურის/მატერიალური რესურსის ფუნქციურად გამოყენების მონიტორინგი/შენარჩუნებაზე ზრუნვა.	მონიტორინგის პროცესი მიმდინარეობს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად.	რამდენად ეფექტური/მოქნილია ინფრასტრუქტურის/მატერიალური რესურსის ფუნქციურად გამოყენების მონიტორინგი/შენარჩუნებაზე ზრუნვა?	რესურსების ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება.

ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსის გამართულად ფუნქიონირების ხელშეწყობის მიმართულებით, რათა ტექნიკურმა გამოწვევებმა არ შექმნას საფრთხე ძირითადი პროცესის- ხარისხიანი და საჭიროებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებისა და შევძლოთ სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევა, აპრობირებული მექანიზმია შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/სტ.ერთეულის მიერ პროცესების მუდმივი დაკვირვება სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად, რაც მოითხოვს პასუხისმგებელი პირის მისაწვდომობას, სკოლის სივრცეში ყოფნას სასწავლო პროცესის დაწყებამადე, მიმდინარეობისას და დასრულებისას.

სკოლაში მეტწილად ეფექტურად მიმიდინარეობს ინფრასტრუქტურის ფუნქციურად გამოყენების მონიტორინგი/შენარჩუნებაზე ზრუნვა. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ მოსწავლეთა უმრავლესობის პოზიტიური ქცევა ასევე სკოლის გამართული მექანიზმი - რაც გულისხმობს მთლიანი ადმინისტრაციის და მასწავლებელთა კორპუსის ჩართულობას, დამრიგებლების მიერ კლასების მონიტორინგს

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სკოლის კომპიუტერული, ქსელური და ციფრული ტექნოლოგიების გამართულად ფუნქიონირების ხელშეწყობა.	უზრუნველყოფილია სკოლის კომპიუტერული, ქსელური და ციფრული ტექნოლოგიების გამართულად ფუნქციონირება.	რამდენად გამართულია/ეფექტურია/მოქნილია სკოლის კომპიუტერული, ქსელური და ციფრული ტექნოლოგიების ფუნქციონირება?	ტექნოლოგიური რესურსების ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება.
2025-2026 სასწავლო წელს მეტწილად უზრუნველყოფილი იყო ტექნოლოგიური რესურსების ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა. თუმცა დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი (პრინტერის გაუმართავობა გამოცდის დღეებში), როდესაც ტექნოლოგიების გაუმართაობამ, ინტერვენციის მოუქნელობამ დააზარალა სასწავლო პროცესის ეფექტურობა. პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ერთი მხრივ პროცესის ისე შეთანხმება დადგეგმვა, რომ რესურსები იყოს მასწავლებელთათვის მეტად ხელმისაწვდომი და ამავდროულად მასწავლებელს მეტად ეფექტურად და მოქნილად დაეხმაროს ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების ხელშეწყობის მხრივ (დაკავშირება, ქსელის გამართვა და ა.შ).			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
ბიბილოთეკის მენეჯმენტის წარმატებული გამოცდილების შესწავლა. სკოლის სპეციფიკაზე მორგება.	შესწავლილია არანაკლებ 2 ორგანიზაციის წარმატებული გამოცდილება და გაანალიზებულია სკოლის სპეციფიკაზე მორგების შესაძლებლობა.	რატომ უნდა განვავითაროთ საბიბლიოთეკო სერვისი?	საბიბლიოთეკო სერვისის განვითარება. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება.
2025-2026 სასწავლო წელს ბიბლიოთეკის სერვისის მეტი ეფექტურობის მიზნით მოხდა აღრიცხვის ჟურნალის გაელექტრონულება და საძიებო სისტემისთვის AI გამოყენების დაწყება. ეს კოსმეტიკური ცვლილება არის დადებითი ტენდენცია, თუმცა ამ ეტაპზე არ განხორციელებულა ბიბლიოთეკის საქმიანობის მთლიანობითი შესწავალა და წარმატებული გამოცდილებების კვლევა დანერგვა.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
ბიბლიოთეკის ფონდის შევსება მატერიალური და ელექტრონული რესურსებით და მათი სისტემატიზაცია.	შეძენილია 30-დან 50-მდე მატერიალური საბიბლიოთეკო რესურსი და შეგროვებულია 80-დან 100-მდე ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსი.	ფონდის შევსება საბიბლიოთეკო სერვისით მოსარგებლეთა ინტერესების, საჭიროებების შესაბამისად ხორციელდება?	ეფექტური და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება.
2025-2026 სასწავლო წლისთვის სკოლამ უზრუნველყო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება მატერიალური რესურსებით. ჯერჯერობით არ განხორციელებულა ელექტრონული რესურსების მობილიზება დაჯგუფება და სისტემატიზაცია. ასევე გამოწვევაა პროცესის თანმიმდევრულობა და ციკლურობა. კერძოდ ფონდის შევსებამდე საჭიროა კვლევა და ზუსტი მონაცემები თუ კონკრეტულად რა წიგნებზე არის მოთხოვნა და საჭიროება. აღნიშნულის მოწესრიგებას ხელს შეუწყობს AI შემოყვანა პროცესში, რაც ბიბილიოთეკის მენეჯერს გაუმარტივებს პროცესის ადმინისტრირებას და უზრუნველყოფს ვალიდური მონაცემების მოგროვებას 9ეს პროცესი უკვე დაწყებულია).			

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სპორტული ინვენტარის შეძენა/განახლება.	საჭიროებისამებრ შეძენილია სპორტული ინვენტარი.	ინტენტარის შეძენა კურიკულუმის მიზნების და მოსწავლეების ინტერესების, საჭიროებების შესაბამისად ხორციელდება?	ეფექტური და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება.
2025-2026 სასწავლო წელს სკოლამ შეიძინა ახალი სპორტული ინვენტარი, კურიკულუმის მიზნების და მოსწავლეების ინტერესების, საჭიროებების შესაბამისად.			
ამოცანა : უზრუნველყოფილია პოსტფორდისტული მიდგომა, სკოლა ორიენტირდება მასწავლებლების და სკოლის სხვა პერსონალის შინაგანი მოტივაციის ზრდაზე, ჰორიზონტალურ ურთიერთობებსა და მხარდაჭერაზე.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
ახალი თანამშრომლების გარემოსთან/კოლექტივში ინტეგრაციის ხელშეწყობა.	უზრუნველყოფილია ორგანიზაციული კულტურის, გაცნობა, სკოლის დათვალიერება; ახალი თანამშრომლი წარდგენილია კოლექტივისთვის პედსაბჭოზე/შეხვედრაზე; თანამშრომელი დამატებულია სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში; უზრუნველყოფილია სამუშაოს შესაბამისი კულტურის, არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების, სამომავლო პერსპექტივების გაცნობა, თანამშრომლისთვის საჭირო დოკუმენტების (შინაგანაწესი და სხვა) გადაცემა/გაცნობა.	როგორი (ფრაგმენტული, თუ ინტენსიური) ხასიათი აქვს თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესს? რა ფაქტორები უწყობს/უშლის ხელს თანამშრომლობის ადაპტაცია/ინტეგრაციის პროცესს?	სასკოლო კულტურა.
ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სკოლამ 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში ხელშეკრულება გაუფორმა რვა ახალ თანამშრომელს. სკოლაში უზრუნველყოფილ იქნა, ახალი თანამშრომლებისთვის სამომავლო პერსპექტივების გაცნობა, საჭირო დოკუმენტების გადაცემა. დავამატეთ სკოლის ჩათებში, გაერთიანებულ შეხვედრაზე თანამშრომლებისთვის წარდგენა. ტექნიკური ნაწილი თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესში სკოლაში წესისამებრ განხორციელდა. სასკოლო კულტურის განვითარებისთვის, რათა სკოლამ მიაღწიოს დასახულ მიზნებს, სკოლაში მეტწილად ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ახალი თანამშრომლების ყოველდღიურ მხარდაჭერას, მათ საჭიროებების კვლევას, ზრუნვას მათ გამოწვევებზე. ასე მაგალითად ახალი მასწავლებლების უმრავლესობისთვის სკოლაში მუშაობა ახალი/პირველი გამოცდილებაა, შესაბამისად მეტად ინტენსიურად ხორციელდებოდა კურუკულუმის დაგეგმვა/განხორციელების პროცესში მათი მხარდაჭერა, ცნებების პედაგოგიკაზე, სკოლაში აღიარებულ სწავლების მეთოდებზე დისკუსია და შესაბამისი უკუკავშირის გზამკვლევების მიწოდება. დადებით როლს თამაშობდა ადაპტაციის პროცესში, გამოცდილი კოლეგების ნაწილი, რომლებიც არაფორმალურ გარემოში ზრუნავენ ახალი თანამშრომლების ადაპატაციაზე. პროცესებზე დაკვირვება, ახალ თანამშრომლებთან ინდივიდუალური საუბარი, მათ მიერ დასმული			

საკითხების/შეკითხვების ინტენსივობა და ხასიათი, სკოლის ექსტრაკურიკულურ აქტივობებში მათი მონაწილეობის ხარისხი, ასევე ახალი მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობების ინტესივობა და ხარისხი, დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გვაძლევს თქმის საფუძველს, რომ *სკოლაში ახალი თანამშრომლების ტრანზიციის პროცესი წარმატებით განხორციელდა. ამას მეტყველებს მათი წარმატებული პრაქტიკა და სკოლისადმი მაღალი მიკუთვნებულობა, მაღალი პასუხისმგებლობა და ხშირად სიტუაციური ლიდერობის გამოვლენა.*

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგის და ანალიზის საფუძველზე პროფესიული დახელოვნების აქტივობების განხორციელება.	საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მასწავლებელთა არანაკლებ 60%-თან განხორციელებულია პროფესიული დახელოვნების აქტივობები. აქტივობები განხორციელდა პოზიტიურ გარემოში, თანამშრომლობით (peer-coaching) ფორმატში. მასწავლებელთა გააზრების დონე ცნებების პედაგოგიკასა და კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე მზარდია.	მასწავლებლის პროფესიულ დახელოვნებასთან დაკავშირებული აქტივობები კავშირშია სკოლის განვითარების სტრატეგიასთან? პროფესიული განვითარება აღიქმება როგორც ყოველდღიური პროცესი? აქვს სასკოლო საზოგადოებას საკმარისი ურთიერთნდობა?	სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება. შინაგანი მოტივაცია VS გარეგანი მოტივაცია; მხარდაჭერა VS დასჯა-წახალისება

სკოლაში 2025 წლის ზაფხულში შეიქმნა მასწავლებელთა თანამშრომლობის პლატფორმის კონცეფცია, სადაც თანმიმდევრულად გაიწერა თუ რა იგულისხმება და როგორ ხორციელდება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების ხელშეწყობა. აღვნიშნავთ, რომ ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო წინა წლებში, ვინადიან საზოგადოებაში პროფესიული განვითარება აღქმულია როგორც რაღაც განყენებული გარე მექანიზმი და ხშირად არ არის კავშირში სკოლის მიზნებსა და საჭიროებებთან, სწორედ ამ გამოწვევის გადასაჭრელად შემუშავდა თანმიმდევრული პოლიტიკა და მის მიხედვით ხორციელდება 2025-2026 სასწავლო წელს მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების აქტივობობი.

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მასწავლებლის პროფესიულ დახელოვნებასთან დაკავშირებული აქტივობები მჭიდრო კავშირში იყო სკოლის მისია/მიზნებთან, სკოლაში აღიარებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პარადიგმასთან, ცნებების პედაგოგიკასთან. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროცესი ორიენტირებული იყო მხარდაჭერაზე, ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობაზე. შემცირდა ფორმალური ვალდებულებები. მასწავლებელთა გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე განიხილებოდა კონკრეტული მაგალითებით მოსწავლეთა ჩართულობის და ცნებების შინაარსის გააზრებაში პროგრესის ანალიზი. შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობის და ვალიდურობის ანალიზი. სწორედ ასე დანერგილი სამუშაო შეხვედრების სტრუქტურა/ფორმატი და შეთავაზებული ინსტრუმენტები (მაგ: შემოქმედებითი დავალების ერთობლივად შექმნა) ქმნიდა დიალოგის პლატფორმას, სადაც მასწავლებელთა რეფლექსიის შედეგად დანახული მიგნებების, გამოცდილებების ერთმანეთზე გაზიარებით, ხარისხის ჯგუფის რეკომენდაციებით და მიგენების შეჯერებოთ ხდება მასწავლებელთა კორპუსის პროფესიული დახელოვნება (ესე იგი არა ფრაგმენტულად არამედ ურთიერთდახმარებით და გააზრებული რაკურსით).

ნაცვლად ფორმალურ-ფუნქციური დანაწილებისა მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების აღნიშნული კონცეფციით წარმართვამ ხელი შეუწყო სკოლაში ტრანფორმაციული ლიდერების წარმოქმნას. ესენი არიან მასწავლებლები, რომლებიც სკოლებში „სიტუაციურ ლიდერებად“ მოგვევლინენ გაუძღვენ პროცესებს გამომდინარე იქედან, რომ სხვაზე მეტად აუღეს ალღო სასკოლო კურიკულუმის განვითარების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გამოკვეთილი საერთო

ამოცანების რეალიზების პროცესს. ლიდერობა გამოიხატებოდა - კოლეგების მხარდაჭერაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარმართვაში და ასე შემდეგ. ანუ ყველაფერი ის რაც ხელს უწყობდა საერთო ამოცანების მიღწევას. ესე იგი სამუშაო შეხვედრებზე თანამშრომლობითი ფორმატით და გააზრებული რაკურსით (ცნებების პედაგოგიკა, კონსტრუქტივიზმი, შემოქმედებითი დავალებების შექმნა) საქმიანობამ უზრუნველყო მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნება და სიტუაციური ლიდერების წარმოქმნა.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებლის, კლასის პროფილს - სადაც ასახულია დავალებები, რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმები, მონიშნულია პროცესზე დათმობილი დრო -შესწავლა. ასევე მოსწავლეების ნაშრომების ანალიზის შედეგად საჭიროებისამებრ ხარისხის ჯგუფი ხვდებოდა მასწავლებლებს ინდივიდუალურად აქტიური თანამშრომლობის და დისკუსიის ფორმატში და მხარდაჭერის მიზნით ხორციელდებოდა რეკომენდაციების მიცემა შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის თუ მტკიცებულების შესახებ. ასევე სასწავლო რესურსების, შინაარსის, მეთოდების შესახებ. ესეც თავისთავად უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ სკოლა თაობაში მასწავლებლების საქმიანობის შეფასებას და საჭიროების განსაზღვრას აქვს კონტექსტური ბუნება, გათვალისწინებულია კონკრეტული სიტუაციისთვის დამახასიათებელი მოვლენები და პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე. თავისთავად ყველა მოვლენას, პროცესს აქვს მიზეზი, მამოძრავებელი ძალა (ფაქტორი). გარდა კურიკულუმით ასახული და განხორციელებული დავალებების, რესურსების შინაარსების და მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა, მასწავლებლის პროგრესის თუ გამოწვევების გასაანალიზებლად ვიყენებთ ასევე მასწავლებელთან უშუალო დიალოგს სამუშაო გაერთიანებულ შეხვედრებზე და ინდივიდუალრად შეხვედრების დროს (ყველაზე ეფექტური გზა), ზოგად ტენდენციებს რაც უკავშირდება სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლაში არსებულ ზოგად განწყობებს, ურთიერთდამოკიდებულებებს და ა.შ. მონაცემების ერთობლიობა და ანალიზი ქმნის ზუსტი შეფასების შესაძლებლობას, სწორად ამ კონტექსტების გათვალისწინებით ხდება ანალიზი და შეფასება. ესე იგი გათვალისწინებულია ყველა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ფინანსური და ა.შ ფაქტორი რაც შეიძლება ხელისშემწყობი ან ხელისშემშლელი იყოს მასწავლებლისთვის.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
პერსონალის განვითარების პოლიტიკის კონცეფციის განახლება.	შემუშავებულია პერსონალის განვითარების პოლიტიკის ახალი კონცეპტუალური დოკუმენტი; დოკუმენტი შექმნილია, წინა წლის საქმიანობის ანალიზის, შეფასების საფუძველზე და მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს.	რა კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი კონცეფცია?	HR პოლიტიკა.

წინა წლებში შექმნილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ატარებდა მექანისტურ ხასიათს. მასში იყო ის ძირითადი პროცესები და მექანიზმები აღწერილი, თუმცა მკაფიო არ იყო სკოლის საგანმანათლებლო პარადიგმის ხელშეწყობის საკითხი, ასევე პოსტფორდისტული მიდგომის ნაცვლად მეტად ჩანდა ფუნქცია მოვალეობების ხელოვნური ფრაგმენტაცია, ბევრი ადმინისტრაციული ვალდებულებები. სკოლამ განაახლა HR კონცეფცია, რომელიც სრულად მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს და ღირებულებებს. არის ორიგინალური სკოლა თაობაზე მორგებული და ჩანს მკაფიო HR პოლიტიკის ხედვა, კერძოდ Functional school management model რაც გულისხმობს სკოლის მართვის ფუნქციურ მოდელს სადაც ფუნქცია > სტატუსი; პროცესი > პოზიცია; პასუხისმგებლობა > ფორმალური სტატუსი. ასეთ მოდელი უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების სწრაფ მიღებას, პროცესებზე ორიენტირებულ მართვას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას საერთო ამოცანების რეალიზებისთვის.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სოციალური უზრუნველყოფა - სამედიცინო დაზღვევის პაკეტით პერსონალის უზრუნველყოფა	სკოლაში მოქმედებს სკოლის პერსონალის სამედიცინო დაზღვევა.	რა მექანიზმებით ხორციელდება სკოლაში დაზღვევის საკითხის უზრუნველყოფა?	HR პოლიტიკა; პეროსანლის წახალისების მექანიზმი.
2025 წლის სექტემბერში სკოლამ გააფორმა სს ,,სადაზღვევო კომპანია იმედი ელ"-თან სკოლის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება. ხელშეკრულება მოიცავს სკოლის თანამშრომელთა ჰოსპიტალურ სამედიცინო მომსახურებას, ამბულატორიულ მომსახურებას, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევებს და სტომატოლოგიურ მომსახურებას.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
არაფორმალურ გარემოში სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.	ორგანიზებულია არაფორმალურ გარემოში სამუშაო შეხვედრები; შექმნილია პოზიტიური გარემო და გაძლიერებულია სკოლის საორგანიზაციო კულტურა.	როგორ წარიმართება სამუშაო შეხვედრები? აქვს ინტენსიური თანამშრომლობითი ხასიათი თუ არის მონოტონური და ფრაგმენტული?	სასკოლო კულტურა; მოსწავლეთა ინიციატივის გაზიარება; სკოლის სტ.ერთეულების თანამშრომლობა.
2025 წლის დეკემბერში პირველი სემესტრში განხორციელებული პროცესის შეჯამება (ანალიზი, დისკუსია, მონაცემების გაზიარება) იგეგმებოდა არაფორმალურ გარემოში (სკოლის გარეთ შესაბამის სივრცეში). თუმცა აღნიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა. მეორე სემესტრის ბოლოს შესაძლებელია განხორციელდეს აღნიშნული აქტივობა.			
ამოცანა : უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებების მიიღება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, გადაწყვეტილების მიღების მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპის გამოყენებით.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
2025-2026 წლის სასკოლო კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან	გაზიარებულია სასკოლო კურიკულუმის პროექტი; უკუკავშირის შესაბამისად საჭიროებისამებრ შესულია ცვლილება პროექტში.	როგორ აისახა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები/პრიორიტეტები? სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თუ მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე აქვს?	მონაწილეობის კიბე; ჩართულობა; თანამონაწილეობა; გაზიარებული პასუხისმგებლობა. მიკუთვნებულობის (ჩვენ) პარადიგმა.
2025-2026 წლის კურიკულუმის პროექტი აგვისტოს ბოლოს გაუზიარდა სასკოლო საზოგადოებას ჩათებში. სექტემბრის დასაწყისში პროექტი განხილულ იქნა სამუშაო შეხვედრაზე, რომლის შემდეგ პროექტმა მიიღო საბოლოო სახე და დამტკიცდა სკოლის დირექტორის მიერ. კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები ასახულია შემოქმედებით დავალებების პირობების სასკოლო პროექტების აქტივობების სახით. ასევე გამოსაყენებელი რესურსების, შინაარსების სახით. შეჯამება- კურიკულუმის შემუშავებაში 2025-2026 სასწავლო წელს მეტად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება - ამას ადასტრუებს			

დირექტორის მიერ შექმნილი სასკოლო პროექტების, საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მხარდამჭერი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდა სკოლის საშუალო საფეხურის ოთხი მოსწავლე. მოსწავლეები ზაფხულის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებთან ერთად, საერთო სამუშაო სივრცეში (სკოლაში) ქმნიდნენ და ხვეწავდნენ - 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო პროექტებს. ასევე ინგლისური ენის და გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმებისათვის (შემოქმედებითი დავალებების და შეფასების კრიტერიუმებზე ორიენტირებით) აორგანიზებდნენ მრავალფეროვან რესურსს. აღნიშნულმა პრაქტიკამ უზრუნველყო მოსწავლეების ინტერესების და საჭიროებების ზუსტი გათვალისწინებით შემოქმედებითი დავალების პირობების შექმნა, რესურსთა მობილიზება.

გაზიარებას ჰქონდა ორი ამოცანა 1) ხელმისაწვდომობა ანუ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდათ შესაბამის პროცესებში ჩართვის და გაცნობის შესაძლებლობა. 2) გაზიარება - როგორც მიკუთვნების/თანაშემოქმედობითობის განცდა. სკოლის კურიკულუმი უნდა განიცდებოდეს, როგორც ყველას შემოქმედებითი გადაწყვეტილება, კონსესუსი, პროდუქტი. ყველაზე მნიშვნელოვანი არის „ჩვენ“ განცდის დანერგვა სასკოლო საზოგადოებაში. დოკუმენტების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, ასევე, შემუშავებული პროდუქტის გაზიარება მათთან, სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
კათედრის და პედსაბჭოს სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.	არსებობს ჩატარებული კათედრის და პედსაბჭოს სამუშაო შეხვედრების მტკიცებულება; სამუშაო შეხვედრა ორგანიზებულია თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპით (whole school approach), დისკუსიის ფორმატში და მიემართება საერთო ამოცანების გუნდურად გადაჭრას. კათედრების როლი სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/განხორციელებაში და მასწავლებელთა პროფესიულ დახელოვნებაში მზარდია. შექმნილია პოზიტიური გარემო და გაძლიერებულია სკოლის საორგანიზაციო კულტურა.	კათედრის შეხვედრებს აქვს თანამშრომლობითი შემოქმედებითი, ინტენსიური ხასიათი თუ მონოტონური, პასიური?	სასკოლო კულტურა. წარმატებული გამცდილების გაზიარება.

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარდა საგნობრივი განვითარების გუნდები (კათედრა) და მასწავლებელთა ფორუმის (პედსაბჭო) სამუშაო შეხვედრები. სამუშაო შეხვედრა ორგანიზებული იყო თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპით (whole school approach), დისკუსიის ფორმატში და მიემართებოდა საერთო ამოცანების გუნდურად გადაჭრას. აღსანიშნავია რომ ამ ტიპის სამუშაო შეხვედრების რეალური ფუქნცია და როლი არის მზარდი სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
მშობელთა კრებების ორგანიზება.	არსებობს დასწრებით/ონლაინ ჩატარებული შეხვედრების მტკიცებულება; შეხვედრაზე წარდგენილია კურიკულუმის კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ნაწილი (ხარისხის ჯგუფის, სასწავლო ნაწილის მიერ) და საგნობრივი კურიკულუმები (მასწავლებლების მიერ). შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა არანაკლებ 50%-ის წარმომადგენელმა (ერთ-ერთი მშობელი, ბებია-ბაბუა..)	შეხვედრაში მშობლები აქტიური მონაწილეები არიან თუ პასიური მსმენელები?	სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების (ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები, შესაძლებლობები) იდენტიფიცირება. გაზიარება. უკუკავშირი, ანგარიშგება.

2025-2026 სასწავლო წელს ჩატარდა დასწრებით შეხვედრა მშობლებთან. შეხვედრების მიზანი იყო ერთი მხრივ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების (ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები, შესაძლებლობები) იდენტიფიცირება. და მეორე მხრივ სკოლაში საგნების მიხედვით გამოკვეთილი სასწავლო მიზნების, სწავლის სტრატეგიების შესახებ მშობელთა ინფორმირება და ანგარიშგება. ესე იგი მშობელთა კრებებზე მასწავლებლები პრეზენტაციის სახით დისკუსიის ფორმატში წარუდგენდნენ მშობლებს კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელების და შედეგების შესახებ ინფორმაციას.
შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის პრეზენტაცია, განხილვებზე დაფუძნებული შეხვედრები მეტად ეფექტური აღმოჩნდა, მშობლებს ჰქონდათ შესაძლებლობა ერთი მხრივ უკეთ გაეაზრებინათ სკოლაში სწავლა სწავლების მიზნები და სკოლის მიერ დანერგილი სწავლების პარადიგმა და მეორე მხრივ ასეთი ქუდის ქვეშ წარმართული შეხვედრები მეტად საქმიან და დისკუსიურ სახეს იძენდა, მშობლები უფრო მიზანიმიმართულად აფიქსირებდნენ პროცესებზე თავის პოზიციებს.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
მასწავლებელთა, მშობლეთა და საბაზო, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა გამოკითხვა ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესებზე	ჩატარებულია გამოკითხვა; გამოკითხვაში მიიღო მასწავლებელთა არანაკლებ 70%; მოსწავლეთა არანაკლებ 80%, მშობელთა არანაკლებ 60%მა მონაწილეობა. გამოკითხვის შედეგები გაანალიზებულია, ასახულია სამოქმედო გეგმის შესრულების, კურიკულუმის განხორციელების ანგარიშში.	სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა ატარებს ფორმალურ ხასიათს თუ მიღებული ინფორმაცია გაანალიზებულია და გამოიყენება პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის?	პროცესების მიზნობრიობის, შესაბამისობის დადგენა.

არ შესრულდა აქტივობა. გამოკითხვა იქნება მეორე სემესტრში.

ამოცანა : სკოლაში დანერგილია მაღალი სტანდარტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის განახლება.	განახლებულია პოლიტიკის დოკუმენტი.	რა კრიტერიუმების გათვალისწინებით განახლდა დოკუმენტი?	ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

განახლებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. განახლებამდე დოკუმნტი ატარებდა მექანისტურ ხასიათს არ ჩანდა სკოლის რეალური ხედვა.
ზოგადად სკოლებში სასწავლო პროცესი და ხარისხის მართვის პროცესები ხშირად იზოლირებულია. მონიტორინგი უნდა იყოს სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი. ხარისხის მართვა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ცალკე სამსახური. თანამშრომლობა ავტომატურად ნიშნავს ურთიერთშეფასებას, რადგან შეფასება შეზრდილია დაგეგმვასთან. ზოგადად დავაა ამ საკითხზე განათლების სპეციალისტებში – ერთისთვის ხარისხის მართვა სკოლის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია, მეორისთვის – სტრუქტურული ერთეული. ჩვენ პირველ მოცემულობას ვიზიარებთ რომ ხარისხის მართვა განუყოფელი ნაწილია. არ გვგონია რომ სპეციალური სტრუქტურული ერთეულის დაარსება ერთი ნაბიჯით წინ წაგვწევს ხარისხის მართვაში. ზოგადი ტენდენციაა (სხვა სკოლების მაგალითები შევისწავლეთ) რომ ხარისხის ერთეულები ხშირად ძალიან პირობითად მართავენ ხარისხს – უფრო დოკუმენტებს მართავენ. და ამ მიდგომით იმიჯნება ნაწილს მთელისგან. ჩვენთვის კი ხარისხის არის მთელის შემდაგნელი და არა ცალკე ნაწილი.
სწორედ ამ ლოგიკით განახლდა დოკუმნეტი.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
2025-2026 წლის ხარისხის ჯგუფის სამუშაო გეგმის შექმნა.	ჯგუფს აქვს 2025-2026 წლის სამუშაო გეგმა; სამუშაო გეგმა შექმნილია, წინა წლის საქმიანობის ანალიზის, შეფასების საფუძველზე და მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს. სამუშაო გეგმით შეფასებული და იდენტიფიცირებულია სკოლის პროცესების რისკები, განსაზღვრულია პროცესების მონიტორინგის ვადები და მეთოდები.	რატომ აქვს სკოლას ამგვარი (და არა სხვაგვარი) სტრუქტურა?	ფუნქცია-მოვალეობების მისიის და მიზნების რეალიზებისკენ მიმართვა.

ჯგუფს აქვს 2025-2026 წლის სამუშაო გეგმა; სამუშაო გეგმა შექმნილია, წინა წლის საქმიანობის ანალიზის, შეფასების საფუძველზე და მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს. სამუშაო გეგმით შეფასებული და იდენტიფიცირებულია სკოლის პროცესების რისკები, განსაზღვრულია პროცესების მონიტორინგის ვადები და მეთოდები.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სკოლის პროცესების მონიტორინგი/ანალიზი/უკუკავშირი.	მონიტორინგით მონაცემები მოგროვებულია მრავალ წყაროზე დაყრდნობით, მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენებით. მონაცემები გაანალიზებულია სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. პროცესი დაფუძნებულია მხარდაჭერაზე.	სკოლაში მონიტორინგი, აღქმულია როგორც პროცესის მიმდინარეობის ზედამხედველობა ხოლო შეფასება, როგორც დიალოგი დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის?	პროცესების შესაბამისობა, ეფექტიანობა, ქმედითობა, გამოწვევების იდენტიფიცირება/ ზეგავლენის შეფასება, პროცესების გაუმჯობესება, მიზნობრივი ცვლილებები.

სკოლის პროცესების შესახებ მონაცემების მოგროვების და ანალიზისთვის წყარო არის მრავალი (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაცია და ა.შ) და მონაცემების მოგროვებაც ხორხიელდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ესენია : დაკვირვება, გამოკითხვა, დიალოგი სამუშაო შეხვედრებზე და მშობელთა კრებებზე, ელექტრონულ ჟურნალში თუ სხვა რესურსებში არსებული მონაცემების შეგროვება, ტექსტირება, თვითშეფასებები (მოსწავლეები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია) და ა.შ ამ მონაცემების ერთობლიობა და ანალიზი ქმნის ზუსტი შეფასების შესაძლებლობას.

მოგროვებული მონაცემები გაანალიზებულია კონტექსტის გათვალისწინებთ ესე იგი გათვალისწინებულია კონკრეტული სიტუაციისთვის დამახასიათებელი მოვლენები და პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე. თავისთავად ყველა მოვლენას, პროცესს აქვს მიზეზი, მამოძრავებელი ძალა (ფაქტორი). გარდა კურიკულუმით ასახული და განხორციელებული აქტივობების ანალიზისა. გასაანალიზებლად ვიყენებთ ასევე პროცსის განმხორციელებელთან უშუალო დიალოგს სამუშაო გაერთიანებულ შეხვედრებზე და ინდივიდუალრად შეხვედრების დროს (ყველაზე ეფექტური გზა), ზოგად ტენდენციებს რაც უკავშირდება სოციო-კულუტურულ სივრცეს, სკოლაში არსებულ ზოგად განწყობებს, ურთიერთდამოკიდებულებებს და ა.შ. მონაცემების ერთობლიობა და ანალიზი ქმნის ზუსტი შეფასების შესაძლებლობას, სწორდ ამ კონტექსტების გათვალისწინებით ხდება ანალიზი და შეფასება. ესე იგი გათვალისწინებულია ყველა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ფინანსური და ა.შ ფაქტორი რაც შეიძლება ხელისშემწყობი ან ხელისშემშლელი იყოს განმხორციელებლისთვის.

განხორციელების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭიროების ანალიზის შესაბამისად, პერსონალთან/სტ.ერთეულთან, მასწავლებლებთან იმართებოდა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე აქტიური თანამშრომლობის და დისკუსიის ფორმატში მხარდაჭერის მიზნით ხორციელდებოდა რეკომენდაციების მიცემა აქტივობის, ეფექტიანად და ხარისხიანად განხორციელებაზე.

ამოცანა : სკოლას გააჩნია საზოგადოებაში მაღალი ცნობადობა და დადებითი იმიჯი.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სკოლის ოფიციალური ვებ გვერდის განახლება.	განახლებულია სკოლის ვებ გვერდი სკოლის ვებ გვერდი მოიცავს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას; ვებ გვერდზე გამოკვეთილია სკოლის ავთენტურობა.	განახლებული ვებ გვერდი არის მაღალი სტანდარტის და აკმაყოფილებს კრიტერიუმებს?	საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდის გამოყენებით.

სკოლას აქვს განახლებული სკოლის ვებ გვერდი სკოლის ვებ გვერდი მოიცავს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას - მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და ა.შ.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სკოლის გახსნის (დაწყების) ღონისძიების ორგანიზება.	ჩატარებულია ღონისძიება; შექმნილია პოზიტიური გარემო, გაძლიერებულია სკოლის საორგანიზაციო კულტურა, სასკოლო საზოგადოების კმაყოფილება მზარდია.	რამდენად მიზნობრივად და ეფექტურად განხორციელდა სკოლის დაწყების აღსანიშნი ღონისძიება?	სკოლის ცნობდობა და დადებითი იმიჯი; მოსწავლეთა მოტივირება/დაინტერესება.
სკოლაში განხორციელდა სკოლის დაწყების ღონისძიება.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
თემატური ღონისძიებების (მაგ: ლიტერატურის დღის, დამოუკიდებლობის დღის...) ორგანიზება.	ჩატარებულია სულ მცირე 3 ღონისძიება; შექმნილია პოზიტიური გარემო, გაძლიერებულია სკოლის საორგანიზაციო კულტურა, სასკოლო საზოგადოების კმაყოფილება მზარდია. ჩატარებული ღონისძიება მიემართება სკოლის პროექტის/პროექტების ამოცანებს და მონიშნულია პროექტის/პროექტებში როგორც აქტივობა.	ხორციელდება თუ არა სკოლაში სხვადასხვა თემატური/კონტექსტების შესაბამისი ღონისძიებები? რა ეფექტები აქვს განხორციელების პროცესს?	სასკოლო კულტურა; მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული აქტივობები.; შემოქმედებითობა; ლიდერობა.
მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭოს ლიდერობით დაიგეგმა და განხორციელდა რამდენიმე თემატური ღონისძიება. ჩატარებული ღონისძიებები მიემართებოდა სკოლის პროექტის/პროექტების ამოცანებს და მონიშნული იყო პროექტის/პროექტებში როგორც აქტივობა. კერძოდ: • დისკუსია მხატვრული ტექსტი „ფრანკენშტეინის'' ირგვლივ თემაზე „ინდივიდი და საზოგადოება''; • Halloween - გარემოს მორთვა, კოსტუმირებული წვეულობა და სხვა აქტივობები სამივე საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით; • დისკუსია „ვკარგავთ თუ არა ეროვნულ იდენტობას.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
ვიდეო კონტენტის(მოკლე ვიდეო, პოდკასტი...) შექმნა მოსწავლე სუბიექტის საგანმანათლებლო პრინციპებსა და ცნებების პედაგოგიკაზე.	ჩაწერილია და სკოლის სოციალური ქსელების გვერდებზე განთავსებულია სულ მცირე 5 ვიდეო.	იქმნება თუ არა სკოლაში ვიდეო კონტენტი მოსწავლე სუბიექტის საგანმანათლებლო პრინციპებსა და ცნებების პედაგოგიკაზე.? რა ეფექტები აქვს ვიდეო კონტენტს, არის ხელშესახები პროგრესი	სკოლის ცნობადობა და დადებითი იმიჯი; სკოლის მისიის და მიზნების პოპულარიზება. შემოქმედებითობა; ლიდერობა.

		ცნობადობის ზრდის მიმართულებით?	
2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სკოლაში ჩაიწერა და სკოლის სოციალური ქსელების გვერდზე განთავსდა პოდკასტები ჯამში 9 პოდკასტი რათა ამაღლდეს ცნობადობა ცნებების პედაგიკის და კონსტრუქტიზიმის საგანმანათლებლო პრინციპებზე. ყველაზე მეტი ნახვა ერთ ვიდეოზე არის 451. ხოლო მცირე 92. რაც მისაღები რიცხვებია. თუმცა აღსანიშნავია ერთი გარემოება ვიდეოს ნახვის საშუალო ხანგრძლივობა მნახველთა 73% მიერ არის 30 წამამდე. ეს კი მიუთითებს რომ ეფექტები ნაკლებია. ანუ ერთი მხრივ სკოლის ცნობადობა იზრდება (ეს კარგია) თუმცა მთავარი ამოცანა ცნებების პედაგოგიკის პოპულარიზება ვერ მიიღწევა.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
Podcast-ების, ვიდეოების, ბლოგების/ვლოგების და სხვა თემატური კონტენტის, ინფორმაციის განთავსება სკოლის სოციალური ქსელების გვერდებზე.	სკოლის სოციალური ქსელების გვერდებზე კონტენტი იტვირთება სულ მცირე ორჯერ კვირაში; განთავსებული კონტენტი მიემართება სკოლის მისიას, მიზნებს, „მოსწავლე სუბიექტის" პარადიგმას. ატვირთული კონტენტი მიემართება სკოლის პროექტის/პროექტების ამოცანებს და მონიშნულია პროექტის/პროექტებში როგორც აქტივობა. განთავსებული ინფორმცია სანდო და უტყუარია.	იქმნება და განთავსებულია სკოლის გვერდებზე Podcast-ები, ვიდეოები, ბლოგები/ვლოგები და სხვა თემატური კონტენტი? რა ეფექტები აქვს ვიდეო კონტენტს, არის ხელშესახები პროგრესი ცნობადობის ზრდის მიმართულებით?	სასკოლო კულტურა; მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული აქტივობები.; შემოქმედებითობა; ლიდერობა.
სკოლის სოც. ქსელების გვერდზე სისტემატურად იტვირთება ვიდეო კონტენტი. ეს არის როგორც პოდკასტები ასევე სხვა მოკლე ვიდეოები, რომელიც არის სკოლის პროექტებში მონიშნული სხვადახვა აქტივობა და მიემართება სკოლის მიზნებს.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სოციალური ქსელების ეფექტურობის ზრდის უზრუნველყოფა	Facebook-ზე გამომწერთა რაოდენობა გაიზარდა არანაკლებ 15%ით; TikTok- ზე გამომწერთა რაოდენობა გაიზარდა არანაკლებ 20%ით; Instagram- ზე გამომწერთა რაოდენობა გაიზარდა არანაკლებ 10%ით; YouTube-ზე გამომწერთა რაოდენობა გაიზარდა არანაკლებ 30%-ით; სკოლაში/სკოლასთან დაკავშირებული აქტივობა/პროექტის შესახებ	როგორ უზრუნველყოფს სკოლა სოციალური ქსელების ეფექტურობის ზრდას?	სკოლის ცნობადობა და დადებითი იმიჯი; სკოლის მისიის და მიზნების პოპულარიზება. შემოქმედებითობა; ლიდერობა.

	ინფორამაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდებზე არაუგვიანეს 2 დღის განმავლობაში.		
აღნიშნული აქტივობა არის მთელ წელზე განგრძობითი. ამ ეტაპზე გამომწერთა რაოდენობა გაზრდილია.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
სკოლის ჟურნალის შექმნა	სკოლას აქვს ელექტრონული/ბეჭდვითი ჟურნალი; ჟურნალი გამოიცემა სემესტრში ერთხელ. ჟურნალი ფუნქციონირებს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. სკოლის ჟურნალის შექმნა მიემართება სკოლის პროექტის/პროექტების ამოცანებს და მონიშნულია პროექტის/პროექტებში როგორც აქტივობა.	უზრუნველყოფილია თუ არა სკოლის ჟურნალის ფუქნციონირება? რა კონტენტი განთავსდება ჟურნალში? აქვს თუ არა ეფექტები ჟურნალის ფუქნციონირებას?	მოსწავლეთა ჩართულობა, ინტერესები; შემოქმედებითობა; სკოლის ცნობდობა და დადებითი იმიჯი; სკოლის მისიის და მიზნების პოპულარიზება.
აღნიშნული აქტივობა არ განხორციელდა. გადავა შემდეგი სასწავლო წლის აქტივობად.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
გარე ორგანიზაციებთან/პიროვნებებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლა/რეალიზება.	მოკვლეულია და გაანალიზებულია თანამშრომლობის შესაძლებლობები; თანამშრომლობა მიემართება სკოლის მისიის, მიზნების რეალიზებას.	რა კრიტერიუმებით შეირჩა ორგანიზაციები?	განვითარებაზე ორიენტირებულობა

ამოცანა : უზრუნველყოფილია გამართული სასწავლო პროცესი, კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოება, ფსიქოლოგიურად, ემოციურად უსაფრთხო გარემო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
მშობლებთან, თანამშრომლებთან ხელშეკრულების გაფორმება.	გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან; ხელშეკრულებებს თან ერთვის - პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა. ინფორმაცია შპს სკოლა თაობაში მიმდინარე ვიდეომონიტორინგის თაობაზე. 16 წლამდე მშობლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა (16 წელს მიღწეული მოსწავლე) და 16-დან 18 წლამდე მშობლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა.	გაფორმებული ხელშეკრულებები არის კანონმდებლობის შესაბამისი და პროცედურების დაცვით განხორციელებული?	კანონმდებლობასთან შესაბამისობა; უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი; პროცედურების დაცვა.
სასწავლო წლის დაწყებამადე გაფორმდა ხელშეკრულება მშობლებთან და თანამშრომლებთან. გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან ხელშეკრულებებს თან ერთვის - პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა. ინფორმაცია შპს სკოლა თაობაში მიმდინარე ვიდეომონიტორინგის თაობაზე. 16 წლამდე მშობლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა (16 წელს მიღწეული მოსწავლე) და 16დან18 წლამდე მშობლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა.			
აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა.	სკოლაში უზრუნველყოფილია დამტკიცებული პოლიტიკების შესაბამისი პერსონალური მონაცემების დაცვა; ჩატარებულია პრაქტიკული და თეორიული სწავლებები.	ხორციელდება სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა შემუშავებული პოლიტიკების და მექანიზმების შესაბამისად?	თანამშრომლების უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტი.
სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა შემუშავებული პოლიტიკების და მექანიზმების შესაბამისად ხორციელდება. სკოლაში ოფიცერს აქვს პერიოდული ვიზიტები. ხდება შემოწმება პროცესების მიმდინარეობის, შესაბამისი რეკომენდაციის შემდეგ კი ხდება პროცესის გაუმჯობესება.			

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
შრომის უსაფრთხოების მექანიზმების უზრუნველყოფა.	სკოლაში უზრუნველყოფილია დამტკიცებული პოლიტიკების შესაბამისი შრომის უსაფრთხოების დაცვა; ჩატარებულია პრაქტიკული და თეორიული სწავლებები.	ხორციელდება სკოლაში შრომის უსაფრთხოების დაცვა შემუშავებული პოლიტიკების და მექანიზმების შესაბამისად?	თანამშრომლების უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტი.

სკოლა თაობამ 2025 წლის 07 თებერვალს გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება შპს ბლექს სი სეიფთთან. რომელიც ითვალისწინებს: შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას და აკრედიტირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ის გამოყოფას ხელშეკრულების დადებისთანავე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით ზედამხედველობას გაუწევს დამკვეთის ობიექტს; რეკომენდაციების მომზადებას და დამკვეთისათვის მიწოდება შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონებისა და რეგლამენტების საფუძველზე; შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად გულისხმობს: ა) დამკვეთის საქმიანობის შესწავლასა და საჭირო პრევენციული გეგმის შემუშავებას; ბ) კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა/ ჩამოყალიბებას და შესაბამისი დოკუმენტის შექმნას; გ) დამკვეთისათვის შრომის უსაფრთხოების გეგმის შემუშავებას ; დ) დამკვეთის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების გამოვლენასა და შეფასებას; ე) გამოვლენილი რისკების კონტროლთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემას; ვ) უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვას; ზ) დამკვეთის დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებას გეგმიური სწავლებებითა და ინსტრუქტაჟებით; თ) დამკვეთის ობიექტზე გამოვლენილი ხარვეზების დოკუმენტირებასა და რეკომენდაციის სახით დამკვეთი კომპანიისთვის გაგზავნას; ი) დამკვეთის დროულ ინფორმირებას შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელ კანონებსა და რეგლამენტებში შესული ცვლილებების შესახებ; კ) ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ თრობაზე კონტროლის სისტემის დანერგვას; ლ) საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შედგენას; მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით მიკროკლიმატის მანორმირებელი პარამეტრების (ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე) და განათების გაზომვითი სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი რეკომენდაციის მომზადებას (საჭიროების შემთხვევაში) .

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შეიქმნა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები და სხვადასხვა ფორმები (აღრისცვის და ა.შ)

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში შრომის უსაფრთხოების ოფიცერს ჰქონდა ვიზიტები სკოლაში სადაც ახდენდა პროცესის მონიტორინგს და შეფასებას. შეჯამება - სკოლაში უზრუნველყოფილია დამტკიცებული პოლიტიკების შესაბამისი შრომის უსაფრთხოების დაცვა.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნვა, საჭიროების შემთხვევაში ინტერვენცია. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა.	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნვა, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა მიმდინარეობს სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად.	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას?	პოზიტიური კლიმატი, უსაფრთხოება. ზრუნვა, მხარდაჭერა, პატივისცემა.

სასკოლო კლიმატის ცნება საკმაოდ კომპლექსურია და მოიცავს სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. განათლების ექსპერტები ძირითადად საუბრობენ სასკოლო კლიმატის 5 განზომილებიან მოდელზე. ეს განზომილებები მოიცავს **უსაფრთხოებას**, სწავლა სწავლების პროცესს და მის მხარდაჭერას, ინტერპერსონალურ და პროფესიულ ურთიერთობებს, მართვის სტილს, ინსტიტუციურ გარემოს, როგორც ავთენტურ სივრცეს სასკოლო საზოგადოებისათვის. გამოყოფენ პოზიტიური სასკოლო კლიმატის ფაქტორებს, როლებზეც ფოკუსი მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოში: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. ეს 8 ფაქტორი წარმოადგენს სკოლის პოზიტიური კლიმატის შემუშავების ურთიერთგანპირობებული პროცესების ციკლს.

პირველი სემესტრის ანალიზი გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლაში არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლას აქვს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, სადაც გაწერილია უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები. ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ვიდოეთვალთვალის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოდაკვირვებას. ასევე სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი დაცულია დაცვის დისტანციური სისტემით, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი აკრედიტირებული კომპანია. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. აღნიშნულს ახორციელებს კლასის დამრიგებლები და სასწავლო პროცესის მენეჯერი. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლას მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლა ყავს ექთანი, სკოლის შენობას გავლილი აქვს ექპლუატაცია.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერაზე. სკოლის ფსიქოლოგი ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას, საჭიროებების დადგენას და მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას.

გამოკითხვები და პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლსადმი მაღალი ნდობა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. მათ აქვთ ფიზიკური, სოციო-ემოციური უსაფრთხოების განცდა.

აქტივობა	**ინდიკატორი**	**საკვანძო შეკითხვა**	**საკვანძო იდეა**
ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა.	სკოლის ჰიგიენური მდგომარეობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან; სკოლაში ჰიგიენა/სანიტარული მდგორმარეობის შესახებ არ დაფიქსირებულა არც ერთი პრეტენზია.	სკოლაში იზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურის შესაბამისი მაღალი სტანდარტის ჰიგიენური ნორმების დაცვა?	ფიზიკური გარემო.

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები მეტწილად დაცულია, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზეც. სკოლას აქვს დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია, სადაც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის დამლაგებლები მუდმივად ახორციელებენ სკოლის მთლიანი პერიმეტრის დალაგებას, ზედაპირების წმენდას და სველი წერტილების მოწესრიგებას სათანადო. ჩვენი დაკვირვება, გამოკითხვის შედეგები და ზოგადი სურათი იძლევა თქმის საფუძველს, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი მეტწილად დამაკმაყოფილებელია.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
სასწავლო პროცესის ორგანიზების ხელშეწყობა	უზრუნველყოფილია გამართული სასკოლო საათობრივი ბადე; უზრუნველყოფილია ელექტრონული ჟურნალის მართვა, ნიშნების, გაცდენების, შემაჯამებლების, კომენტარების.... დროულად შეყვანის მონიტორინგი. უზრუნველყოფილია გაკვეთილების რეჟიმის დაცვა, მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი/აღრიცხვა, სასწავლო პროცესის რეგულირება (გაკვეთილების შეცვლა-გადაადგილება) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა გაცდენების მიზეზის დადგენა, ხდება მიზეზთა კვლევა და აღრიცხვა. წელიწადში ორჯერ გაკეთებულია მოკვლეული ინფორმაციის შესაბამისად ანალიზი დასწრება/არადასწრებაზე, მიზეზებზე და შემუშავებულია გაუმჯობესების შესაბამისი მექანიზმი.	სასაწავლო პროცესის სტრუქტუირება და ორგანიზება, ხელს უწყობს სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევას?	მოქნილობა; ეფექტურობა.

მნიშვნელოვანია სასაწავლო პროცესის სტრუქტურირებამ და ორგანიზებამ, ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევას. პირველი სემესტრის ანალიზი გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად ჩატარება. უზრუნველყოფილია გამართული სასკოლო საათობრივი ბადე; ელექტრონული ჟურნალის მართვა, ნიშნების, გაცდენების, შემაჯამებლები, კომენტარების.... დროულად შეყვანის მონიტორინგი, გაკვეთილების რეჟიმის დაცვა, მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი/აღრიცხვა, სასწავლო პროცესის რეგულირება (გაკვეთილების შეცვლა-გადაადგილება).
აღსანიშნავია, რომ schoolbook-ის პლატფორმა სასწავლო პროცესის ორგანიზებას მნიშვნელოვად ამარტივებს და მოქნილს ხდის. წინა წლებთან შედარებით, როდესაც მოსწავლეებს/მშობლებს ინფორმაციას დავალებების, რესურსების, შესრულების თარიღის შესახებ ვაწვდიდით სხვა მეთოდით და პასუხისმგებლობა იყო რამდენიმე ადამიანზე. schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა სწრაფადვე თვითონ შეიყვანოს ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მეტ ვალიდურობას და სანდოობას.
თუმცა სამუშაოა საათობრივი ბადის თივსობრივ ცვლილებაზე. რათა ის სრულ თანხევდრაში იყოს სკოლის საგანმანათლებლო პარადიგმასთან. მნიშვნელოვანია სამომავლოდ გადაიხედოს საათობრივი განაწილების, 45 წუთიანი საგაკვეთილო მოდელის, დასვენებების რაოდენობის და დროის საკითხი. ანალიზი ცხადყოფს, რომ დღის განმავლობაში 6-7 სხვადასხვა საგნის კონცეპტებზე მუშაობა მოსწავლეებისთვის რთული გამოწვევაა. ეს მათ კოგნიტურ გადატვირთვას იწვევს. შესაძლებელია საათობრივი ბადის ისე გამართვა, რომ უზრუნველვყოთ დღის მანძილზე 3-4 საგნის ცნებებზე მუშაობა, ისე რომ საერთო სასწავლო დრო არ შემცირდეს.

აქტივობა	ინდიკატორი	საკვანძო შეკითხვა	საკვანძო იდეა
გამართული საქმისწარმოების უზრუნველყოფა.	საქმისწარმოება მიმდინარეობს მეთდოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად.	სკოლაში ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოება?	დროულობა; ეფექტურობა; პროცედურების დაცვა, კანონმდებლობასთან შესაბამისობა
2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სკოლაში სრულად ხორციელდება კანონმდებლობის და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისი საქმისწარმოება. დაცულია დროულობის პრინციპი.			

თორნიკე ზაქარაძე _____

ირაკლი მიქელაძე _____

ნინო დევაძე _____

დანართი ტერმინთა განმარტებები

ტერმინი	ტერმინის განმარტება
მისია	მისია არის მოკლე, ძირითადად რამდენიმე წინადადებისგან შედგენილი განაცხადი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ/ძირითად დანიშნულებას.
ხედვა	ხედვა არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები, თუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.
ღირებულებები	ღირებულებები არის ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებითაც მოქმედებს დაწესებულება.
სტრატეგიული გეგმა	დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად. სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიის და ხედვის რეალიზების გზას.
სამოქმედო გეგმა	დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ აქტივობებს, მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებებს, შესრულების ვადებს, რესურსებს.
მიზანი	ზოგადი ტიპის განაცხადი, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მისაღწევ შედეგს.
ამოცანა	ვიწრო ასპექტის განაცხადი, სკოლის საქმიანობის კონკრეტული მიმართულებისთვის, რომელიც პრობლემის გამომწვევ ფაქტორს უკავშირდება და რომელიც საშუალოვადიან პერიოდში მიისწრაფის მიზნის მიღწევისკენ;
აქტივობა	კონკრეტული ქმედებები, რომელსაც სკოლა ახორციელებს მიზენის და ამოცანების მისაღწევად.
ინდიკატორი	ინდიკატორი არის საშუალება, რომლითაც იზომება მიზნების, ამოცანების, აქტივობების მიღწევა და ღონისძიებების განხორციელება.
რისკები	ამ შემთხვევაში ნეგატიური შედეგების შესაძლებლობა. რისკები შეიძლება იყო როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე დამოკიდებული, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს პროგრესი და მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას მიზნების, ამოცანების, აქტივობების განხორციელების კონკრეტულ ასპექტებს.
მონიტორინგი	პროცესი, რომლის ფარგლებში მოწმდება ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულება, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების განსაზღვრა.
შეფასება	შედეგებისა და მიღწევების დეტალური შესწავლა/ანალიზი და შესაძლო გავლენის დადგენა.